განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

33 გასაღები

ნინო შარაშენიძე
ანი კუდუხაშვილი
მაია წიკლაური
თინათინ ლომსაძე
ნინო ქიმერიძე
თამარ ჩხაიძე
ხათუნა ყოჩაშვილი
მარეხ კუტალაძე

მასწავლებლის წიგნი

ილუსტრატორი:
ია გიგოლაშვილი

დიზაინერი:
ბესიკ დანელია

კორექტორი:
მაია წიკლაური

ქართული მცირერიცხოვანი ერის ენაა, მაგრამ მართლაც უძველესი, უმშვენიერესი და უმდიდრესი ენაა... და რამ უნდა აცოცხლოს და განავითაროს ეს ენა? ბევრ მთავარ ფაქტორს შორის, ერთ-ერთი მისი პოპულარიზაციაა – ქართული ენის ცოდნის მსურველთა რიცხვის მუდმივი ზრდა... განსაკუთრებით მაშინ, როცა თავისუფლებამ ბევრი ემიგრანტი და შერეული ოჯახი წარმოშვა... ასე რომ, ლოგიკურად გამოიკვეთა ის სფერო, რომელიც ქართული ენისათვის უმნიშვნელოვანეს მსახურებად ითვლება... ეს ლოგიკური, სასურველი, აუცილებელი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „ქართული ენის დისტანციური სწავლების პროგრამამ“ დაიტია... მიზანი ასეთია – რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა ისწავლოს ქართული; იმ ადამიანებმა, რომელთა ფესვებიც საქართველოშია.

2016 წლიდან დღემდე, ონლაინ სივრცეში, ქართული ენის სიყვარულით მრავალი ადამიანი გაერთიანდა, რომელთაგან ზოგი მოსწავლეა და ზოგიც მასწავლებელი. დღითიდღე უფრო იზრდება ქართული ენის შესწავლის ინტერესი და შესაძლებლობა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც, ბედისა და თუ სხვადასხვა საჭიროების გამო, უცხო ქვეყნებში აღმოჩნდნენ, თუმცა აქვთ დიდი სურვილი, გააცნონ შვილებს ეს „ძვირფასი სამყარო“. ამასთან ერთად, მშობლიური ენის მხარდაჭერა და შენარჩუნება ეფუძნება საერთო ევროპულ ღირებულებებს და სარგებელი მოაქვს მთელი საზოგადოებისთვის. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციით, ბავშვის განათლება მიზნად ისახავს ბავშვის საკუთარი კულტურული იდენტობის, მისი ენისა და ღირებულებებისადმი პატივისცემის განვითარებას. ამიტომაც მშობლიური ენის სწავლა აუცილებელია ყველა ადამიანისთვის, ვისაც სურს იცოდეს თავისი ფესვები და იდენტობა. ასევე, მრავალმა კვლევამ აჩვენა, რომ ბილინგვიზმი აძლიერებს კოგნიტურ უნარებს, აუმჯობესებს კონცენტრაციას და ფოკუსირებას, მეხსიერებას, ყურადღებასა და კონტროლს.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ქართული ენის ონლაინ სწავლების პროგრამაში დღითიდღე იზრდება იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებსაც სურთ ჰქონდეთ კავშირი სამშობლოსთან; ასევე, საგრძნობლად იმატებს საკვირაო სკოლების რაოდენობა სხვადასხვა ქვეყანაში. სწორედ ამ ყველაფრიდან გამომდინარე, გაჩნდა აუცილებელი საჭიროება, შექმნილიყო ინტერაქტიური სახელმძღვანელო, რომელიც, ერთი მხრივ, თანამედროვე მეთოდებს და, მეორე მხრივ, ენის ყველა მიმართულებას მოიცავდა

და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს არ იქნებოდა მხოლოდ ენის შემსწავლელი სახელმძღვანელო. „33 გასაღები“ მდიდარია ქართული კულტურის, ხელოვნებისა და ისტორიის იმ საკითხებით, რომლებიც მომავალში მოსწავლეებს ჩამოუყალიბებს ქართულ ეროვნულ იდენტობას; მასწავლებლებს კი დაეხმარება, სასწავლო პროცესი უფრო მრავალფეროვანი და გრძელვადიან მიზანზე ორიენტირებული გახადონ, რაც სამომავლოდ აამაღლებს ემიგრანტი მოსწავლეების თვითშეფასებას და ხელს შეუწყობს მშობლიური ენის ცოდნის გამოყენებას ცხოვრებაში.

მოხარული ვარ, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში მოქმედი პროგრამის ფარგლებში შეიქმნა ეს მეტად საჭირო და აუცილებელი რესურსი. რა თქმა უნდა, მადლობას ვუხდი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და სახელმწიფო ენის დეპარტამენტს ამ უმნიშვნელოვანეს ეროვნულ საქმეში ჩართულობისა და მხარდაჭერისათვის.

ბერიკა შუკაკიძე
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი

საქართველოს საპატრიარქოსთვის, საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ მოზარდებში მშობლიური ენის შენარჩუნების საკითხი. როგორც ილია მართალმა ბრძანა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?“.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ერთობლივი ძალისხმევით, შეიქმნა სახელმძღვანელო – „33 გასაღები“, რომელიც განკუთვნილია უცხო ქვეყნებში მცხოვრები ქართველი (და არა მხოლოდ) ბავშვებისთვის, რათა მათ შეძლონ მშობლიური ენის შესწავლა/გაუმჯობესება. მათთვის სამშობლოსთან კავშირი და ამ კავშირის განმტკიცება ეროვნული იდენტობის შენარჩუნებას ნიშნავს, რადგან ადამიანს სამყაროს შეცნობა მხოლოდ მშობლიური ენით შეუძლია.

აღნიშნულ პროექტში მონაწილეობა დიდად მნიშვნელოვანია საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისთვის, რადგან მშობლიური ენის სათანადო დონეზე დაუფლების შემთხვევაში, მოზარდები შეძლებენ ჩვენი ქვეყნის რელიგიის ისტორიის გაცნობასაც.

მნიშვნელოვან ეროვნულ საქმეს აკეთებს ამ მიმართულებით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში მოქმედი ქართული ენის დისტანციური სწავლების პროგრამა. ამ პროგრამაში ჩართული მოსწავლეები ცხოვრობენ საზღვარგარეთ და იმყოფებიან სხვადასხვა კულტურულ და სოციალურ გარემოში. ქართული ენის დისტანციური სწავლების პროგრამის საშუალებით, საზღვარგარეთ მცხოვრები ბავშვები სწავლობენ მშობლიურ ენას და, იმადროულად, სხვადასხვა ქვეყანაში ქართული ეკლესიის ფრთის ქვეშ მოქმედ სამრევლო თუ საკვირაო სკოლებში მოსწავლეები პირისპირ ეზიარებიან რელიგიის ისტორიასა და ქართულ კულტურას.

ზემოხსენებულ უწყებათა თანამშრომლობის ფარგლებში, კვლავ გავაგრძელებთ მუშაობას სხვადასხვა დონის სასწავლო რესურსების შექმნაზე, რომლებიც დაეხმარება უცხოეთში მცხოვრებ ქართველ მოსწავლეებს სამშობლოსთან დაახლოებაში.

საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულე მოზარდებში ქართული ცნობიერების ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელშეწყობა საქართველოს სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანს წარმოადგენს. ქართული დიასპორისათვის მშობლიური ენის შენარჩუნება ოდითგანვე მნიშვნელოვანი იყო. ჩვენი დიასპორა, ჩვენს სახელმწიფოსთან ერთად, ნათლად აცნობიერებს, რომ უცხოეთში დაბადებული ქართველი ბავშვებისთვის მშობლიურ ფესვებთან კავშირის შესანარჩუნებლად უმთავრესი მშობლიური ენის ცოდნაა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან ერთად, განახორციელა კიდევ ერთი ერთობლივი პროექტი, რომელიც საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენს პატარა თანამემამულეებს ქართული ენის ცოდნის გაუმჯობესების საშუალებას მისცემს. პროექტის მიზანია, ქართული ენის სწავლის პროცესში ჩართოს ყველა ის ქართველი ბავშვი, რომელიც დღეს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში იმყოფება და სურს დაეუფლოს მშობლიურ ენას.

სახელმძღვანელო წარმოადგენს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ერთად შემუშავებული ქართული ენის სწავლების ინტეგრირებული, სამსაფეხურიანი პროგრამის შემადგენელ ნაწილს – მის პირველ საფეხურს და განკუთვნილია დამწყებთათვის. სახელმძღვანელოს გაუმჯობესების აუცილებლობა საკვირაო სკოლების პედაგოგებთან არაერთი შეხვედრის შედეგად გამოიკვეთა. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სახელმძღვანელოს დახვეწასა და სრულყოფაზე წინადადებების შემუშავების პროცესი ერთობლივად, სახელმწიფოს, საკვირაო სკოლების პედაგოგებისა და საავტორო ჯგუფის ჩართულობით მიმდინარეობდა, რამაც შესაძლებელი გახადა, შექმნილიყო ქართული ენის პირველი საფეხურის, დაწყებითი დონის, ახალი ინტეგრირებული სახელმძღვანელო – „33 გასაღები“ (ქართული ენის სახელმძღვანელო დამწყებთათვის).

სახელმძღვანელო, რომელიც მომზადდა განათლების სისტემაში მოღვაწე პროფესიონალთა გუნდის მიერ, ითვალისწინებს საზღვარგარეთის ქვეყნებში მოქმედ საკვირაო სკოლებში ერთიანი სტანდარტის დანერგვასა და სწავლების დონის ამაღლებას. ის ხელს შეუწყობს საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ ბავშვებში ქართული ენისა და კულტურის პოპულარი-

ზაციას, სამშობლოსთან სიახლოვის განცდას და საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენს პატარა თანამემამულეებს ქართული ენის ცოდნის გაუმჯობესების საშუალებას მისცემს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ერთად, სამომავლოდ კვლავაც გააგრძელებს მუშაობას თანამემამულე მოზარდების სასკოლო მზაობის შესაბამისი, ერთიანი სტანდარტის შესატყვისი სახელმძღვანელოების შესაქმნელად, ჩვენი ქვეყნის კულტურული და ეროვნული მახასიათებლების გათვალისწინებით, რათა ხელი შეუწყოს საზღვარგარეთ მცხოვრებ მოზარდებს ქართული ენის შესწავლაში, მშობლიური ქვეყნის ისტორიის გაცნობაში, ეროვნული ფასეულობების განმტკიცებაში.

მუხრან გულაშვილი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი

შინაარსი

ა 12
ბ 17
გ 22
დ 28
ე 32
ვ 36
ზ 39
თ 43
ი 49
კ 53
ლ 57
მ 61
ნ 65
ო 69
პ 72
ჟ 75
რ 79
ს 83
ტ 87
უ 90
ფ 93
ქ 96
ღ 99
ყ 102
შ 105
ჩ 108
ც 111
ძ 114
წ 117
ჭ 120
ხ 123
ჯ 126
ჰ 129

ა

თემა	აეროპორტი, არდადეგები
მიზანი	თემასთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა. სურათების აღწერა. ფრაზებზე მუშაობა. მოსმენილი/წაკითხული ტექსტის გააზრება. კითხვებზე პასუხის გაცემა. მარტივი ინსტრუქციების შესრულება. ტექსტების კითხვა.
აქტივობა	მოსწავლის წიგნი **პედაგოგი ყველა გაკვეთილზე მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემას.** აქტივობა N1 **მასწ.:** დღეს ჩვენი გაკვეთილის თემაა „აეროპორტი, არდადეგები“. თუ იცით, რას ნიშნავს ეს სიტყვები? დააკვირდით სურათებს და გამოიცანით, სად არიან სურათებზე გამოსახული ადამიანები? ძირითადად როდის მოგზაურობენ ადამიანები? ახალ წელს, ზაფხულში, არდადეგებზე? მასწავლებელი იწყებს წიგნზე მუშაობას: ■ გინახავთ თვითმფრინავი? ■ თუ გიფრენიათ თვითმფრინავით? ■ როგორ დაემშვიდობეთ წასვლისას ოჯახის წევრებს? ■ შეგიძლიათ გაიხსენოთ, რა ნახეთ თვითმფრინავში ჩაჯდომამდე და შემდეგ? ■ რა ჰქვია ადგილს, სადაც თვითმფრინავები დგას? ■ გაიხსენეთ, რით მიხვედით აეროპორტში? ■ რაში ჩაალაგეთ ნივთები?

- ვის მიეცით ბილეთი?
- რა ჰქვია ადამიანს, რომელიც სადღაც მიემგზავრება?
- რომელი საბუთი გჭირდებათ მგზავრობისას?

აქტივობა N2

დიდი ალბათობით, ბავშვები შეძლებენ აეროპორტთან დაკავშირებული საკუთარი ისტორიების მოყოლას. თუ არადა, მასწავლებელი ილუსტრაციების დახმარებით შეეცდება გაახსენოს მათ აეროპორტში მოსალოდნელი სიტუაციები.

აქტივობა N3. სამოდელო კითხვა

წიგნის პირველ გვერდზე მოცემულია 3 სიტუაცია:
1 (ღია ცისფერი) გამგზავრება-დახვედრის მოკლე სცენა;
2 (ვარდისფერი) ჩასვლისას შეხვედრა-გაცნობა;
3 (მუქი ცისფერი) ხანმოკლე ნაცნობობა აეროპორტში.
მასწავლებელი კითხულობს სანიმუშოდ სამივე ტექსტს.
სამოდელო კითხვის შემდეგ ყველა ერთად კითხულობს.
შესაძლებელია ინდივიდუალური კითხვაც.

აქტივობა N4. როლური თამაში

მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს როლურ თამაშს – „დღეს საქართველოში მივფრინავ“: ამ თამაშით წაკითხულ სიტუაციას გაითამაშებენ ჯერ მასწავლებელთან ერთად, შემდეგ ერთმანეთთან, მასწავლებლის დახმარებით.

აქტივობა N5. თამაში: ვინ მეტი ქართული სიტყვა იცის?

მასწავლებელი არეული თანმიმდევრობით აჩვენებს წიგნის ილუსტრაციებს და ეკითხება საგნის სახელებს:
რა დგას აეროპორტის შესასვლელთან?
ვის შეიძლება შეხვდე აეროპორტში?..

აქტივობა N6. თამაში: ლაბირინთი „აეროპორტი“

ერთ-ერთი მოსწავლე პირველადაა აეროპორტში და უნდა დასვას 5 კითხვა ან თქვას აეროპორტთან დაკავშირებული 5 ფრაზა,
– გამარჯობა!
– რა გქვია?

	– როგორ ხართ? – გმადლობთ, კარგად, თქვენ? – ბოდიში უნდა წავიდე და ა.შ. აქტივობა N7 მასწავლებელი სვამს შემაჯამებელ კითხვას: რა ვისწავლეთ დღეს ახალი? შემდეგ სთავაზობს მოსწავლეებს ცხრილს, სვამს კითხვებს ცხრილის მიხედვით და მარტივად აანალიზებს, რამდენად მიაღწია მიზანს. გაკვეთილის რომელი აქტივობა მოგეწონათ ყველაზე მეტად? რა ვიცოდი? | რა ვისწავლე? | რა მინდა გავიგო?
რესურსი	წიგნის ა ასოს ილუსტრაცია
დამატებითი რესურსი	**თვითმფრინავის გაკეთება ქაღალდით** პაზლები **https://www.jigsawplanet.com/?rc=play&pid=0dd25badc2e2** **ა ასო** **https://www.jigsawplanet.com/?rc=play&pid=1582c4e7b3d6**

ცხრილი მოსწავლის განვითარების დინამიკის ჩასანიშნად

მოსწავლე	მოსმენა	საუბარი	კითხვა	წერა
1				
2				
3				

თემა	**ა ასოს შესწავლა**
მიზანი	ა ასოსთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა. სურათების აღწერა. ფრაზებზე მუშაობა. მოსმენილი/წაკითხული ტექსტის გააზრება. კითხვებზე პასუხის გაცემა.

	მარტივი ინსტრუქციების შესრულება. ტექსტების კითხვა. რვეულში მუშაობა.
აქტივობა	მოსწავლის წიგნი აქტივობა N1. **მასწ.: –** დღეს ჩვენი გაკვეთილის თემაა „ასო ა“, მოდით გავიხსენოთ ა ასოზე დაწყებული სიტყვები. მასწავლებელი იწყებს წიგნზე მუშაობას: დააკვირდი სურათებს და გამოიცანი თითოეული სიტყვა ილუსტრაციის მიხედვით. აქტივობა N2. დააკვირდი სურათს – სად არიან ბავშვები? – რამდენი ბავშვია? – შენი აზრით, წელიწადის რომელი დროა ახლა? – ზაფხულში სწავლობენ ეს ბავშვები? რატომ? და ა. შ. დააკვირდი ბავშვებს და დაარქვი ა ასოზე დაწყებული სახელები. აქტივობა N3. სამოდელო კითხვა მასწავლებელი კითხულობს სანიმუშოდ ტექსტს. სამოდელო კითხვის შემდეგ ყველა ერთად კითხულობს. შესაძლებელია ინდივიდუალური კითხვაც. აქტივობა N4. ლექსიკაზე მუშაობა ანი – გოგოს სახელი; ანრი – ბიჭის სახელი; არდადეგები – დასვენება; აგარაკი – საცხოვრებელი და დასასვენებელი; (უპირატესად – ზაფხულობით) ადგილი ქალაქგარეთ; აუზი – წყლით სავსე დიდი ზომის ხელოვნური სივრცე; ათი – 10. აქტივობა N5. თამაში „ჯადოსნური სკივრი“ მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს როლურ თამაშს – „ჯადოსნური სკივრი“. მასწავლებელი ამოიღებს სურათს შესწავლილი სიტყვების გამოსახულებით. მოსწავლე ასახელებს ამ სიტყვებს.

	დასახელებულ სიტყვებს მასწავლებელი ერთმანეთის ქვეშ ალაგებს და კითხულობს: – რა აქვთ ამ სიტყვებს მსგავსი? – ასო ა. **აქტივობა N6. წერაში ვარჯიში** მასწავლებელი აჩვენებს, როგორ იწერება ასო ა ბადეში. მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რომ ქართული ბადე არის 3 სახის. ასოს დაწერის წესს უხსნის სამივე ბადეში. ა ასო იწყება ქართული დედნის კვადრატულ უჯრაში. უჯრის შუა წერტილების რკალებით შეერთებას ვიწყებთ მარცხენა გვერდის შუა წერტილიდან და ვამთავრებთ ზედა შუა წერტილთან ხელის აუღებლად. მოსწავლეები ვარჯიშობენ წერაში. **აქტივობა N7. რვეულში მუშაობა** პედაგოგი რვეულში მუშაობას ბავშვებს მარტივი სავარჯიშოებით აწყებინებს და ნელ-ნელა ართულებს. 1. გამოწერე ასო ა. 2. გააფერადე ასო ა. 3. მოძებნე ასო ა. 4. იპოვე ასო ა-ზე დაწყებული სიტყვა და გააფერადე. დანარჩენი სავარჯიშოები შეუძლია შეასრულოს სახლში. მასწავლებელი სვამს შემაჯამებელ კითხვას: რა ვისწავლეთ დღეს ახალი? შემდეგ სთავაზობს მოსწავლეებს ცხრილს, სვამს კითხვებს ცხრილის მიხედვით და მარტივად აანალიზებს, რამდენად მიაღწია მიზანს. გაკვეთილის რომელი აქტივობა მოგეწონათ ყველაზე მეტად? რომელი დავალება გერთულათ ყველაზე მეტად?
რესურსი	წიგნის ა ასოს ილუსტრაცია; რვეული
დამატებითი რესურსი	**თვითმფრინავის გაკეთება ქაღალდით** პაზლები **https://www.jigsawplanet.com/?rc=play&pid=0dd25badc2e2** **ა ასო** **https://www.jigsawplanet.com/?rc=play&pid=1582c4e7b3d6**

ბ

თემა	ბუნება, ბოტანიკური ბაღი
მიზანი	თემასთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა. სურათების აღწერა. ფრაზებზე მუშაობა. მოსმენილი/წაკითხული ტექსტის გააზრება. კითხვებზე პასუხის გაცემა. მარტივი ინსტრუქციების შესრულება. ტექსტების კითხვა.
აქტივობა	მოსწავლის წიგნი აქტივობა N1. ლექსიკაზე მუშაობა **პედაგოგი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემას.** **მასწ.:** – დღეს ჩვენი გაკვეთილის თემაა „ბუნება, ბოტანიკური ბაღი“. თუ იცით, რას ნიშნავს ეს სიტყვები? სასურველია, ეს გაკვეთილი ბუნებაში ჩატარდეს ან მასალის ახსნის შემდეგ აუცილებლად გავიდნენ ბუნებაში, რომ პრაქტიკაში გამოიყენონ ახალი სიტყვები. დააკვირდით სურათებს და რას ხედავთ? მასწავლებელი იწყებს წიგნზე მუშაობას: ■ მაჩვენე ხე, ბალახი, ყვავილი, ბუჩქი, მდინარე, ზღვა, სანაპირო. ამ ყველაფერს ერთად ჰქვა ბუნება. ■ დამისახელე ხეები: ფიჭვი, მაგნოლია, პალმა, მუხა, ბამბუკი. ■ ბევრი ხე ტყეა. ■ მომიძებნე ყვავილები: კაქტუსი, ვარდი. ■ მაჩვენე მთა, მდინარე, ჩანჩქერი, ზღვა და ა. შ.

აქტივობა N2. პირადი ისტორიების გახსენება „მე და ბუნება“

მასწავლებელი საშუალებას აძლევს, ბუნებასთან დაკავშირებულ ისტორიებზე ისაუბრონ ბავშვებმა.

აქტივობა N3. ბათუმი

რა არის ბათუმი?
ვინ ყოფილა ბათუმში? მოგეწონათ?
რა არის მწვანე კონცხი?
რომელი სურათი ჰგავს ბათუმს?

აქტივობა N4. სურათის დახმარებით დაახასიათე ბათუმი

ეს არის ბათუმი. ბათუმი ზღვისპირა ქალაქია. ბათუმში არის ლამაზი სანაპირო, ბულვარი, თეატრი, საკონცერტო დარბაზები, კაფეები და ა.შ.

სამოდელო კითხვა
წიგნის პირველ გვერდზე მოცემულია 3 სიუჟეტი, მასწავლებელი კითხულობს სანიმუშოდ სამივე ტექსტს. სამოდელო კითხვის შემდეგ ყველა ერთად კითხულობს. შესაძლებელია ინდივიდუალური კითხვაც.

მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს თამაშს:
„გაიხედე ფანჯრიდან“: ამ თამაშით მასწავლებელი ააქტიურებინებს ახალ ნასწავლ თემატურ ლექსიკას – აი ხე, აი ბუჩქი, აი მთა და ა. შ.

აქტივობა N5. თამაში: ტყუილი თუ მართალი?

მასწავლებელი შეცდომით ასახელებს საგნის სახელს, ბავშვები ასწორებენ:
– ეს არის ხე.
– არა, ეს არის ზღვა და ა.შ.

აქტივობა N6. თამაში: მინიშნებებით სიტყვის გამოცნობა

მწვანეა და ეკლიანი – კაქტუსი;
მწვანეა, ეკლიანი, კარგი სუნი აქვს – ვარდი და ა.შ.

	აქტივობა N7. მასწავლებელი სვამს შემაჯამებელ კითხვას: რა ვისწავლეთ დღეს ახალი? შემდეგ სთავაზობს მოსწავლეებს ცხრილს, სვამს კითხვებს ცხრილის მიხედვით და მარტივად აანალიზებს, რამდენად მიაღწია მიზანს. გაკვეთილის რომელი აქტივობა მოგეწონათ ყველაზე მეტად? P.S. შესაძლებელია ასფალტზე ხატვაც. {table_1}
რესურსი	წიგნის ბ ასოს ილუსტრაცია
დამატებითი რესურსი	პაზლები

რა ვიცოდი?	რა ვისწავლე?	რა მინდა გავიგო?

ცხრილი მოსწავლის განვითარების დინამიკის ჩასანიშნად

მოსწავლე	მოსმენა	საუბარი	კითხვა	წერა
1				
2				
3				

თემა	**ბ ასოს შესწავლა**
მიზანი	ბ ასოსთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა. სურათების აღწერა. ფრაზებზე მუშაობა. მოსმენილი/წაკითხული ტექსტის გააზრება. კითხვებზე პასუხის გაცემა. მარტივი ინსტრუქციების შესრულება. ტექსტების კითხვა. რვეულში მუშაობა.

აქტივობა	მოსწავლის წიგნი აქტივობა N1. **მასწ.:** – დღეს ჩვენი გაკვეთილის თემაა „ასო ბ“. მოდით გავიხსენოთ ბ ასოზე დაწყებული სიტყვები: ბამბუკი, ბავშვი, ბაღი, ბალახი და ა. შ. აქტივობა N2. მასწავლებელი მოაძებნინებს თუ არის საკლასო ოთახში ამ სიტყვების შესაფერისი საგნები. აქტივობა N3. ააწყვე პაზლი და გამოიცანი სიტყვა:  აქტივობა N4. სურათის აღწერა დააკვირდით სურათს. ვის ხედავთ სურათზე? ბებია, ბაბუა, ბიჭი. რა უჭირავს ბებიას? რით თამაშობს ბიჭი? სად თამაშობენ? (მინდორი, ბალახი) რა დგას ბებიის უკან? აქტივობა N5. სამოდელო კითხვა მასწავლებელი კითხულობს სანიმუშოდ ტექსტს. სამოდელო კითხვის შემდეგ ყველა ერთად კითხულობს. შესაძლებელია ინდივიდუალური კითხვაც. აქტივობა N6. თამაში „ჯადოსნური სკივრი“ მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს როლურ თამაშს: „ჯადოსნური სკივრი“. მასწავლებელი ამოიღებს

	სურათს შესწავლილი სიტყვების გამოსახულებით. მოსწავლე ასახელებს ამ სიტყვებს. დასახელებულ სიტყვებს მასწავლებელი ერთმანეთის ქვეშ ალაგებს და კითხულობს: – რა აქვთ ამ სიტყვებს მსგავსი? – ასო ბ. აქტივობა N7. წერაში ვარჯიში მასწავლებელი აჩვენებს, როგორ იწერება ასო ბ ბადეში. მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რომ ქართული ბადე არის 3 სახის. ასოს დაწერის წესს უხსნის სამივე ბადეში. ბ ასო იწყება ქართული დედნის ზედა მართკუთხა უჯრაში და სრულდება კვადრატულ უჯრაში. მასწავლებელი აჩვენებს ასოს წერის მიმართულებას. მოსწავლეები ვარჯიშობენ წერაში. აქტივობა N8. რვეულში მუშაობა პედაგოგი რვეულში მუშაობას ბავშვებს მარტივი სავარჯიშოებით აწყებინებს და ნელ-ნელა ართულებს. 1. გამოწერე ასო ბ. 2. გააფერადე ასო ბ. 3. მოძებნე ასო ბ. 4. იპოვე ასო ბ-ზე დაწყებული სიტყვა და გააფერადე. დანარჩენი სავარჯიშოები შეუძლია შეასრულოს სახლში. მასწავლებელი აჯამებს ნასწავლ მასალას: ■ დაასახელეთ 5 სიტყვა, რომელიც იცოდით. ■ დაასახელეთ 5 სიტყვა, რომელიც დღეს ისწავლეთ. ■ დაასახელეთ 5 სიტყვა, რომელიც ლამაზად დაწერეთ. ■ გაკვეთილის რომელი აქტივობა მოგეწონათ ყველაზე მეტად? ■ რომელი დავალება გერთულათ ყველაზე მეტად?
რესურსი	წიგნის ბ ასოს ილუსტრაცია; რვეული
დამატებითი რესურსი	პაზლები https://www.jigsawplanet.com/?rc=play&pid=0dd25badc2e2 ბ ასო https://www.jigsawplanet.com/?rc=play&pid=1582c4e7b3d6

3

თემა	გარეგნობა, სხეულის ნაწილები
მიზანი	თემასთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა. სურათების აღწერა. ფრაზებზე მუშაობა. მოსმენილი/წაკითხული ტექსტის გააზრება. კითხვებზე პასუხის გაცემა. მარტივი ინსტრუქციების შესრულება. ტექსტების კითხვა.
აქტივობა	მოსწავლის წიგნი აქტივობა N1. ლექსიკაზე მუშაობა. ააწყვე თოჯინა **პედაგოგი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემას.** **მასწ.:** – დღეს ჩვენი გაკვეთილის თემაა „გარეგნობა, სხეულის ნაწილები“. მასწავლებელს შემოაქვს ნაწილებად დაშლილი თოჯინა. მოდით ერთად ავაწყოთ: სხეულის რომელი ნაწილით დავიწყოთ აწყობა? იღებს სათითაოდ ნაწილებს და აჩვენებს: – ეს რა არის? – ხელი. – რამდენი ხელი გვაქვს? – ორი. – ხელები რით ბოლოვდება? – თითებით. – რამდენი თითი გვაქვს?

– ათი.

და ასე ყველა ნაწილს ვუმაგრებთ თოჯინას.

აქტივობა N2. „მე და სარკე“ (წყვილში მუშაობა)

ერთი მოსწავლე ასახელებს სხეულის ნაწილებს, მეორე – აჩვენებს ამ სხეულის ნაწილს.

აქტივობა N3. ფრაზები პრაქტიკაში

ნინო გოგოა, დედა ქალია, მამა კაცია, გიგა ბიჭია.
ბიჭები დადექით ფანჯარასთან; გოგოები დადექით კედელთან.
გვანცას შავი თმა აქვს. შავთმიანები დადექით დაფასთან.
გოგას ქერა თმა აქვს.
ქერათმიანები დასხედით სკამებზე.
ლიას ქერა და ხვეული თმა აქვს.
გიას შავი და მოკლე თმა აქვს.
დალი მაღალი და გამხდარია.
გურამი მაღალი და მსუქანია.
ლელას მწვანე თვალები აქვს, გიორგის ცისფერი თვალები აქვს.

აქტივობა N4. „ჩემი ადამიანი“

მოსწავლე ხატავს ადამიანს და შემდეგ აღწერს თავის დახატულს.

გოგონას აქვს შავი გრძელი თმა, მწვანე თვალები, ორი ხელი...

აქტივობა N5. სამოდელო კითხვა

წიგნის პირველ გვერდზე მოცემულია 3 სიუჟეტი, მასწავლებელი კითხულობს სანიმუშოდ სამივე ტექსტს. სამოდელო კითხვის შემდეგ ყველა ერთად კითხულობს. შესაძლებელია ინდივიდუალური კითხვაც.

აქტივობა N6.

მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს თამაშს: „ტყუილი თუ მართალი“: ამ თამაშით მასწავლებელი ააქტიურებინებს ახალ ნასწავლ თემატურ ლექსიკას. იძახებს რომელიმე მოსწავლეს.

ლიკა არის მაღალი – ტყუილი თუ მართალი?
ლიკა არის დაბალი
და ა.შ.

აქტივობა N7. თამაში: რა არის ზედმეტი?

მასწავლებელი აჩვენებს ნახატს, სადაც რაღაც ან ზედმეტია, ან ნაკლები. მოსწავლემ უნდა ამოიცნოს ზედმეტიც და ნაკლებიც.

ა) რა არ აქვს ამ სახეს?
(თმა, თვალი, ყური, პირი, ცხვირი, წარბი)

ბ) რა აკლია

აქტივობა N8.

მასწავლებელი სვამს შემაჯამებელ კითხვას: რა ვისწავლეთ დღეს ახალი? შემდეგ სთავაზობს მოსწავლეებს ცხრილს, სვამს კითხვებს ცხრილის მიხედვით და მარტივად აანალიზებს, რამდენად მიაღწია მიზანს.

გაკვეთილის რომელი აქტივობა მოგეწონათ ყველაზე მეტად?

რა ვიცოდი?	რა ვისწავლე?	რა მინდა გავიგო?

რესურსი	წიგნის გ ასოს ილუსტრაცია
დამატებითი რესურსი	პაზლები

ცხრილი მოსწავლის განვითარების დინამიკის ჩასანიშნად

მოსწავლე	მოსმენა	საუბარი	კითხვა	წერა
1				
2				
3				

თემა	გ ასოს შესწავლა
მიზანი	**გ ასოსთან** დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა. სურათების აღწერა. ფრაზებზე მუშაობა. მოსმენილი/წაკითხული ტექსტის გააზრება. კითხვებზე პასუხის გაცემა. მარტივი ინსტრუქციების შესრულება. ტექსტების კითხვა. რვეულში მუშაობა.
აქტივობა	მოსწავლის წიგნი აქტივობა N1. **მასწ.:** – დღეს ჩვენი გაკვეთილის თემაა „ასო გ“, მოდით გავიხსენოთ გ ასოზე დაწყებული სიტყვები: გვირილა, გორილა, გოგო, გოგრა და ა.შ. აქტივობა N2. მასწავლებელი მოაძებნინებს თუ არის საკლასო ოთახში გ ასოზე დაწყებული საგნები.

აქტივობა N3. ააწყვე პაზლი და გამოიცანი სიტყვა:



აქტივობა N4. სურათის აღწერა

დააკვირდით სურათს. ვის ხედავთ სურათზე?
როგორია გოგონა?
როგორია ბიჭი?

აქტივობა N5. სამოდელო კითხვა

მასწავლებელი კითხულობს სანიმუშოდ ტექსტს. სამოდელო კითხვის შემდეგ ყველა ერთად კითხულობს. შესაძლებელია ინდივიდუალური კითხვაც.

აქტივობა N6. თამაში „ჯადოსნური სკივრი“

მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს როლურ თამაშს: „ჯადოსნური სკივრი“. მასწავლებელი ამოიღებს სურათს შესწავლილი სიტყვების გამოსახულებით. მოსწავლე ასახელებს ამ სიტყვებს.

დასახელებულ სიტყვებს მასწავლებელი ერთმანეთის ქვეშ ალაგებს და კითხულობს: – რა აქვს ამ სიტყვებს მსგავსი?
– ასო გ.

აქტივობა N7. წერაში ვარჯიში

მასწავლებელი აჩვენებს, როგორ იწერება ასო გ ბადეში. მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რომ ქართული ბადე არის 3 სახის. ასოს დაწერის წესს უხსნის სამივე ბადეში. მასწავლებელი აჩვენებს გ ასოს წერის მიმართულებას.

მოსწავლეები ვარჯიშობენ წერაში.

	აქტივობა N8. რვეულში მუშაობა პედაგოგი რვეულში მუშაობას ბავშვებს მარტივი სავარჯიშოებით აწყებინებს და ნელ-ნელა ართულებს. 1. გამოწერე ასო გ. 2. გააფერადე ასო გ. 3. მოძებნე ასო გ. 4. იპოვე ასო გ-ზე დაწყებული სიტყვა და გააფერადე. დანარჩენი სავარჯიშოები შეუძლია შეასრულოს სახლში. მასწავლებელი აჯამებს ნასწავლ მასალას: ■ დაასახელეთ 5 სიტყვა, რომელიც იცოდით. ■ დაასახელეთ 5 სიტყვა, რომელიც დღეს ისწავლეთ. ■ დაასახელეთ 5 სიტყვა, რომელიც ლამაზად დაწერეთ. ■ გაკვეთილის რომელი აქტივობა მოგეწონათ ყველაზე მეტად? ■ რომელი დავალება გერთულათ ყველაზე მეტად?
რესურსი	წიგნის გ ასოს ილუსტრაცია; რვეული
დამატებითი რესურსი	პაზლები

10

თემა	დაბადების დღე
მიზანი	■ დაბადების დღის დასახელება; ■ სადღესასწაულო ნივთების აღწერა; ■ დაბადების დღისთვის დამახასიათებელი საკომუნიკაციო ფრაზები; ■ სტუმრების და საკვების აღწერა-დახასიათება; ■ სურათების აღწერა; ■ ტექსტების ერთობლივი კითხვა; ■ თემის შესახებ კითხვებზე პასუხი.
აქტივობა	1. სარეკომენდაციო შეკითხვები: გიყვარს შენი დაბადების დღე? როდის გაქვს დაბადების დღე? ვინ გილოცავს? რა გიხარია ყველაზე მეტად? რომელ სიმღერას მღერი? ვინ გართობს? 2. „იდუმალი ყუთი“. ყუთში აწყვია სადღესასწაულო ნივთების ფოტოები. მოსწავლე ამოიღებს და ამბობს, არის ეს სადღესასწაულო ნივთი თუ არა (შერეული ნივთების ფოტოები). 3. ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა: *რა არის სურათზე?* – მასწავლებელი ასახელებს ილუსტრირებულ სადღესასწაულო ნივთებს. მოსწავლეები იმეორებენ. 4. საკომუნიკაციო უნარების გამოვლენა: ნაცნობი და უცნობი საგნების ამოცნობა და დასახელება. საკუთარი გამოცდილების გაზიარება. 5. ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად: 1. მასწავლებელი არეული თანმიმდევრობით აჩვენებს ილუსტრაციებს და ეკითხება: *1. ვინ არიან ესენი? 2. ვინ მოვიდა სტუმრად? 3. რამდენი ბავშვია? 4. ვინ მღერის? 5. ვინ ჭამს ტორტს? 6. ვინ ცეკვავს?* მოსწავლემ უნდა აჩვენოს სურათები.

	6. ფრაზებსა და ლექსიკაზე მუშაობა: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ამუშავებს ფრაზებს: დედამ ტორტი მოიტანა. ტორტზე სანთლებია. სანთლები ავანთეთ. სანთლები ჩავაქრე. დედამ და მამამ დაბადების დღე მომილოცეს. უკვე დიდი ვარ. *ვინ მოიტანა ტორტი?* *რა არის ტორტზე?* *რა ავანთე?* *ვინ მომილოცა დაბადების დღე?* *მე ვარ....* 7. შექმენი და გამოიყენე – მოსწავლეები ამზადებენ მისალოც ბარათებს ან გააფერადებენ მასწავლებლის მიერ მომზადებულს. 8. მასწავლებელი აჩვენებს მომდევნო სურათებს და ეკითხება: *რომელია დროშა? რომელია დოლი? რომელია დოქი? რომელია დედამიწა?..* ერთი სვამს კითხვას, მეორე პასუხობს. 9. სამოდელო კითხვა – მასწავლებელი კითხულობს ტექსტებს. შემდეგ მოსწავლეებთან ერთად იმეორებს ტექსტს. კითხულობენ ასევე ხმამაღლა, ერთად. 10. სურათების აღწერა: ვის ხედავ სურათზე? რა ჰქვია პატარა გოგონას? ვინ გამოუცხო ტორტი? ვინ მოართვა საჩუქრები? რა ითამაშეს და როგორ იმხიარულეს? როგორი იყო დოდონა? (ბედნიერი, მოწყენილი თუ მხიარული). 11. ილუსტრაციაზე დაკვირვება. დედა და შვილი. სამი ბავშვი. საჩუქრები. ტორტი და სანთლები. საჩუქრის ყუთები. *მოსწავლე პოულობს სურათზე და ასახელებს.* ეს თამაში ილუსტრაციის ამოცნობაზე გრძელდება ყველა მოსწავლესთან. 12. კითხვებზე პასუხი: მასწავლებელი სვამს შეკითხვებს თემის შესახებ, მოსწავლეები პასუხობენ. 13. მოიფიქრეთ თითო შეკითხვა დაბადების დღეზე და დაუსვით მეწყვილეს.
რესურსები	წიგნი

თემა	**დ ასოს შესწავლა**
მიზანი	■ დ ასოს ცნობა; ■ დ ასოს მოხაზულობა; ■ ლექსიკური ერთეულები დ ასოზე; ■ დ ასოს ამოკითხვა; ■ ტექსტების ერთობლივი კითხვა.

აქტივობები:	1. მასწავლებელი წარმოთქვამს დ ასოს; 2. მასწავლებელი კითხულობს და მოსწავლეები იმეორებენ დ ასოზე დაწყებულ სიტყვებს; 3. მასწავლებელი აჩვენებს დ ასოს მოხაზულობას სამივე ბადეში; 4. მასწავლებელი მოსწავლეებს აძერწინებს დ ასოს პლასტელინით; 5. სავარჯიშო სამუშაო რვეულიდან .....; 6. ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად: 1. მასწავლებელი არეული თანმიმდევრობით აჩვენებს ილუსტრაციებს და ეკითხება: *რამდენი ადამიანია? რამდენი ბუშტია? რამდენი საჩუქარია? რამდენი ტორტია?* 7. სავარჯიშო სამუშაო რვეულიდან.....; 8. ამოიცანი ასო დ: მასწავლებელი დ ასოს ამოსაცნობად თანმიმდევრობით ასრულებს წიგნში მოცემულ სავარჯიშოებს. იპოვე დ ასო სიტყვებში. მოძებნე დ ასოზე დაწყებული სიტყვები. დაითვალე სიტყვებში დ ასოს რაოდენობა. 9. მასწავლებელი კითხულობს ლექსს: *რა ლამაზი დღეა,* *რა ნათელი მზეა,* *იმიტომ, რომ დღეს* *ჩემი დაბადების დღეა.* მოსწავლეები იმეორებენ (ასევე მღერიან. დართული აქვს ბმული რესურსებში). 10. ჩქარსათქმელი – მოსწავლეები იმეორებენ, მსჯელობენ მის მნიშვნელობაზე: *დიდი დათვი დრუნჩიანი* *დუდრუნა და დანდალაო,* *დილით ადრე წამომდგარა,* *თაფლის ჭამით დამთვრალაო.* *დამთვრალა და და და და და –* *რა დიდგულა გამხდარაო.* რამდენი სიტყვა დაიწყო დ ასოზე? სად გამეორდა ბევრჯერ დ? 11. სამოდელო კითხვა – მასწავლებელი კითხულობს ტექსტს თითის მიყოლებით. (შესაძლებელია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება: ჯერ მასწავლებელი კითხულობს ხმამაღლა, შემდეგ – ბავშვები, ერთობლივი კითხვა, მონაცვლეობითი კითხვა, ჯაჭვური კითხვა და ასე შემდეგ...); 12. პაზლის აწყობა: დაჭრილი ილუსტრაციით დაბადების დღის მისალოცი ბარათის ან ნივთის აწყობა და დასახელება.

	13. სიტყვა და ნახატი. მასწავლებელი აძლევს ილუსტრაციებს და სიტყვებს; მოსწავლემ უნდა ამოიცნოს და დაურთოს თან (მაგ: ტორტი, ბუშტი, საჩუქარი). 14. სავარჯიშო სამუშაო რვეულიდან.....; 15. სიტყვის ბარათები – დაჭრილი ტექსტის თანმიმდევრობით დალაგება; 16. სავარჯიშოები სამუშაო რვეულიდან... (სავარჯიშოების მიზნები...).
რესურსები:	■ რეკომენდაცია მასწავლებელს: ნახეთ სასწავლო ვიდეოფილმი: „დიდი წიგნების ერთობლივი კითხვა“ ■ https://www.youtube.com/watch?v=xmcybT9F_fg ჟოზეს დაბადების დღე ■ https://www.youtube.com/watch?v=ViV8vzdzAlk ■ https://www.jigsawplanet.com/?rc=play&pid=34654a4e69e4&pieces=9&shape=1 ტორტი ■ https://www.jigsawplanet.com/?rc=play&pid=0095e20faadc მისალოცი ■ https://www.jigsawplanet.com/?rc=play&pid=141bddb08771&pieces=8&shape=1 საჩუქარი

ე

თემა	ექიმთან
მიზანი	■ თემასთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა. ■ სურათების აღწერა. ■ ფრაზებზე მუშაობა. ■ მოსმენილი/წაკითხული ტექსტის გააზრება. ■ კითხვებზე პასუხის გაცემა. ■ მარტივი ინსტრუქციების შესრულება. ■ ტექსტების კითხვა
აქტივობა	მოსწავლის წიგნი აქტივობა N1. პირადი ისტორიების გახსენება **პედაგოგი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემას.** **მასწ.:** – დღეს ჩვენი გაკვეთილის თემაა „ექიმთან“. მასწავლებელი გაკვეთილზე შედის თეთრი ხალათით და სვამს კითხვას: – ვის ვგავარ ახლა მე? ბავშვები: – ექიმს. – ვინ ყოფილა ექიმთან? რატომ? მოსწავლეები იხსენებენ ექიმთან ვიზიტის მიზეზს. აქტივობა N2. როლური თამაში (წყვილში მუშაობა) ერთი მოსწავლე ექიმია, მეორე – პაციენტი. სიტუაცია კბილის ექიმთან: – გამარჯობა! – რა გაწუხებთ? – კბილი მტკივა. – ექიმი დღეს მუშაობს?

დიახ! პაციენტი ჰყავს; დაელოდეთ.
გვარი, სახელი ----------
და ა. შ.

აქტივობა N3. სამოდელო კითხვა

წიგნის პირველ გვერდზე მოცემულია 3 სიუჟეტი. მასწავლებელი კითხულობს სანიმუშოდ სამივე ტექსტს. სამოდელო კითხვის შემდეგ ყველა ერთად კითხულობს. შესაძლებელია ინდივიდუალური კითხვაც.

აქტივობა N4. სიტყვები და სიტუაცია

მასწავლებელი ამბობს ფრაზას და მოსწავლეები იხსენებენ ფრაზებს, რომლებიც იქ დასჭირდებათ.

სიტუაცია აფთიაქში:
– გამარჯობა!
– ბოლო ვინაა რიგში?
– თავის ტკივილის წამალი მინდა.
– რეცეპტი გაქვთ?
– მაქვს; ახლავე...

აქტივობა N5. თამაში: გამოიცანი

ადამიანს, რომელსაც არაფერი სტკივა, ჰქვია ....
კბილის ექიმს ჰქვია ....
ადამიანი, რომელიც სხვებს მკურნალობს, არის ....
წამალს ყიდულობ ....
წამლის საყიდლად გჭირდება ექიმის გამოწერილი ....
ექიმს ეხმარება .... და ა.შ.

აქტივობა N6.

მასწავლებელი სვამს შემაჯამებელ კითხვას: რა ვისწავლეთ დღეს ახალი? შემდეგ სთავაზობს მოსწავლეებს ცხრილს, სვამს კითხვებს ცხრილის მიხედვით და მარტივად აანალიზებს, რამდენად მიაღწია მიზანს.

გაკვეთილის რომელი აქტივობა მოგეწონათ ყველაზე მეტად?

რა ვიცოდი?	რა ვისწავლე?	რა მინდა გავიგო?

რესურსი	წიგნის ე ასოს ილუსტრაცია
დამატებითი რესურსი	ეს საწყალი კურდღელი სიმღერა https://www.youtube.com/watch?v=qRIGLvDpHs0

ცხრილი მოსწავლის განვითარების დინამიკის ჩასანიშნად

მოსწავლე	მოსმენა	საუბარი	კითხვა	წერა
1				
2				
3				

თემა	**ე ასოს შესწავლა**
მიზანი	**ე ასოსთან** დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა. სურათების აღწერა. ფრაზებზე მუშაობა. მოსმენილი/წაკითხული ტექსტის გააზრება. კითხვებზე პასუხის გაცემა. მარტივი ინსტრუქციების შესრულება. ტექსტების კითხვა. რვეულში მუშაობა.
აქტივობა	მოსწავლის წიგნი 1. **მასწ.: –** დღეს ჩვენი გაკვეთილის თემაა „ასო ე“, მოდით გავიხსენოთ ე ასოზე დაწყებული სიტყვები: ენძელა, ენოტი, ეშვი, ენა და ა.შ. 2. მასწავლებელი მოაძებნინებს თუ არის საკლასო ოთახში ე ასოზე დაწყებული საგნები. 3. ააწყვე პაზლი და გამოიცანი სიტყვა: 4. სურათის აღწერა: დააკვირდით სურათს, რას ხედავთ სურათზე?

	როგორია ბაჭია? რა სჭირდება მას? 5. მოვისმინოთ სიმღერა. 6. სამოდელო კითხვა. მასწავლებელი კითხულობს სანიმუშოდ ტექსტს. სამოდელო კითხვის შემდეგ ყველა ერთად კითხულობს. შესაძლებელია ინდივიდუალური კითხვაც. 7. თამაში „ჯადოსნური სკივრი“ მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს როლურ თამაშს: „ჯადოსნური სკივრი“. მასწავლებელი ამოიღებს სურათს შესწავლილი სიტყვების გამოსახულებით. მოსწავლე ასახელებს ამ სიტყვებს. დასახელებულ სიტყვებს მასწავლებელი ერთმანეთის ქვეშ ალაგებს და კითხულობს: – რა აქვს ამ სიტყვებს მსგავსი? – ასო ე. 8. წერაში ვარჯიში: მასწავლებელი აჩვენებს, როგორ იწერება ასო ე ბადეში. მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რომ ქართული ბადე არის 3 სახის. ასოს დაწერის წესს უხსნის სამივე ბადეში. მასწავლებელი აჩვენებს ე ასოს წერის მიმართულებას. მოსწავლეები ვარჯიშობენ წერაში. 9. რვეულში მუშაობა: პედაგოგი რვეულში მუშაობას ბავშვებს მარტივი სავარჯიშოებით აწყებინებს და ნელ-ნელა ართულებს. 1. გამოწერე ასო ე. 2. გააფერადე ასო ე. 3. მოძებნე ასო ე. 4. იპოვე ასო ე-ზე დაწყებული სიტყვა და გააფერადე. დანარჩენი სავარჯიშოები შეუძლია შეასრულოს სახლში. მასწავლებელი აჯამებს ნასწავლ მასალას: ■ დაასახელეთ 5 სიტყვა, რომელიც იცოდით; ■ დაასახელეთ 5 სიტყვა, რომელიც დღეს ისწავლეთ; ■ დაასახელეთ 5 სიტყვა, რომელიც ლამაზად დაწერეთ; ■ გაკვეთილის რომელი აქტივობა მოგეწონათ ყველაზე მეტად? ■ რომელი დავალება გერთულათ ყველაზე მეტად?
რესურსი	წიგნის ე ასოს ილუსტრაცია
დამატებითი რესურსი	რვეული პაზლები

3

თემა	ვარჯიში, ჯანსაღი ცხოვრება
მიზანი	■ სპორტდარბაზში ნივთების დასახელება; ■ დარბაზში მყოფი ადამიანების დახასიათება; ■ საკომუნიკაციო ფრაზები; ■ სპორტული გარემოს აღწერა; ■ სურათების აღწერა; ■ ტექსტების ერთობლივი კითხვა; ■ თემის შესახებ კითხვებზე პასუხი.
აქტივობა	1. სარეკომენდაციო შეკითხვები: რა ჰქვია ამ ოთახს? რას აკეთებენ? რამდენი ადამიანია დაკავებული სპორტით? 2. ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა: რას ხედავ სურათზე? – მასწავლებელი ასახელებს ილუსტრირებულ სპორტულ ნივთებს. – ეს არის... 3. ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად: 1. მასწავლებელი არეული თანმიმდევრობით აჩვენებს ილუსტრაციებს და ეკითხება: *რა არის ეს? სად არის მწვრთნელი? სად დგას ბიჭი? რას აკეთებენ გოგონები? რამდენი ბიჭი ვარჯიშობს? რამდენი ბავშვი ცურავს? რამდენი ბავშვი ვარჯიშობს? ვინ იღებს შხაპს? რა უკეთია მსაჯს?* მოსწავლემ უნდა აჩვენოს სურათები. 4. საკომუნიკაციო ფრაზების ათვისება – მუშაობა წყვილებში: მოსწავლეები რიგრიგობით აჩვენებენ მეწყვილეს სურათს და ამბობენ ფრაზას: *აი მწვრთნელი. აი სარბენი ბილიკი. აი სავარჯიშო ბილიკი. აი აუზი. აი ჰანტელები. აი მოცურავე.* 5. ფრაზებსა და ლექსიკაზე მუშაობა: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ამუშავებს ფრაზებს: დარბაზი

	დიდია. ჰანტელები მძიმეა. აუზი ღრმაა. სარბენი ბილიკი სწრაფია. *მე დავდივარ სავარჯიშოდ...* 6. მასწავლებელი აჩვენებს სურათს და ეკითხება: ვის უკეთია წელის ქამარი? რომელია კრივის ხელთათმანი? ვინ დგას სავარჯიშო ხალიჩაზე? რა უჭირავს ხელში? რომელია საცურაო აუზი? რამდენი ბავშვია აუზში? ერთი ეკითხება, მეორე პასუხობს. 7. სამოდელო კითხვა – მასწავლებელი კითხულობს ტექსტებს. შემდეგ მოსწავლეებთან ერთად იმეორებს ტექსტს. 8. სიტუაციური თამაში – „მე სპორტულ დარბაზში“: *მე ვიყავი სავარჯიშოდ. სად იყავი სავარჯიშოდ?* *მოგწონს ველოსიპედის ტარება?* *სტადიონზე თამაშობ ფეხბურთს? გიყვარს სპორტი?* *მოსწავლე პოულობს სურათზე და ასახელებს ნივთს.* ეს თამაში გრძელდება ყველა მოსწავლესთან. 9. სურათების აღწერა: სად არიან ბავშვები? რას აკეთებენ? ისაუბრე ორივე ილუსტრაციაზე. 10. დავალება: განასახიერე შენი საყვარელი სპორტის სახეობა ან ისაუბრე შენს საყვარელ სპორტსმენზე
რესურსები	წიგნი

თემა	**ვ ასოს შესწავლა**
მიზანი	■ ვ ასოს ცნობა; ■ ვ ასოს მოხაზულობა; ■ ლექსიკური ერთეულები ვ ასოზე; ■ ვ ასოს ამოკითხვა; ■ ტექსტების ერთობლივი კითხვა.
აქტივობა	1. მასწავლებელი წარმოთქვამს ვ ასოს; 2. მასწავლებელი აჩვენებს ვ ასოს მოხაზულობას სამივე ბადეში; 3. მასწავლებელი პლასტელინით ან ძაფით აწერინებს ვ ასოს; 4. მასწავლებელი კითხულობს და მოსწავლეები იმეორებენ ვ ასოზე დაწყებულ სიტყვებს; 5. სავარჯიშო სამუშაო რვეულიდან.....; 6. ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად: 1. მასწავლებელი არეული თანმიმდევრობით აჩვენებს ილუსტრაციებს და ეკითხება: რომელია ვაშლი? რა ფერია?

	რომელია ვარსკვლავი? რა ფერია? რომელია ვეშაპი? რა ფერია? 7. სავარჯიშო სამუშაო რვეულიდან.....; 8. მასწავლებელი კითხულობს გამოცანას: *თვალწარმტაცი ყვავილია,* *ვერას აკლებს ეკალ-ბარდი,* *თავბრუდამხვევ სურნელს აფრქვევს* *ყვავილების მეფე .....;* მოსწავლეები ხატავენ ან აფერადებენ ვარდს. 9. სამოდელო კითხვა – მასწავლებელი კითხულობს ტექსტს თითის მიყოლებით (შესაძლებელია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება: ჯერ მასწავლებელი კითხულობს ხმამაღლა, შემდეგ ბავშვები, ერთობლივი კითხვა, მონაცვლეობითი კითხვა, ჯაჭვური კითხვა და ასე შემდეგ...). 10. პერსონაჟების შერჩევა და დახასიათება. (რომელია ვაჩე?..); 11. სავარჯიშო სამუშაო რვეულიდან.....; 12. პაზლის აწყობა. დაჭრილი ილუსტრაციის აწყობა და ამოცნობა. რომელი ილუსტრაციაა (ნებისმიერი, რომელიც სპორტს ეხება); 13. სიტყვის ბარათები – ვარჯიშს მიუსადაგონ სიტყვები, რომლებიც გამოჭრილია, აწყვია მაგიდაზე. მოსწავლეებმა უნდა ამოარჩიონ და დაადონ; 14. ჯანსაღი ცხოვრება – ლექსიკური ერთეულების ათვისება: მუშაობა წყვილებში – სურათებზე მითითება – ვარჯიში, ცურვა, შხაპი; 15. სავარჯიშოები სამუშაო რვეულიდან... (სავარჯიშოების მიზნები...).
რესურსები	■ რეკომენდაცია მასწავლებელს: ნახეთ ფილმი „ვარჯიშის დღე მოკოლენდში“ მოკოლენდი, სეზონი 4, სერია 5 – ვარჯიშის დღე მოკოლენდში (youtube.com) ■ ჯანსაღი კვების პირამიდა

8

თემა	ზოოპარკში
მიზანი	■ ზოოპარკის აღწერა; ■ ზოოპარკში მყოფი ბინადრების დახასიათება; ■ ზოოპარკთან დაკავშირებული საკომუნიკაციო ფრაზები; ■ ცხოველების საცხოვრებელი გარემოს აღწერა; ■ სურათების აღწერა; ■ ტექსტების ერთობლივი კითხვა; ■ თემის შესახებ კითხვებზე პასუხი.
აქტივობა	1. გამოწვევის ფაზაზე: მასწავლებელი აჩვენებს ვოლიერს სურათზე ან უხატავს დაფაზე. რას გაგონებთ? მოსწავლეები მიჰყავს საუბრით ზოოპარკამდე. 2. სარეკომენდაციო შეკითხვები: ყოფილხარ ზოოპარკში? რა მოგეწონა და რა დაგამახსოვრდა? რომელი ცხოველი მოგწონს? რას ხედავ ამ სურათზე? რამდენი ცხოველია? რამდენი ადამიანია ზოოპარკში? რამდენი ვოლიერი და გალიაა? 3. ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა: *რას ხედავთ სურათზე?* – მასწავლებელი ასახელებს ილუსტრირებული ზოოპარკის ბინადრებს – ეს არის ლომი, ეს არის სპილო, ეს არის ჟირაფი. 4. სიტყვის კედელი – მასწავლებელი უჩვენებს გამოჭრილ სიტყვას და მოსწავლე იმეორებს რა წერია, მასწავლებლის დახმარებით. შემდეგ აკრავს კედელზე, რომელზეც ასე აღმოჩნდება ყველა სიტყვა. შევსებულ კედელზე ხშირად ამოიკითხავენ ნაცნობ სიტყვებს. 5. ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად: 1. მასწავლებელი არეული თანმიმდევრობით აჩვენებს ილუსტრაციას და ეკითხება: *რომელი ცხოველია დიდი? რომელი ცხოველებია ვოლიერში? გალიაში? აკვარიუმში?* მოსწავლემ უნდა აჩვენოს სურათები.

	6. საკომუნიკაციო ფრაზების ათვისება – მუშაობა წყვილებში: მოსწავლეები რიგრიგობით აჩვენებენ მეწყვილეს სურათს და ამბობენ ფრაზას: აი ბეჰემოთი. აი სპილო. აი დათვი. აი ვეფხვი. აი ლომი.... 7. ფრაზებსა და ლექსიკაზე მუშაობა: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ამუშავებს ფრაზებს: ვოლიერი-ვოლიერები. გალია-გალიები. აკვარიუმი-აკვარიუმები. ვოლიერში ცხოველია. გალიაში ფრინველია. აკვარიუმში თევზებია. *მე მყავს სახლში.....* 8. მასწავლებელი აჩვენებს სურათს და ეკითხება: რა დგას ზოოპარკის შემოსასვლელში? ვინ ზის? რას აკეთებს? ვინ შემოვიდა ცხოველების სანახავად? ვინ არიან მნახველები? ერთი სვამს კითხვას, მეორე პასუხობს. 9. სამოდელო კითხვა – მასწავლებელი კითხულობს ტექსტებს. შემდეგ მოსწავლეებთან ერთად იმეორებს ტექსტს. 10. სიტუაციური თამაში: „მე ზოოპარკში“ – ეს რა არის? რომელ ცხოველებს ხედავ აქ? რომელი ცხოველებია ვოლიერში (ჩამოთვალე)? *სად არიან ფრინველები (ჩამოთვალე)? მოგწონს ზოოპარკში სეირნობა? მოსწავლე პოულობს სურათზე და ასახელებს ცხოველს.* ეს თამაში გრძელდება ყველა მოსწავლესთან. 11. დააკავშირე, ვინ რას აკეთებს: ლომი ღრიალებს. დათვი ბაჯბაჯებს. თუთიყუში დაფრინავს. ბეჰემოთი აუზშია. აქლემი კუზიანია. სპილო ხორთუმიანია. 12. ამოიცანი პერსონაჟი (რომელს რა სახელი ჰქვია) რა ნახა ზაზამ ზოოპარკში? და ლიზამ? 13. კითხვებზე პასუხი: მასწავლებელი სვამს შეკითხვებს თემის შესახებ: მოსწავლეები პასუხობენ. ■ დაახასიათე ლომი, ვეფხვი, ფარშავანგი. ■ რით იკვებება ლომი, დათვი, თევზი? ■ სად ცხოვრობს აქლემი, ბეჰემოთი, თეთრი დათვი?
რესურსები	წიგნი

თემა	ზ ასოს შესწავლა
მიზანი	■ ზ ასოს ცნობა; ■ ზ ასოს მოხაზულობა; ■ ლექსიკური ერთეულები ზ ასოზე; ■ ზ ასოს ამოკითხვა; ■ ტექსტების ერთობლივი კითხვა.
აქტივობა	1. მასწავლებელი წარმოთქვამს ზ ასოს; 2. მასწავლებელი აჩვენებს ზ ასოს მოხაზულობას სამივე ბადეში; 3. მასწავლებელი პლასტელინით ან ძაფით აწერინებს ასო ზ-ს; 4. მასწავლებელი კითხულობს და მოსწავლეები იმეორებენ ზ ასოზე დაწყებულ სიტყვებს; 5. სავარჯიშო სამუშაო რვეულიდან.....; 6. ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად: 1. მასწავლებელი არეული თანმიმდევრობით აჩვენებს ილუსტრაციებს და ეკითხება: რომელია ზვიგენი? რა ფერია? რომელია ზებრა? რა ფერია? რომელია ზაფხული და ზამთარი? რა ფერია? რომელია ზარი? რა ფერია? რომელია ჩანთა? რა ფერია? რომელია ზეთისხილი? რა ფერია? რომელია ზაზუნა? რა ფერია? 7. სავარჯიშო სამუშაო რვეულიდან.....; 8. მასწავლებელი კითხულობს გამოცანას: *ჩვენთან ზოოპარკში ნახავთ,* *მუდამ ტყისკენ ისწრაფვის,* *უწყინარი ცხოველია* *გრძელკისერა* *ჟირაფი* 9. სამოდელო კითხვა – მასწავლებელი კითხულობს ტექსტს თითის მიყოლებით. (შესაძლებელია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება: ჯერ მასწავლებელი კითხულობს ხმამაღლა, შემდეგ ბავშვები, ერთობლივი კითხვა, მონაცვლეობითი კითხვა, ჯაჭვური კითხვა და ასე შემდეგ...) 10. სურათის აღწერა – შევთავაზოთ კომპოზიციური სურათი, რომელზეც მათთვის საინტერესო მოვლენაა გამოსახული და ისაუბრონ. 11. *სავარჯიშო სამუშაო რვეულიდან.....;* 12. მატარებელი. მოსწავლეებმა სიდიდის მიხედვით და თანმიმდევრულად დაალაგონ ცხოველები; მაგ: ჟირაფი-სპილო-ბეჰემოთი-ზებრა.....

	13. ლექსიკური ერთეულების ათვისება: მუშაობა წყვილებში – სურათებზე მითითება: ჟირაფი – მაღალი. სპილო – დიდი. ბეჰემოთი – დაბალი. დათვი – ძლიერი. ზებრა – ზოლიანი. მაიმუნი – ცელქი. ზღარბი – ეკლიანი... 14. სავარჯიშოები სამუშაო რვეულიდან... (სავარჯიშოების მიზნები...) 15. დაასახელეთ, რომელი ცხოველები დადიან? დახტიან? 16. დაახარისხეთ ცხოველები საყვარელი საკვების მიხედვით: ხორცი, ბალახი, ნაირმჭამელი ლომი, ზებრა, დათვი 17. დაახარისხე ცხოველები საცხოვრებელი ადგილის მიხედვით: წყალი, ხმელეთი, ხე ბეჰემოთი, აქლემი, მაიმუნი
რესურსები	რეკომენდაცია მასწავლებელს: https://www.youtube.com/watch?v=5grQfgnYTG0 https://www.jigsawplanet.com/?rc=play&pid=05d5c026d4d3&pieces=12

09

თემა	თბილისი
მიზანი	■ თემასთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა. ■ სურათების აღწერა. ■ ფრაზებზე მუშაობა. ■ მოსმენილი/წაკითხული ტექსტის გააზრება. ■ კითხვებზე პასუხის გაცემა. ■ მარტივი ინსტრუქციების შესრულება. ■ ტექსტების კითხვა.
აქტივობა	მოსწავლის წიგნი 1. გამოწვევის ფაზა პედაგოგი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემას. **მასწ.:** – დღეს ჩვენი გაკვეთილის თემა საიდუმლოა, ის თქვენ სიმღერის მოსმენის შემდეგ უნდა გამოიცნოთ. მასწავლებელი აჩვენებს ვიდეოს „თბილისი“. მოსმენის შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვებს: რაზე იყო სიმღერა? ე. ი. რა თემაზეა დღევანდელი გაკვეთილი? ვინ ყოფილა თბილისში? რა აზრის ხართ თბილისზე? რა იცით თბილისზე? რა მოგეწონათ თბილისში? 1. **წიგნზე მუშაობა:** წიგნის დახმარებით მასწავლებელი იწყებს ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობას. 2. სასურველია, პატარა ისტორიები მოვასმენინოთ თბილისის იმ ღირსშესანიშნაობებზე, რომლებიც წიგნშია შეტანილი.

3. ლეგენდა თბილისზე.
4. **ნარიყალა** უძველესი დროის ციხესიმაგრეა, რომელიც თბილისსა და მდინარე მტკვარს გადაჰყურებს. ნარიყალა (სპარს. ნარინყალა — ციტადელი, შიდაციხე), ციხესიმაგრე გალავნის ორი სექციისგან შედგება და ციცაბო ამაღლებაზე მდებარეობს გოგირდის აბანოებსა და ბოტანიკურ ბაღს შორის. ნარიყალას ქვემო ეზოში ახლად აღდგენილი წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია და მცირე კაფეა განთავსებული. ლეგენდის მიხედვით, ციხე, როგორც თვით ქალაქი, მეფე ვახტანგ გორგასალმა დააფუძნა.
5. ფუნიკულიორი გაიხსნა **1905** წლის **27 მარტს**. მის საექსპლუატაციოდ გადაცემას დიდი ფერწერული ტილო უძღვნა **ნიკო ფიროსმანმა**. ფუნიკულიორი არის სამთო-საბაგირო **რკინიგზა** ქვედა და ზედა სადგურებით, კულტურისა და დასვენების კომპლექსი **მთაწმინდის პლატოზე**. გზის სიგრძე – 501 მ. ვაგონში 60 კაცი ეტევა. გზის შუა ადგილზე მოწყობილია 70 მ. სიგრძის სპეციალური ბაქანი, სადაც ვაგონები გვერდს უვლიან ერთმანეთს. აქედან უკავშირდებიან მგზავრები **მთაწმინდის პანთეონს**. ფუნიკულიორის ზედა სადგურის სიმაღლე ზღვის დონიდან 727 მეტრია, ქვედა სადგურისა – 460 მეტრი.
6. **თბილისის ტელეანძა** დამოუკიდებლად მდგომი სტრუქტურაა, რომელიც საკომუნიკაციო მიზნებისთვის 1955 წელს **თბილისში**, **მთაწმინდაზე** აშენდა. 1972 წელს მოხდა პირველი ანძის დემონტაჟი, რომელიც გადატანილ იქნა ქალაქ **გორთან**, ხოლო მის ადგილას თანამედროვე ანძა აშენდა. ტელეანძას „საქართველოს ტელეცენტრი“ მართავს, რომელიც **1955** წელს დაარსდა. ანძის საკომუნიკაციო სისტემები მოიცავს ტრანსლირებას, MMDS, პეიჯერსა და მობილურ გადამცემებს და კომერციულ ტელევიზიას. ანძის სიმაღლეა 274.5 მ. და **ზღვის დონიდან** 719.8 მეტრის სიმაღლის **მთაწმინდის პლატოზე** დგას.
7. **მთაწმინდა** არის მთა **საქართველოში**, ქალაქ **თბილისში**. ის მდებარეობს **მთაწმინდის ქედის** აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე **მტკვრის** მარჯვენა ნაპირზე. სიმაღლე 719.8 მეტრია, უშუალოდ ეკვრის თბილისს და არსებითად შეადგენს ქალაქის განუყოფელ ნაწილს. „მთაწმინდა“ გადმოცემით წმინდა ასურელი ბერის დავით გარეჯელის დასახლების გამო უწოდებიათ,

რომელიც მთის აღმოსავლეთ კალთაზე დასახლებულა. IX საუკუნეში აქ ივერიის ღვთისმშობლის ეკლესია იდგა, მის ადგილას მოგვიანებით წმინდა დავითის მონასტერი ააშენეს. აქვეა მცირე ზომის ფერისცვალების ეკლესია.

8. **„ქართლის დედა“** არის მონუმენტური **ქანდაკება თბილისში**, რომელიც ქალაქის ერთ-ერთი სიმბოლოა. მონუმენტის ავტორია ქართველი მოქანდაკე **ელგუჯა ამაშუკელი**, რომელსაც 1966 წელს ამ ქანდაკებისთვის მიენიჭა **შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია**. ქანდაკება სოლოლაკის გორაზე **1958** წელს აღიმართა ქალაქის 1500 წლისთავთან დაკავშირებით. თავდაპირველი ხის ქანდაკება მოგვიანებით ალუმინით დაიფარა, რათა ქანდაკება არ დაზიანებულიყო. **1997** წელს კი ძველი ქანდაკება 20 მეტრის სიმაღლის **ალუმინის** ქართულ ეროვნულ სამოსში ჩაცმული ქალის ქანდაკებით შეიცვალა. „ქართლის დედა“ არის ქართული ეროვნული ხასიათის სიმბოლო: ქანდაკებას ცალ ხელში ღვინის თასი უჭირავს მოყვარეთათვის, მეორეში კი – ხმალი მტერთათვის.
9. **გოგირდის აბანოები თბილისში**
სხეულის გაახლების ერთგვარი რიტუალი თბილისში უკვე საუკუნეებია არსებობს. გოგირდის აბანოები არამარტო რეკრეაციისთვის, არამედ **დროის გასატარებლადაც** აქტიურად გამოიყენებოდა. აქ სადედამთილოები საპატარძლოების სილამაზესაც კი ამოწმებდნენ და შეუღლებისას აბანოს ნივთებს მზითევშიც ხშირად ატანდნენ. გოგირდოვანი აუზები იყო ძველი თბილისის მთავარი **საკურორტო ზონა**. დასვენებისა და გართობის გარდა, გოგირდის აბანოებს უამრავი **სამკურნალო თვისება** გააჩნია. „ნარიყალა“, იგივე „აბანო N5“ გამოირჩევა ფერადი მოზაიკური მოხატულობით. ჭრელი აბანოს ისტორია მრავალ საუკუნეს ითვლის. XVII საუკუნის თბილისში ცნობილი იყო ერეკლეს, ბებუთას, მელიქის, გულოს და კიდევ უამრავი სხვა გოგირდის აუზი.
10. **მშვიდობის ხიდი** საფეხმავლო ხიდია მდინარე მტკვარზე, თბილისში, მეტეხისა და ბარათაშვილის ხიდებს შორის. ერთმანეთთან აკავშირებს ერეკლე II-ის ქუჩასა (მიმდებარე სანაპიროსთან ერთად) და რიყეს. ხიდი აიგო 2009-2010 წლებში. მშვიდობის ხიდი მე-11 ხიდია, თბილისის ტერიტორიაზე მდინარე მტკვარზე აგებულთაგან და ერთადერთია, რომელიც თბილისში XXI საუკუნეში აშენდა.

	11. **მეტეხი** — ისტორიული უბანია მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე, კლდოვან შემაღლებაზე ავლაბარში. ეს ყველაზე ადრეული დასახლება იყო ქალაქის ტერიტორიაზე. ტრადიციული რწმენით მეფე ვახტანგ I გორგასალმა აქ ეკლესია და ციხესიმაგრე აღმართა, რომელიც ასევე მეფის რეზიდენციის ფუნქციას ასრულებდა. ამ ადგილზე, V საუკუნეში წმ. შუშანიკ წამებული დაკრძალეს. N2 სამოდელო კითხვა წიგნის პირველ გვერდზე მოცემულია საკითხავი მასალა, მასწავლებელი კითხულობს სანიმუშოდ ტექსტს. სამოდელო კითხვის შემდეგ ყველა ერთად კითხულობს. შესაძლებელია ინდივიდუალური კითხვაც. N3 ფრაზებზე მუშაობა მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ფრაზების გამოყენებით ისაუბრონ თბილისზე. თბილისი საქართველოს დედაქალაქია. თბილისში მოედინება მდინარე მტკვარი. ქალაქში არის ბევრი დასასვენებელი პარკი N4 მასწავლებელი იწყებს ფრაზას, მოსწავლე ამთავრებს: მე თბილისში... მე მიყვარს.. მე მინახავს... მე არ მინახავს... N5 მასწავლებელი სვამს შემაჯამებელ კითხვას: – რომელი ფრაზა გამოდგა ყველაზე მეტად თბილისის აღსაწერად? – კიდევ რამის თქმა ხომ არ გინდათ თბილისზე? შეჯამების ფაზაზე მასწავლებელი სთვაზობს მოსწავლეებს **კროსვორდს**.
რესურსი	წიგნის თ ასოს ილუსტრაცია

თემა	თ ასოს შესწავლა
მიზანი	■ თ ასოსთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა. ■ სურათების აღწერა. ■ ფრაზებზე მუშაობა. ■ მოსმენილი/წაკითხული ტექსტის გააზრება. ■ კითხვებზე პასუხის გაცემა. ■ მარტივი ინსტრუქციების შესრულება. ■ ტექსტების კითხვა. ■ რვეულში მუშაობა.
აქტივობა	მოსწავლის წიგნი N1. **მასწ.:** – დღეს ჩვენი გაკვეთილის თემაა **„ასო თ“**, მოდით გავიხსენოთ თ ასოზე დაწყებული სიტყვები: თუთა, თეატრი, თერთმეტი, თორმეტი, თოჯინა, თუთიყუში და ა. შ. N2. მასწავლებელი მოაძებნინებს, თუ არის საკლასო ოთახში თ ასოზე დაწყებული საგნები. N3. შექმენი პაზლი სიტყვისგან, რომელიც ყველაზე მეტად რთული დასამახსოვრებელი აღმოჩნდა შენთვის: N4. სურათის აღწერა მასწავლებელი სთხოვს, დააკვირდნენ სურათებს და აღწერონ შესწავლილი სიტყვების დახმარებით. N5. სამოდელო კითხვა მასწავლებელი კითხულობს სანიმუშოდ ტექსტს. სამოდელო კითხვის შემდეგ ყველა ერთად კითხულობს. შესაძლებელია ინდივიდუალური კითხვაც. N6. თამაში „მოიფიქრე წინადადებები“ მოცემული სიტყვებით შექმენი წინადადებები, იმარჯვებს ის, ვინც მეტ წინადადებას მოიფიქრებს. N7. წერაში ვარჯიში მასწავლებელი აჩვენებს, როგორ იწერება ასო თ ბადეში. მასწავლებელი მოსწავლეებს შეახსენებს, რომ ქართული

	ბადე არის 3 სახის. ასოს დაწერის წესს უხსნის სამივე ბადეში. მასწავლებელი აჩვენებს თ ასოს წერის მიმართულებას. მოსწავლეები ვარჯიშობენ წერაში. N8 წაიკითხე და შეასრულე წიგნის სავარჯიშოები. N9 რვეულში მუშაობა პედაგოგი რვეულში მუშაობას ბავშვებს მარტივი სავარჯიშოებით აწყებინებს და ნელ-ნელა ართულებს. 1. გამოწერე ასო თ. 2. გააფერადე ასო თ. 3. მოძებნე ასო თ. 4. იპოვე ასო თ-ზე დაწყებული სიტყვა და გააფერადე. დანარჩენი სავარჯიშოები შეუძლია შეასრულოს სახლში. მასწავლებელი აჯამებს ნასწავლ მასალას.
რესურსი	წიგნის თ ასოს ილუსტრაცია რვეული

0

თემა	ისტორია, ქართული ანბანი
მიზანი	■ მითითებული პერსონაჟების დასახელება; ■ ადამიანების დახასიათება; ■ ანბანისთვის დამახასიათებელი საკომუნიკაციო ფრაზები; ■ წიგნის, ანბანის გარემოს აღწერა; ■ სურათების აღწერა; ■ ტექსტების ერთობლივი კითხვა; ■ თემის შესახებ კითხვებზე პასუხი.
აქტივობა	1. გამოწვევის ფაზა: მასწავლებელი წერს არეულად სხვადასხვა ენიდან ასოებს. რომელი ასოები გეცნობათ? ვინ გამოიცნობს, რა თემაზე იქნება ჩვენი გაკვეთილი? რა იცით ქართული ანბანის შესახებ? 2. სარეკომენდაციო კითხვები: დააკვირდით და მიპასუხეთ: იცნობთ, ვინ არიან ამ სურათზე? რას აკეთებენ? რამდენი ადამიანია წიგნით ხელში? რატომ? მეფე ფარნავაზს უჭირავს ეტრატი. იაკობ გოგებაშვილს უჭირავს წიგნი. 3. ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა: *რას ხედავთ სურათზე?* მასწავლებელი ასახელებს ილუსტრირებულ ნივთს. ეს არის წიგნი, ეს წიგნია. ეს არის ანბანი, ეს ანბანია. ეს არის ფარნავაზ მეფე, ეს ფარნავაზ მეფეა. ეს არის იაკობ გოგებაშვილი, ეს იაკობ გოგებაშვილია. 4. ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად: 1. მასწავლებელი არეული თანმიმდევრობით აჩვენებს ილუსტრაციებს და ეკითხება: *– რა არის ეს? – ეს არის დედა ენის ძეგლი. – სად დგას ძეგლი? – დედა ენის ბაღში. – სად არის დედა ენის ბაღი? – თბილისში.* მოსწავლემ უნდა აჩვენოს სურათები.

5. უცხო ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა ვიზუალური აღქმით.

ნუსხური დამწერლობა –



ასომთავრული დამწერლობა –

მხედრული დამწერლობა –



რომელსაც ვსწავლობთ ჩვენ.

6. კითხვა-პასუხი:
– რამდენი ასოა?
– რამდენი ხმოვანია? თანხმოვანი?
– ვინ შექმნა პირველი ქართული ანბანი?
7. ფრაზებსა და ლექსიკაზე მუშაობა: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ამუშავებს ფრაზებს: „დედა ენა“ იაკობ გოგებაშვილის წიგნია.
ქართველი ბავშვები ანბანს დედა ენით სწავლობენ.
არსებობს ქართული დამწერლობის სამი სახეობა.

	პირველად იყო ნუსხური, შემდეგ – ასომთავრული, ბოლოს – მხედრული. *აბა, რომელ ანბანს ვსწავლობთ ჩვენ?* 8. სამოდელო კითხვა – მასწავლებელი კითხულობს ტექსტებს. შემდეგ მოსწავლეებთან ერთად იმეორებს მათ. 9. სიტუაციური თამაში: ირინა და ირაკლი საქართველოს ისტორიას სწავლობენ. ილუსტრაციაზე დაკვირვებით, რა თემაზე საუბრობენ ბავშვები? დააკვირდით, რა უდევს ირაკლის მაგიდაზე? რა წერია, ხომ ვერ მეტყვით? 10. კითხვებზე პასუხი – მასწავლებელი სვამს კითხვებს თემის ირგვლივ: როგორ დაიმახსოვრეთ, რამდენი დამწერლობა იყო ქართულ ენაში?
რესურსები	წიგნი

თემა	**ი ასოს შესწავლა**
მიზანი	■ ი ასოს ცნობა; ■ ი ასოს მოხაზულობა; ■ ლექსიკური ერთეულები ი ასოზე; ■ ი ასოს ამოკითხვა; ■ ტექსტების ერთობლივი კითხვა;
აქტივობა	1. მასწავლებელი წარმოთქვამს ი ასოს; 2. მასწავლებელი აჩვენებს ი ასოს მოხაზულობას სამივე ბადეში; 3. მასწავლებელი პლასტელინით ან ძაფით აწერინებს ი ასოს; 4. მასწავლებელი კითხულობს და მოსწავლეები იმეორებენ ი ასოზე დაწყებულ სიტყვებს; 5. ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად: მასწავლებელი არეული თანმიმდევრობით აჩვენებს ილუსტრაციებს და ეკითხება: რომელია ირემი? იადონი რა ფერისაა? რომელია იასამანი? იხვი რა ფერისაა? რომელია ინდაური? კალენდარზე რომელი თვეებია? რომელია იალქანი? რა ფერისაა იუპიტერი? რა წერია წიგნში? 6. გავაფერადოთ და ვისწავლოთ. აი ია, აი ია, რა ლამაზი

	ყვავილია; მინდორშიაც, ბაღჩაშიაც, ჩემს წიგნებშიც ყვავის ია! 7. *სავარჯიშო სამუშაო რვეულიდან .....;* 8. მასწავლებელი კითხულობს გამოცანას: სამოდელო კითხვა – მასწავლებელი კითხულობს ტექსტს თითის მიყოლებით. (შესაძლებელია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება: ჯერ მასწავლებელი კითხულობს ხმამაღლა, შემდეგ – ბავშვები; ერთობლივი კითხვა; მონაცვლეობითი კითხვა; ჯაჭვური კითხვა და ასე შემდეგ); 9. პერსონაჟების შერჩევა და დახასიათება. რომელი პერსონაჟი მოგეწონა: მეფე ფარნავაზი? (რომელმაც შექმნა ქართული ანბანი); იაკობ გოგებაშვილი? (რომელმაც დაწერა „დედა ენა“). 10. *სავარჯიშო სამუშაო რვეულიდან .....;* 11. პაზლის აწყობა. დაჭრილი ილუსტრაციის აწყობა და ამოცნობა, რომელი დამწერლობის ილუსტრაციაა. 12. *სავარჯიშოები სამუშაო რვეულიდან...* *(სავარჯიშოების მიზნები...)*
რესურსები	■ რეკომენდაცია მასწავლებელს: ნახეთ ფილმი „ქართული დამწერლობა“ **https://www.youtube.com/watch?v=DK8GqweFa_A** ■ ფილმი „დედა ენის“ შექმნაზე **https://www.youtube.com/watch?v=HyiLGBt0V5A&list=PLfSb1Ok FLKtwDmhUf_Tml6L0KHzOpF7z_** ა და ი ■ **https://www.jigsawplanet.com/?rc=play&pid=2a3ec1dcefc3** გამოიცანი დამწერლობა ■ ნახეთ **ფილმი** სიმღერა **ანბანზე** ■ ფილმი **ანიმაცია**

3

თემა	კაფეში
მიზანი	■ კაფესთვის საჭირო დამახასიათებელი საკომუნიკაციო ფრაზები; ■ კაფესთვის დამახასიათებელი გარემოს აღწერა; ■ სურათების აღწერა; ■ ტექსტების ერთობლივი კითხვა; ■ თემის შესახებ კითხვებზე პასუხი.
აქტივობა	1. **გამოწვევის ფაზა:** **მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს პაზლს და სთხოვს მის აწყობას.** **შეიძლება მასწავლებელმა კაფესავით მოაწყოს საკლასო სივრცე.** 2. **სარეკომენდაციო შეკითხვები:** დააკვირდით და მიპასუხეთ: რა სურათი ააწყვეთ? ვის ხედავთ კაფეში? ვისთან ერთად დადიხართ კაფეში? რა ჰქვია ადამიანს, რომელიც გემსახურებათ კაფეში? რა ჰქვია ადამიანს, რომელსაც ემსახურებიან კაფეში?

რა არის მენიუ?
შეგიძლიათ აღწეროთ თქვენი საყვარელი მენიუ?
აღწერე შენი საყვარელი კაფე.

3. **ილუსტრაციაზე მუშაობა:**
   რას ხედავთ სურათზე?
   როგორი ზომისაა კაფე?
   რამდენი ადამიანი ზის გარე სივრცეში?
   ვინ ემსახურება კლიენტს?
   რას მიირთმევს ქალბატონი?
   რა აქვს კაფეს მენიუში?
   რა დგას კაფეს გარე სივრცეში?
   რამდენი ადამიანია შიდა სივრცეში? ბარში? დარბაზში?
   რას მიირთმევენ კლიენტები?
4. **ფრაზებზე მუშაობა:**
   მასწავლებელი წარმოთქვამს წიგნში გამოყენებულ ფრაზებს და ამეორებინებს მათ ბავშვებს.
5. **სქემაზე მუშაობა:**
   მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს სქემას და სთხოვს, ჩაწერონ/დახატონ საგნები მოთხოვნის მიხედვით.

სასმელი				
საჭმელი				

6. **ლექსიკის გამოყენება:**
   ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად, მასწავლებელი მოსწავლეებს არეული თანმიმდევრობით აჩვენებს ილუსტრაციებს და ეკითხება: *რა არის ეს? რომელია ხაჭაპური? ბარი? ლობიანი?* მოსწავლემ უნდა აჩვენოს სურათები.
7. **სიტყვის აღქმა:**
   მასწავლებელი მოსწავლეებს მიმართავს კითხვით
   – მიპოვე, სად წერია წვენი? სად წერია მენიუ? ყავა? ჩანგალი?
8. **როლური თამაში:**
   გაითამაშეთ სიტუაცია კაფეში; ერთი ადამიანი იქნება მიმტანი, მეორე კლიენტი, შემდეგ შეიძლება როლების გაცვლა.
   – გამარჯობა!
   – გამარჯობა!
   – რა შეარჩიეთ მენიუდან?
   – ჩაი ნამცხვრით;

	– კიდევ? – ჯერ ეს მოგვართვით; დანარჩენსაც მოვიფიქრებთ და გეტყვით... 9. **სამოდელო კითხვა:** მასწავლებელი კითხულობს ტექსტს. შემდეგ ტექსტს მოსწავლეებთან ერთად იმეორებს. დღევანდელი გაკვეთილიდან ნასწავლი ლექსიკის შეჯამება. რომელი სიტყვაა ზედმეტი? – ფული, ლარი, საფულე, ნამცხვარი, ბურთი...
რესურსები	წიგნი

თემა	**კ ასოს შესწავლა**
მიზანი	■ კ ასოს ცნობა; ■ კ ასოს მოხაზულობა; ■ ლექსიკური ერთეულები კ ასოზე; ■ კ ასოს ამოკითხვა; ■ ტექსტების ერთობლივი კითხვა;
აქტივობა	1. მასწავლებელი წარმოთქვამს კ ასოს; 2. მასწავლებელი აჩვენებს კ ასოს მოხაზულობას სამივე ბადეში; 3. მასწავლებელი პლასტელინით ან ძაფით აწერინებს კ ასოს; 4. მასწავლებელი კითხულობს და მოსწავლეები იმეორებენ კ ასოზე დაწყებულ სიტყვებს; 5. ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად: 1. მასწავლებელი არეული თანმიმდევრობით აჩვენებს მოსწავლეებს ილუსტრაციებს და ეკითხება: რომელია კაკალი? რა ფერისაა კაბა? რომელია კიტრი? რა ფერისაა კატა?.. 6. **დაალაგე სქემაში კ ასოზე დაწყებული საგნები:** მცენარე / ცხოველი / ფრინველი 7. **სამოდელო კითხვა:** მასწავლებელი კითხულობს ტექსტს თითის მიყოლებით. (შესაძლებელია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება: ჯერ მასწავლებელი კითხულობს

ხმამაღლა, შემდეგ – ბავშვები; ერთობლივი კითხვა, მონაცვლეობითი კითხვა, ჯაჭვური კითხვა, გაგრძელებით კითხვა ა. შ.);

8. **კითხვებზე პასუხის გაცემა:**
   რა აკაკუნებდა ხეზე?
   რა გახსნა კოდალამ ტყეში?
   რა არ იცოდნენ ცხოველებმა?
   რა რჩევა მისცა მათ კოდალამ?
9. **პაზლის აწყობა.** დაჭრილი ილუსტრაციის აწყობა და ამოცნობა. რომელი ილუსტრაციაა?
10. **წინადადებების აწყობა:**
    მასწავლებელი მოსწავლეს ეუბნება ტექსტიდან სიტყვას და მოსწავლემ უნდა ააწყოს წინადადება.
    კოდალა – კოდალა აკაკუნებს.
11. აღწერე ნამცხვარი „ნაპოლეონი“ ნიმუშის მიხედვით:

საგანი				
ლიმონი	*მრგვალი, ყვითელი*	*მძაფრი სუნი*	*პრიალა*	*მჟავე*
ნამცხვარი „ნაპოლეონი“				

12. რვეულში მუშაობა.

რესურსები	რეკომენდაცია მასწავლებელს: ნახეთ ფილმი

თემა	ლარი
მიზანი	■ გარემოს დასახელება; ■ დარბაზში მყოფი ადამიანების დახასიათება; ■ ფულისთვის დამახასიათებელი საკომუნიკაციო ფრაზები; ■ ბანკისთვის დამახასიათებელი გარემოს აღწერა; ■ სურათების აღწერა; ■ ტექსტების ერთობლივი კითხვა; ■ თემის შესახებ კითხვებზე პასუხი; ■ სიტყვის მთლიანი გრაფიკული ხატის აღქმა.
აქტივობა	1. **გამოწვევის ფაზა:** მასწავლებელი მოსწავლეებს უჩვენებს გამოჭრილი ფულის ერთეულებს – დოლარი, ევრო, ლარი... რომელია აქედან ქართული ფული? რა იცით ქართული ფულის შესახებ? ლარი ქართული ფულია, ეროვნული ვალუტაა. არსებობს ლარი და თეთრი (თვალსაჩინოებისთვის აჩვენოს ნახატი ან ფულის ერთეული). 2. **სარეკომენდაციო შეკითხვები.** დააკვირდით და მიპასუხეთ: ვინ ზის მაგიდასთან? რა უდევს მაგიდაზე? რით ან როგორ იხდით მაღაზიაში? დადიხარ თუ არა მარტო საყიდლებზე? 3. **ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა:** *რას ხედავ სურათზე?* – მასწავლებელი ასახელებს ილუსტრირებულ ნივთებს და მოსწავლე იმეორებს. ეს არის საფულე. ეს არის საბანკო ბარათი. ეს არის ბანკომატი. ეს არის ყულაბა. 4. **ნივთების განლაგება:** T დიაგრამა

ქაღალდის ფული	რკინის ფული
5 ლარი	5 თეთრი

5. **ლექსიკის გამოყენება:** მასწავლებელი აჩვენებს და ასახელებს ფულის ერთეულებს, მოსწავლეები იმეორებენ.
6. **ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად:**
   1. მასწავლებელი არეული თანმიმდევრობით აჩვენებს ილუსტრაციებს და ეკითხება: *რა არის ეს? რომელია საფულე? როგორი ფორმისაა? რომელია ყულაბა? რას გაგონებს? რა ფერია? რის ფორმა აქვს საბანკო ბარათს? რა ფერია? რომელია ბანკომატი?* მოსწავლემ უნდა აჩვენოს სურათები.
7. **სიტყვის აღქმა:** მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს – მიპოვეთ, სად წერია მოლარე? სად წერია სალარო? ქვითარი? ყულაბა?
8. **საკომუნიკაციო ფრაზების ათვისება** – მუშაობა წყვილებში: მოსწავლეები რიგრიგობით აჩვენებენ მეწყვილეს სურათს და ამბობენ ფრაზას: *რა ღირს ნამცხვარი? რა ღირს წვენი? რა ღირს პიცა?*
9. **როლური თამაში –** გაითამაშეთ სიტუაცია კაფეში:
   – რას ინებებთ? – პიცას.
   – რა ღირს? – 2 ლარი.
   – წვენიც მომიტანეთ. რა ღირს წვენი?
   – წვენი 1 ლარი.
   – გმადლობთ.
10. **ფრაზებსა და ლექსიკაზე მუშაობა.** მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ამუშავებს ფრაზებს:
    ყულაბაში ვაგროვებთ ფულს.
    სალაროში ვიხდით ფულს. ფულით ვყიდულობთ ნივთებს.
    ვინ აგროვებს ფულს ყულაბაში? სად ვიხდით ფულს?
    რით ვყიდულობთ საჩუქარს?
11. **მასწავლებელი აჩვენებს სურათს და ეკითხება:**
    ვინ ზის კაფეში? რა უდევთ მაგიდაზე? რა უდევს გოგონას? ბიჭს? რას აკეთებენ გოგონა და ბიჭი?
12. **სამოდელო კითხვა** – მასწავლებელი კითხულობს ტექსტებს. შემდეგ მოსწავლეებთან ერთად იმეორებს ტექსტს.
13. **სიტუაციური თამაში –** „მე საყიდლებზე“:
    – სად იყავი საყიდლებზე? – მე ვიყავი მაღაზიაში.
    რა იყიდე? – ტკბილეული.
    რა გადაიხადე? – ფული.

	სად გქონდა ფული, საფულეში თუ ბარათზე? – საფულეში. რამდენი ლარი ან თეთრი გადაიხადე? – გადავიხადე 2 ლარი და 50 თეთრი. ეს თამაში გრძელდება ყველა მოსწავლესთან ინდივიდუალურად. 14. **სურათების აღწერა:** ისაუბრე ორივე ილუსტრაციაზე, რას ხედავ? 15. **კითხვებზე პასუხი:** მასწავლებელი სვამს შეკითხვებს თემის შესახებ. დღევანდელი გაკვეთილიდან ნასწავლი ლექსიკის შეჯამება. რომელი სიტყვაა ზედმეტი: ფული, ლარი, საფულე, დოლარი, ბანკომატი, სალარო, მონეტა, მოლარე, საბანკო ბარათი, ქვითარი.
რესურსები	წიგნი

თემა	**ლ ასოს შესწავლა**
მიზანი	■ ლ ასოს ცნობა; ■ ლ ასოს მოხაზულობა; ■ ლექსიკური ერთეულები ლ ასოზე; ■ ლ ასოს ამოკითხვა; ■ ტექსტების ერთობლივი კითხვა.
აქტივობა	1. მასწავლებელი წარმოთქვამს ლ ასოს; 2. მასწავლებელი აჩვენებს ლ ასოს მოხაზულობას სამივე ბადეში; 3. მასწავლებელი პლასტელინით ან ძაფით აწერინებს ასო ლ-ს; 4. მასწავლებელი კითხულობს და მოსწავლეები იმეორებენ ლ ასოზე დაწყებულ სიტყვებს; 5. სავარჯიშო სამუშაო რვეულიდან .....; 6. ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად: 1. მასწავლებელი არეული თანმიმდევრობით აჩვენებს ილუსტრაციებს და ეკითხება: *რომელია ლიმონი? რა ფერია? რომელია ცა? რა ფერია?* .....; 7. სავარჯიშო სამუშაო რვეულიდან .....; 8. მასწავლებელი კითხულობს გამოცანას: *ცხოველების მეფე არის,* *სიდიადით არ ჰყავს სწორი,*

	მისი ყველას ეშინია, *მიხვდით, ვინ ყოფილა?* ლომი 9. სამოდელო კითხვა – მასწავლებელი კითხულობს ტექსტს თითის მიყოლებით. (შესაძლებელია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება: ჯერ მასწავლებელი კითხულობს ხმამაღლა, შემდეგ ბავშვები, ერთობლივი კითხვა, მონაცვლეობითი კითხვა, ჯაჭვური კითხვა და ასე შემდეგ...); 10. პაზლის აწყობა. დაჭრილი ილუსტრაციის აწყობა და ამოცნობა. რომელი ილუსტრაციაა? 11. სიტყვის ბარათები – მაგიდაზე აწყვია ბარათები სიტყვებით; ამოარჩიონ და მიუსადაგონ ნახატებს. 50 ლარი 20 თეთრი 12. ლექსიკური ერთეულების ათვისება. მუშაობა წყვილებში: სურათებზე მითითება – *როლური თამაში „მაღაზიობანა“ – მყიდველი, გამყიდველი.*
რესურსები	„ტელესკოლის“ გაკვეთილი ფულის ერთეულზე

a

თემა	მსოფლიო და მოგზაურობა
მიზანი	■ თემასთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა. ■ სურათების აღწერა. ■ ფრაზებზე მუშაობა. ■ მოსმენილი/წაკითხული ტექსტის გააზრება. ■ კითხვებზე პასუხის გაცემა. ■ მარტივი ინსტრუქციების შესრულება. ■ ტექსტების კითხვა.
აქტივობა	მოსწავლის წიგნი N1. გამოწვევის ფაზა: პედაგოგი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემას. **მასწ.: –** დღეს ჩვენი გაკვეთილის თემაა **„მსოფლიო და მოგზაურობა“**. კარგი იქნება თუ მასწავლებელი რუკას ან გლობუსს შემოიტანს გაკვეთილზე და მოსწავლეებს ეტყვის, რომ მსოფლიოში უნდა იმოგზაურონ. მათ უნდა დაასახელონ 5 ნივთი, რომელიც გამოადგებათ მსოფლიოში სამოგზაუროდ და 1 ქვეყანა, სადაც იმოგზაურებდნენ. N2. წიგნზე მუშაობა: წიგნის დახმარებით მასწავლებელი იწყებს ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობას – საქართველო, კომპასი, მატარებელი და ა.შ. N3. დისკუსია – რომელ ქვეყანაში ყოფილან გადმოსცენ მოგზაურობა ნასწავლი სიტყვების გამოყენებით. მე ვიყავი.... მე ვნახე... მე გამაოცა... მე მომეწონა... მე არ მომეწონა...

	N4. სამოდელო კითხვა წიგნის პირველ გვერდზე მოცემულია 3 სიუჟეტი; მასწავლებელი კითხულობს სანიმუშოდ ტექსტს. სამოდელო კითხვის შემდეგ ყველა ერთად კითხულობს. შესაძლებელია ინდივიდუალური კითხვაც. N5. ფრაზებზე მუშაობა მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ფრაზების გამოყენებით ისაუბრონ საქართველოში მოგზაურობის შესახებ. მე ვიყავი ქართლში... იმერეთში... კახეთში... N6. მასწავლებელი სვამს შემაჯამებელ კითხვას: – ნახეთ ფილმი საქართველოზე და მითხარით, მოგინდებათ, რომ წახვიდეთ და თქვენი თვალით ნახოთ ის ადგილები, რომლებიც ფილმში ნახეთ?
რესურსი	წიგნის მ ასოს ილუსტრაცია ვიდეო **ციდან დანახული საქართველო**

თემა	**მ ასოს შესწავლა**
მიზანი	■ მ ასოსთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა. ■ სურათების აღწერა. ■ ფრაზებზე მუშაობა. ■ მოსმენილი/წაკითხული ტექსტის გააზრება. ■ კითხვებზე პასუხის გაცემა. ■ მარტივი ინსტრუქციების შესრულება. ■ ტექსტების კითხვა. ■ რვეულში მუშაობა.
აქტივობა	მოსწავლის წიგნი N1. **მასწ.: –** დღეს ჩვენი გაკვეთილის თემაა **„ასო მ“**, მოდით გავიხსენოთ მ ასოზე დაწყებული სიტყვები: მსოფლიო, მოგზაური, მაიმუნი, მანქანა და ა. შ.

N2.
მასწავლებელი მოაძებნინებს თუ არის საკლასო ოთახში
მ ასოზე დაწყებული საგნები.

N3.
– შექმენი პაზლი სიტყვისგან, რომელიც ყველაზე მეტად
რთული დასამახსოვრებელი აღმოჩნდა შენთვის.

N4. სურათის აღწერა
მასწავლებელი სთხოვს, დააკვირდნენ სურათებს და
აღწერონ შესწავლილი სიტყვების დახმარებით, რა ფერისაა
საქართველოს დროშა, კანადის დროშა და ა. შ.
ან დაჭრან რუკა და ააწყონ.

N5. სამოდელო კითხვა
მასწავლებელი კითხულობს სანიმუშოდ ტექსტს.
სამოდელო კითხვის შემდეგ ყველა ერთად კითხულობს.
შესაძლებელია ინდივიდუალური კითხვაც.

N6. თამაში „დაკარგული სიტყვები“
მოცემულია ტექსტი ნაკლული სიტყვებით, მოსწავლეებმა
ის უნდა შეავსონ ტექსტში მოცემული და უკვე ნასწავლი
სიტყვებით:
მე მაქვს .... ზურგჩანთა.
მე მიყვარს ....
..... მარტვილში ჩავედით....

N7. წერაში ვარჯიში
მასწავლებელი აჩვენებს, როგორ იწერება ასო მ
ბადეში. მასწავლებელი მოსწავლეებს შეახსენებს, რომ
ქართული ბადე არის 3 სახის. ასოს დაწერის წესს უხსნის
სამივე ბადეში. მასწავლებელი აჩვენებს მ ასოს წერის
მიმართულებას. მოსწავლეები ვარჯიშობენ წერაში.

N8.
– თუ ხარ ნამყოფი საქართველოში და გადაღებული გაქვს
ფოტოები, მოიტანე და აღწერე შენი თვალით დანახული
საქართველო.

	N9. რვეულში მუშაობა პედაგოგი რვეულში მუშაობას ბავშვებს მარტივი სავარჯიშოებით აწყებინებს და ნელ-ნელა ართულებს. 1. გამოწერე ასო მ. 2. გააფერადე ასო მ. 3. მოძებნე ასო მ. 4. იპოვე ასო მ-ზე დაწყებული სიტყვა და გააფერადე. დანარჩენი სავარჯიშოები შეუძლია შეასრულოს სახლში. მასწავლებელი აჯამებს ნასწავლ მასალას. N10. მასწავლებელმა ათამაშოს მოსწავლეები მდინარე, მთა, მინდორი – მოსწავლეები სამოგზაუროდ მიდიან ერთ-ერთ ადგილას და სურათებიდან უნდა აირჩიონ მხოლოდ იმ ადგილას გამოსაყენებელი საგნები.
რესურსი	წიგნის მ ასოს ილუსტრაცია რვეული

6

თემა	ნავსადგური
მიზანი	■ თემასთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა. ■ სურათების აღწერა. ■ ფრაზებზე მუშაობა. ■ მოსმენილი/წაკითხული ტექსტის გააზრება. ■ კითხვებზე პასუხის გაცემა. ■ მარტივი ინსტრუქციების შესრულება. ■ ტექსტების კითხვა.
აქტივობა	მოსწავლის წიგნი N1. გამოწვევის ფაზა პედაგოგი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემას. **მასწ.: –** დღეს ჩვენი გაკვეთილის თემაა **„ნავსადგური“**. მასწავლებელი არიგებს ქაღალდის გემებს და სვამს კითხვებს: რა არის ეს? თუ იცით, რა ჰქვია მას ქართულად? რისთვის იყენებენ მას? ვინ მართავს მას? სად შეიძლება მისი გაჩერება? **2. წიგნზე მუშაობა** წიგნის დახმარებით მასწავლებელი იწყებს ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობას: რამდენი გემია? სად არის გემი? რით მართავენ ნავს? რას აკეთებს მებადური? რით იჭერს თევზს? და ა.შ. N2. როლური თამაში (წყვილში მუშაობა) ერთი მოსწავლე კაპიტანია, მეორე – მგზავრი: – როდის გადის ნავსადგურიდან გემი „საქართველო“?

	– ხვალ! – თქვენ საიდან იცით? – მე გემის კაპიტანი ვარ! – სასიამოვნოა; – თქვენს გემს ბევრი მეზღვაური ემსახურება? – დიახ! – რამდენი მგზავრია გემზე? – ახლა ათი! – გმადლობთ! – არაფრის! N3. სამოდელო კითხვა წიგნის პირველ გვერდზე მოცემულია 3 სიუჟეტი; მასწავლებელი კითხულობს სანიმუშოდ სამივე ტექსტს. სამოდელო კითხვის შემდეგ ყველა ერთად კითხულობს. შესაძლებელია ინდივიდუალური კითხვაც. N4. ფრაზებზე მუშაობა მასწავლებელი მოსწავლეებს უჩვენებს ილუსტრაციებს და იწყებენ ფრაზებზე მუშაობას: ფოთი ზღვისპირა ქალაქია. ბათუმი ზღვისპირა ქალაქია. ანაკლია ზღვისპირა ქალაქია. ფოთში ნავსადგურია. ნავსადგურში გემია და ა.შ. N5. თამაში: გამოიცანი მასწავლებელი აჩვენებს ილუსტრაციას და სვამს კითხვას: – გამოიცანი საგნის სახელი. იმარჯვებს ის, ვინც ბევრ სიტყვას გამოიცნობს. N6. თამაში „თევზაობა“ ყუთში ჩაყრილია მაგნიტური თევზები, რომლებსაც აწერია რომელიმე სიტყვა ნასწავლი ლექსიკიდან. ბავშვი ყუთში აგდებს მაგნიტურ ანკესს. რომელ სიტყვასაც „დაიჭერს“, იმ სიტყვაზე აწყობს წინადადებას. მასწავლებელი სვამს შემაჯამებელ კითხვას: – რა ვისწავლეთ დღეს ახალი?
რესურსი	წიგნის ნ ასოს ილუსტრაცია

თემა	ნ ასოს შესწავლა
მიზანი	■ ნ ასოსთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა. ■ სურათების აღწერა. ■ ფრაზებზე მუშაობა. ■ მოსმენილი/წაკითხული ტექსტის გააზრება. ■ კითხვებზე პასუხის გაცემა. ■ მარტივი ინსტრუქციების შესრულება. ■ ტექსტების კითხვა. ■ რვეულში მუშაობა.
აქტივობა	N1. **მასწ.:** – დღეს ჩვენი გაკვეთილის თემაა **„ასო ნ“**, მოდით გავიხსენოთ ნ ასოზე დაწყებული სიტყვები: ნარცისი, ნაყინი, ნაბადი და ა.შ. N2. მასწავლებელი მოაძებნინებს თუ არის საკლასო ოთახში ნ ასოზე დაწყებული საგნები. N3. – ააწყვე პაზლი და გამოიცანი სიტყვა: N4. სურათის აღწერა მასწავლებელი სთხოვს, დააკვირდნენ სურათებს და აღწერონ შესწავლილი სიტყვების დახმარებით. N5. სამოდელო კითხვა მასწავლებელი კითხულობს სანიმუშოდ ტექსტს. სამოდელო კითხვის შემდეგ ყველა ერთად კითხულობს. შესაძლებელია ინდივიდუალური კითხვაც. N6. თამაში „ჯადოსნური სკივრი“ მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს როლურ თამაშს – „ჯადოსნური სკივრი“. მასწავლებელი ამოიღებს სურათს შესწავლილი სიტყვების გამოსახულებით. მოსწავლე ასახელებს ამ სიტყვებს.

	დასახელებულ სიტყვებს მასწავლებელი ერთმანეთის ქვეშ აწყობს და კითხულობს: – რა აქვს ამ სიტყვებს მსგავსი? ასო – ნ. N7. წერაში ვარჯიში მასწავლებელი აჩვენებს, როგორ იწერება ასო ნ ბადეში. მასწავლებელი მოსწავლეებს შეახსენებს, რომ ქართული ბადე არის 3 სახის. ასოს დაწერის წესს უხსნის სამივე ბადეში. მასწავლებელი აჩვენებს ნ ასოს წერის მიმართულებას. მოსწავლეები ვარჯიშობენ წერაში. N8. რვეულში მუშაობა პედაგოგი რვეულში მუშაობას ბავშვებს მარტივი სავარჯიშოებით აწყებინებს და ნელ-ნელა ართულებს. 1. გამოწერე ასო ნ. 2. გააფერადე ასო ნ. 3. მოძებნე ასო ნ. 4. იპოვე ასო ნ-ზე დაწყებული სიტყვა და გააფერადე. 5. შეადარე მ და ნ ასოები ერთმანეთს. მასწავლებელი აჯამებს ნასწავლ მასალას: ■ დაასახელეთ 5 სიტყვა, რომელიც იცოდით. ■ დაასახელეთ 5 სიტყვა, რომელიც დღეს ისწავლეთ. ■ დაასახელეთ 5 სიტყვა, რომელიც ლამაზად დაწერეთ. ■ გაკვეთილის რომელი აქტივობა მოგეწონათ ყველაზე მეტად? ■ რომელი დავალება გერთულათ ყველაზე მეტად?
რესურსი	წიგნის ნ ასოს ილუსტრაცია
დამატებითი რესურსი	რვეული სიმღერა **გემი**

7

თემა	ოჯახი და ნათესავები
მიზანი	■ თემასთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა. ■ სურათების აღწერა. ■ ფრაზებზე მუშაობა. ■ მოსმენილი/წაკითხული ტექსტის გააზრება. ■ კითხვებზე პასუხის გაცემა. ■ მარტივი ინსტრუქციების შესრულება. ■ ტექსტების კითხვა.
აქტივობა	მოსწავლის წიგნი N1. გამოწვევის ფაზა პედაგოგი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემას. **მასწ.: –** დღეს ჩვენი გაკვეთილის თემაა „ოჯახი და ნათესავები“. კარგი იქნება თუ მოსწავლეებს წინასწარ ექნებათ მოტანილი 1 საოჯახო ფოტო. მასწავლებელი სთხოვს, დაასახელონ ფოტოზე გამოსახული ადამიანების ვინაობა. N2. წიგნზე მუშაობა წიგნის დახმარებით მასწავლებელი იწყებს ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობას: დედა, მამა, მშობლები... ვინ არის დეიდაშვილი? მამიდაშვილი? ბიძაშვილი? და ა.შ. N3. სამოდელო კითხვა წიგნის პირველ გვერდზე მოცემულია 3 სიუჟეტი; მასწავლებელი კითხულობს სანიმუშოდ ტექსტს. სამოდელო კითხვის შემდეგ ყველა ერთად კითხულობს. შესაძლებელია ინდივიდუალური კითხვაც.

	N4. ფრაზებზე მუშაობა მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს ფრაზების გამოყენებით ისაუბრონ საკუთარ ოჯახზე. N5. მასწავლებელი სვამს შემაჯამებელ კითხვას: – რომელი ფრაზა გამოდგა ყველაზე მეტად შენი ოჯახის აღსაწერად? კიდევ რამის თქმა ხომ არ გინდა შენს ოჯახზე?
რესურსი	წიგნის ო ასოს ილუსტრაცია

თემა	**ო ასოს შესწავლა**
მიზანი	■ ო ასოსთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა. ■ სურათების აღწერა. ■ ფრაზებზე მუშაობა. ■ მოსმენილი/წაკითხული ტექსტის გააზრება. ■ კითხვებზე პასუხის გაცემა. ■ მარტივი ინსტრუქციების შესრულება. ■ ტექსტების კითხვა. ■ რვეულში მუშაობა.
აქტივობა	მოსწავლის წიგნი N1. **მასწ.:** – დღეს ჩვენი გაკვეთილის თემაა **„ასო ო“**, მოდით გავიხსენოთ ო ასოზე დაწყებული სიტყვები: ორი, ოთხი, ოთახი და ა. შ. N2. მასწავლებელი მოაძებნინებს თუ არის საკლასო ოთახში ო ასოზე დაწყებული საგნები. N3. შექმენი პაზლი სიტყვისგან, რომელიც ყველაზე რთული დასამახსოვრებელი აღმოჩნდა შენთვის. N4. სურათის აღწერა მასწავლებელი სთხოვს, დააკვირდნენ სურათებს და აღწერონ შესწავლილი სიტყვების დახმარებით.

	N5. სამოდელო კითხვა მასწავლებელი კითხულობს სანიმუშოდ ტექსტს. სამოდელო კითხვის შემდეგ ყველა ერთად კითხულობს. შესაძლებელია ინდივიდუალური კითხვაც. N6. თამაში „დახატე ტექსტი“ მოცემულია ტექსტი – ომიკოს ოჯახი. წაიკითხე ტექსტი და ყოველი წინადადების მიხედვით დახატე პერსონაჟი. N7. წერაში ვარჯიში მასწავლებელი აჩვენებს, როგორ იწერება ასო ო ბადეში. მასწავლებელი მოსწავლეებს შეახსენებს, რომ ქართული ბადე არის 3 სახის. ასოს დაწერის წესს უხსნის სამივე ბადეში. მასწავლებელი აჩვენებს ო ასოს წერის მიმართულებას. მოსწავლეები ვარჯიშობენ წერაში. N8. წაიკითხე და გადახატე ვასილ გულეურის ლექსი „ობობა“ N9. რვეულში მუშაობა პედაგოგი რვეულში მუშაობას ბავშვებს მარტივი სავარჯიშოებით აწყებინებს და ნელ-ნელა ართულებს. 1. გამოწერე ასო ო. 2. გააფერადე ასო ო. 3. მოძებნე ასო ო. 4. იპოვე ასო ო-ზე დაწყებული სიტყვა და გააფერადე. 5. შეადარე ო და ი ასოები ერთმანეთს. დანარჩენი სავარჯიშოები შეუძლია შეასრულოს სახლში. მასწავლებელი აჯამებს ნასწავლ მასალას.
რესურსი	წიგნის ო ასოს ილუსტრაცია რვეული

3

თემა	პროდუქტები სუპერმარკეტში
მიზანი	■ სუპერმარკეტის პროდუქტების დასახელება; ■ პროდუქტების დახასიათება; ■ საკომუნიკაციო ფრაზები; ■ პროდუქტების ყიდვა; ■ სურათების აღწერა; ■ ტექსტების ერთობლივი კითხვა; ■ თემის შესახებ კითხვებზე პასუხი.
აქტივობა	1. სარეკომენდაციო შეკითხვები: რა არის სუპერმარკეტი? რას ყიდულობთ სუპერმარკეტში? ვინ მიდის სუპერმარკეტში? 2. ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა: *რა არის სურათზე?* – მასწავლებელი ასახელებს ილუსტრირებულ პროდუქტებს... 3. ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად: 1. მასწავლებელი არეული თანმიმდევრობით აჩვენებს ილუსტრაციებს და ეკითხება: *რა არის ეს? სად არის ანანასი? სად არის ქლიავი?* მოსწავლემ უნდა აჩვენოს სურათები. 4. საკომუნიკაციო ფრაზების ათვისება – მუშაობა წყვილებში: მოსწავლეები რიგრიგობით აჩვენებენ მეწყვილეს სურათს და ამბობენ ფრაზას: *აი მწვანე ჩაი; აი ანანასი...* 5. ფრაზებსა და ლექსიკაზე მუშაობა: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ამუშავებს ფრაზებს: *მარილი მლაშეა. შაქარი ტკბილია. წიწაკა მწარეა. ლიმონი მჟავეა.* 6. მასწავლებელი აჩვენებს სურათს და ეკითხება: *ლიმონათი მწარეა? – არა, ლიმონათი ტკბილია. – ბალი*

	ტკბილია? – დიახ, ბალი ტკბილია. თამაში გრძელდება წყვილებში – ერთი ირჩევს ნახატს და სვამს კითხვას, მეორე პასუხობს. 7. სამოდელო კითხვა – მასწავლებელი კითხულობს ტექსტებს. შემდეგ მოსწავლეებთან ერთად იმეორებს ტექსტს. 8. სიტუაციური თამაში: „რა იყიდე სუპერმარკეტში?“ – *მე ვიყიდე ანანასი, პური და რძე... მოსწავლე პოულობს სურათზე და ასახელებს პროდუქტს.* ეს თამაში გრძელდება ყველა მოსწავლესთან. 9. სურათების აღწერა: *რა იყიდა ქალმა და კაცმა? რა დევს ურიკაში? რა იყიდეს პაპუნამ და პავლემ? რა იყიდა ბიჭმა?* 10. კითხვებზე პასუხი: მასწავლებელი სვამს შეკითხვებს თემის შესახებ, მოსწავლეები პასუხობენ. შემდეგ აქტივობა გრძელდება წყვილებში ან ჯგუფებში. სასურველია, მასწავლებელმა კონკურსის სახე მისცეს თამაშს: *დასვით ხუთი შეკითხვა; ვინ მეტ შეკითხვას მოიფიქრებს.*
რესურსები	წიგნი

თემა	**პ ასოს შესწავლა**
მიზანი	■ პ ასოს ცნობა; ■ პ ასოს მოხაზულობა; ■ ლექსიკური ერთეულები პ ასოზე; ■ პ ასოს ამოკითხვა; ■ ტექსტების ერთობლივი კითხვა.
აქტივობა	1. მასწავლებელი წარმოთქვამს პ ასოს; 2. მასწავლებელი აჩვენებს პ ასოს მოხაზულობას სამივე ბადეში; 3. მასწავლებელი კითხულობს და მოსწავლეები იმეორებენ პ ასოზე დაწყებულ სიტყვებს; 4. შეადარეთ ერთმანეთს: ა და პ; პ და კ; პ დ ბ; 5. სავარჯიშო სამუშაო რვეულიდან.....; 6. ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად: 1. მასწავლებელი არეული თანმიმდევრობით აჩვენებს ილუსტრაციებს და ეკითხება: *რა არის ეს? რომელია პეპელა?*

	7. სავარჯიშო სამუშაო რვეულიდან.....; 8. პ ასოს ამოსაცნობად მასწავლებელი თანმიმდევრობით ასრულებს წიგნში მოცემულ სავარჯიშოებს ..... 9. მასწავლებელი კითხულობს ანდაზას, მოსწავლეები იმეორებენ; მსჯელობენ ანდაზის მნიშვნელობაზე; შეკითხვები... 10. სურათის აღწერა: – *ვინ არის სურათზე? – პაპა და პეტრე. – რას ყიდულობენ ისინი?* ..... 11. სამოდელო კითხვა – მასწავლებელი კითხულობს ტექსტს თითის მიყოლებით (შესაძლებელია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება: ჯერ მასწავლებელი კითხულობს ხმამაღლა, შემდეგ ბავშვები, ერთობლივი კითხვა, მონაცვლეობითი კითხვა და ასე შემდეგ...); 12. სავარჯიშო სამუშაო რვეულიდან.....; 13. სიტყვის ბარათები – დაჭრილი ტექსტის თანმიმდევრობით დალაგება; 14. იაფი – ძვირი, ლექსიკური ერთეულების ათვისება: მუშაობა წყვილებში – სურათებზე მითითება – *შენი აზრით, პიჯაკი იაფია? – პირბადე იაფია თუ ძვირი?* 15. სავარჯიშოები სამუშაო რვეულიდან... (სავარჯიშოების მიზნები...)
რესურსები	რეკომენდაცია მასწავლებელს: ნახეთ სასწავლო ვიდეოფილმი – „დიდი წიგნების ერთობლივი კითხვა“

ჟ

თემა	ჟირაფი ჟოზე და მისი მეგობრები
მიზანი	■ თემასთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა. ■ სურათების აღწერა. ■ ფრაზებზე მუშაობა. ■ მოსმენილი/წაკითხული ტექსტის გააზრება. ■ კითხვებზე პასუხის გაცემა. ■ მარტივი ინსტრუქციების შესრულება. ■ ტექსტების კითხვა.
აქტივობა	მოსწავლის წიგნი N1. გამოწვევის ფაზა პედაგოგი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემას. **მასწ.:** – დღეს ჩვენი გაკვეთილის თემაა „ჟირაფი ჟოზე და მისი მეგობრები“. მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ჟოზეს მულტფილმებიდან რომელიმეს: მულტფილმის ნახვის შემდეგ მასწავლებელი სვამს შეკითხვებს: რა ფერისაა მელია? როგორია დათვი? სად ცხოვრობს ნიანგი? მხოლოდ ეს ცხოველები არსებობენ? ვცადოთ, გამოვიცნოთ ცხოველები ხმების მიხედვით. მასწავლებელი ასმენინებს ცხოველების ხმებს და ბავშვებმა უნდა გამოიცნონ ცხოველები ხმების მიხედვით. **2. წიგნზე მუშაობა:** წიგნის დახმარებით მასწავლებელი იწყებს ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობას: მაჩვი, კუ, ტურა, მგელი, ენოტი, იაგუარი, ლეოპარდი... რამდენი ცხოველი ხატია აქ? რომელი ცხოველი ხატია უფრო მეტი? ლომები,

	იაგუარები... თქვენ რომელი ცხოველი იცით, რომელსაც აქ ვერ ხედავთ? N2. სამოდელო კითხვა წიგნის პირველ გვერდზე მოცემულია 3 სიუჟეტური ტექსტი; მასწავლებელი კითხულობს სანიმუშოდ ტექსტს. სამოდელო კითხვის შემდეგ ყველა ერთად კითხულობს. შესაძლებელია ინდივიდუალური კითხვაც. N3. ფრაზებზე მუშაობა მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ფრაზების გამოყენებით ისაუბრონ საყვარელ ცხოველზე. N4. მასწავლებელი სვამს შემაჯამებელ კითხვას: რომელი ფრაზა გამოდგა ყველაზე მეტად თქვენი საყვარელი ცხოველის დასახასიათებლად? გამოიცანი ცხოველები თითო ნიშნის მიხედვით: 
რესურსი	წიგნის ჟ ასოს ილუსტრაცია

თემა	**ჟ ასოს შესწავლა**
მიზანი	■ ჟ ასოსთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა. ■ სურათების აღწერა. ■ ფრაზებზე მუშაობა. ■ მოსმენილი/წაკითხული ტექსტის გააზრება. ■ კითხვებზე პასუხის გაცემა. ■ მარტივი ინსტრუქციების შესრულება. ■ ტექსტების კითხვა. ■ რვეულში მუშაობა.

აქტივობა	მოსწავლის წიგნი N1. **მასწ.:** – დღეს ჩვენი გაკვეთილის თემაა **„ასო ჟ“**, მოდით გავიხსენოთ ჟ ასოზე დაწყებული სიტყვები: ჟოლო, ჟირაფი, ჟურნალი და ა. შ. N2. მასწავლებელი მოაძებნინებს თუ არის საკლასო ოთახში ჟ ასოზე დაწყებული საგნები. N3. შექმენი პაზლი სიტყვისგან, რომელიც ყველაზე მეტად რთული დასამახსოვრებელი აღმოჩნდა შენთვის: N4. სურათის აღწერა მასწავლებელი სთხოვს, დააკვირდნენ სურათებს და აღწერონ შესწავლილი სიტყვების დახმარებით. N5. სამოდელო კითხვა მასწავლებელი კითხულობს სანიმუშოდ ტექსტს. სამოდელო კითხვის შემდეგ ყველა ერთად კითხულობს. შესაძლებელია ინდივიდუალური კითხვაც. N6. მოისმინე სახალისო სიმღერა „ჟუჟუნა წვიმა“ მასწავლებელს გამოაქვს ღრუბელი, რომლის წვიმის წვეთებში წერია ან ხატია ჟ ასოზე დაწყებული სიტყვა. მოსწავლემ უნდა წაიკითხოს და დაწეროს ეს სიტყვა. N7. წერაში ვარჯიში მასწავლებელი აჩვენებს, როგორ იწერება ასო ჟ ბადეში. მასწავლებელი მოსწავლეებს შეახსენებს, რომ ქართული ბადე არის 3 სახის. ასოს დაწერის წესს უხსნის სამივე ბადეში. მასწავლებელი აჩვენებს ჟ ასოს წერის მიმართულებას. მოსწავლეები ვარჯიშობენ წერაში. N8. წაიკითხე და იმღერე „ჟუჟუნა წვიმა“ აქტივობა N9. რვეულში მუშაობა პედაგოგი რვეულში მუშაობას ბავშვებს მარტივი სავარჯიშოებით აწყებინებს და ნელ-ნელა ართულებს. 1. გამოწერე ასო ჟ.

	2. გააფერადე ასო ჟ. 3. მოძებნე ასო ჟ. 4. იპოვე ასო ჟ-ზე დაწყებული სიტყვა და გააფერადე. 5. შეადარე ერთმანეთს: ჟ და ე; ჟ და უ. დანარჩენი სავარჯიშოები შეუძლია შეასრულოს სახლში. მასწავლებელი აჯამებს ნასწავლ მასალას.
რესურსი	წიგნის ჟ ასოს ილუსტრაცია რვეული

თემა	რიცხვების სამყაროში
მიზანი	■ თემასთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა. ■ სურათების აღწერა. ■ ფრაზებზე მუშაობა. ■ მოსმენილი/წაკითხული ტექსტის გააზრება. ■ კითხვებზე პასუხის გაცემა. ■ მარტივი ინსტრუქციების შესრულება. ■ ტექსტების კითხვა.
აქტივობა	მოსწავლის წიგნი N1. გამოწვევის ფაზა პედაგოგი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემას. **მასწ.:** – დღეს ჩვენი გაკვეთილის თემაა „რიცხვების სამყაროში“. მასწავლებელი მოსწავლეებს ასწავლის თამაშს „წეროები“: ბავშვები სხდებიან წრეში, გაშლილი აქვთ ხელისგულები, ერთი ბავშვის 1 ხელისგული მარჯვენა გვერდით მჯდომის ხელისგულის ქვეშაა, მეორე ხელისგული კი მარცხნივ მჯდომის ხელისგულის ზემოთაა. ერთ-ერთი მოთამაშე იწყებს გათვლას: წეროები (ყოველი სიტყვის თქმისას ხელისგულს ადებენ სხვა ბავშვის ხელისგულს და ასე გრძელდება ბოლომდე), მიფრინავენ, სად? შორს! რამდენი? 4! ბავშვები ითვლიან დასახელებულ ციფრამდე (ციფრი 4-ის თქმისას თუ ბავშვი დაიჭერს გვერდით მჯდომის ხელს, დაჭერილი ბავშვი ამ ციფრს წერს და გვერდით უხატავს შესაბამისი რაოდენობის საგანს); თუ ვერ დაიჭერს ბავშვი გვერდით მჯდომი ბავშვის ხელს, მაშინ თვითონ წერს და ხატავს.

	2. წიგნზე მუშაობა: წიგნის დახმარებით მასწავლებელი იწყებს ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობას – მასწავლებელი ასახელებს რთულ ან შედგენილ რიცხვებს: ოცდაორი, ოცდათხუთმეტი, მილიონი... N2. სამოდელო კითხვა წიგნის პირველ გვერდზე მოცემულია 3 სიუჟეტური ტექსტი; მასწავლებელი კითხულობს სანიმუშოდ ტექსტს. სამოდელო კითხვის შემდეგ ყველა ერთად კითხულობს. შესაძლებელია ინდივიდუალური კითხვაც. N3. ფრაზებზე მუშაობა მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ისაუბრონ საყვარელ საგნებზე რიცხვების გამოყენებით – ქალაქში ერთი სტადიონია; ფეხბურთის გუნდში 11 მოთამაშეა და ა. შ. N4. მასწავლებელი სვამს შემაჯამებელ კითხვებს: მე მაქვს რამდენი ხელი? ფეხი? თმა? მაგიდაზე რამდენი კალამია? შენ მერამდენე რიგში ზიხარ? სიით მერამდენე ხარ?
რესურსი	წიგნის რ ასოს ილუსტრაცია

თემა	**რ ასოს შესწავლა**
მიზანი	■ რ ასოსთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა. ■ სურათების აღწერა. ■ ფრაზებზე მუშაობა. ■ მოსმენილი/წაკითხული ტექსტის გააზრება. ■ კითხვებზე პასუხის გაცემა. ■ მარტივი ინსტრუქციების შესრულება. ■ ტექსტების კითხვა. ■ რვეულში მუშაობა.
აქტივობა	მოსწავლის წიგნი N1. **მასწ.: –** დღეს ჩვენი გაკვეთილის თემაა **„ასო რ“**, მოდით გავიხსენოთ რ ასოზე დაწყებული სიტყვები: რობოტი, რვეული, რკო, რქა, რაგბი და ა. შ.

N2.

მასწავლებელი მოაძებნინებს თუ არის საკლასო ოთახში
რ ასოზე დაწყებული საგნები და სვამს შეკითხვას:
– რამდენი ასეთი საგანია ჩვენს კლასში?

N3. თამაში – „ჩემი რიცხვი“

მოსწავლე წერს დაფაზე ციფრს და ასახელებს, გამოდის მეორე, გვერდით უწერს თავის საყვარელ ციფრს და ასევე ასახელებს; გამოდის მესამე და კითხულობს უკვე მიღებულ ორნიშნა რიცხვს. მასწავლებელს შეუძლია დასვას კითხვები: დიდი რიცხვია თუ პატარა? რომელი რიცხვია ამ რიცხვის წინ ან შემდეგ? ვინ დაწერს წინა რიცხვს? მომდევნოს?

N4. სურათის აღწერა

მასწავლებელი სთხოვს, დააკვირდნენ სურათებს და აღწერონ შესწავლილი სიტყვების დახმარებით.

N5. სამოდელო კითხვა

მასწავლებელი კითხულობს სანიმუშოდ ტექსტს. სამოდელო კითხვის შემდეგ ყველა ერთად კითხულობს. შესაძლებელია ინდივიდუალური კითხვაც.

N6. ააწყვე ტექსტის პაზლი

გაკვეთილები უყვარს. **მან** რობოტი
რეზომ რობოტს

რეზო მერვე სკოლაში სწავლობს
რეზოს საკლასო ოთახი **მეორე**

მისი სკოლა ორსართულიანია.
სართულზეა. რეზოს რობოტიკის
ააწყო. რობოტს **ოთხი** ფეხი აქვს.
რობო დაარქვა.

N7. წერაში ვარჯიში

მასწავლებელი აჩვენებს, როგორ იწერება ასო რ ბადეში. მასწავლებელი მოსწავლეებს შეახსენებს, რომ ქართული ბადე არის 3 სახის. ასოს დაწერის წესს უხსნის სამივე ბადეში. მასწავლებელი აჩვენებს რ ასოს წერის მიმართულებას. მოსწავლეები ვარჯიშობენ წერაში.

	N8. რვეულში მუშაობა პედაგოგი რვეულში მუშაობას ბავშვებს მარტივი სავარჯიშოებით აწყებინებს და ნელ-ნელა ართულებს. 1. გამოწერე ასო რ. 2. გააფერადე ასო რ. 3. მოძებნე ასო რ. 4. იპოვე ასო რ-ზე დაწყებული სიტყვა და გააფერადე. 5. შეადარე ო და რ ასოები ერთმანეთს. დანარჩენი სავარჯიშოები შეუძლია შეასრულოს სახლში. მასწავლებელი აჯამებს ნასწავლ მასალას.
რესურსი	წიგნის რ ასოს ილუსტრაცია რვეული

ს

თემა	სახლი
მიზანი	■ სახლის აღწერა; ■ ოთახების აღწერა; ■ სახლთან დაკავშირებული საკომუნიკაციო ფრაზები; ■ სურათების აღწერა; ■ ტექსტების ერთობლივი კითხვა; ■ თემის შესახებ კითხვებზე პასუხი.
აქტივობა	1. სარეკომენდაციო შეკითხვები: რა არის სახლი? როგორია ის? როგორი სახლი მოგწონს? 2. ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა: *რას ხედავ სურათზე?* – მასწავლებელი ასახელებს ილუსტრირებულ სახლს და აჩვენებს მოსწავლეებს: ეს არის საძინებელი ოთახი. ეს არის სამზარეულო. ეს არის აბაზანა. ეს არის კაბინეტი. ეს არის სხვენი. (ან ასახელებინებს მოსწავლეებს). 3. სიტყვის კედელი – მასწავლებელი უჩვენებს გამოჭრილ სიტყვას და მოსწავლე იმეორებს რა წერია, მასწავლებლის დახმარებით. შემდეგ აკრავს კედელზე. ასე აღმოჩნდება კედელზე ყველა სიტყვა. შევსებულ კედელზე ხშირად ამოიკითხავენ ნაცნობ სიტყვებს. 4. ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად: 1. მასწავლებელი აჩვენებს ილუსტრაციას და ეკითხება: *რომელ სართულზეა საძინებელი ოთახი? რომელ სართულზეა კაბინეტი? რომელი ოთახია სამზარეულოს მარცხნივ? რომელ ოთახშია ბუხარი?* მოსწავლემ უნდა დაასახელოს და აჩვენოს სურათები. 5. საკომუნიკაციო ფრაზების ათვისება – მუშაობა წყვილებში: მოსწავლეები რიგრიგობით აჩვენებენ

	მეწყვილეს სურათს და ამბობენ ფრაზას: აი კედელი. აი ველოსიპედი. აი სხვენი. აი კიბე..... 6. ფრაზებსა და ლექსიკაზე მუშაობა: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ამუშავებს ფრაზებს: მე ვცხოვრობ კორპუსში. ჩემი ბინა დიდია. ბინა ხუთოთახიანია... 7. სამოდელო კითხვა – მასწავლებელი კითხულობს ტექსტებს. შემდეგ მოსწავლეებთან ერთად იმეორებს ტექსტს. 8. სიტუაციური თამაში: მოსწავლეები რიგრიგობით პასუხობენ ერთმანეთის შეკითხვებს და აღწერენ სახლს, რომელშიც ცხოვრობენ. ეს თამაში გრძელდება ყველა მოსწავლესთან. 9. კითხვებზე პასუხი: მასწავლებელი სვამს შეკითხვებს თემის შესახებ, მოსწავლეები პასუხობენ. რა ჰქვია ოთახს, რომელშიც გვძინავს? რას ვამზადებთ სამზარეულოში? რომელ ოთახში ვსადილობთ? სად დგას ველოსიპედი? სად დგას ავტომობილი? რა ჰქვია მაღალსართულიან შენობას?
რესურსები	წიგნი

თემა	**ს ასოს შესწავლა**
მიზანი	■ ს ასოს ცნობა; ■ ს ასოს მოხაზულობა; ■ ლექსიკური ერთეულები ს ასოზე; ■ ს ასოს ამოკითხვა; ■ ტექსტების ერთობლივი კითხვა.
აქტივობა	1. მასწავლებელი წარმოთქვამს ს ასოს; 2. მასწავლებელი აჩვენებს ს ასოს მოხაზულობას სამივე ბადეში; 3. მასწავლებელი პლასტელინით ან ძაფით აწერინებს ს ასოს; 4. მასწავლებელი კითხულობს და მოსწავლეები იმეორებენ ს ასოზე დაწყებულ სიტყვებს; 5. ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად: მასწავლებელი არეული თანმიმდევრობით აჩვენებს ილუსტრაციებს და ეკითხება: რომელია საზამთრო? რა ფერისაა სკა? რომელია სპილო? რა ფერისაა

საქართველოს დროშა? რომელია სირაქლემა?
რომელია სიმინდი? რა ფერისაა საყურე?
რომელია საპონი? რომელია საათი? რომელია სათვალე?

6. ჩემი ფერადი ტექსტი.
მოსწავლეები ისმენენ მასწავლებლის მიერ წაკითხულ ლექსს და მოსმენილის მიხედვით აფერადებენ სილუეტურ ნახატს. ამ აქტივობის გამოყენება მოსწავლეს განუვითარებს მოსმენის უნარს, ყურადღების კონცენტრირების უნარს, წარმოსახვის უნარს და სხვ.

რესურსი: სილუეტური ნახატი მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით, ფერადი ფანქრები/ფლომასტერები.

მსვლელობა: მასწავლებელი ბავშვებს ურიგებს სამუშაო ფურცლებს სილუეტური ნახატით.

შემდეგ სთხოვს მათ, ყურადღებით მოუსმინონ მასწავლებლის მიერ წაკითხულ ტექსტს და წაკითხულის მიხედვით გააფერადონ სილუეტური გამოსახულება. მასწავლებელი ნელა, გარკვევით უკითხავს მოსწავლეებს მარტივად აღსაქმელ ტექსტს. მოსწავლეები ტექსტის შინაარსის შესაბამისად აფერადებენ სილუეტურ ნახატს.

	7. სამოდელო კითხვა – მასწავლებელი კითხულობს ტექსტს თითის მიყოლებით (შესაძლებელია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება: ჯერ მასწავლებელი კითხულობს ხმამაღლა, შემდეგ ბავშვები, ერთობლივი კითხვა, მონაცვლეობითი კითხვა, ჯაჭვური კითხვა და ასე შემდეგ...). 8. მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით ადარებენ ერთმანეთს სოფლისა და ქალაქის სახლებს. 9. ლექსიკური ერთეულების ათვისება: მუშაობა წყვილებში – სურათებზე მითითება: სოკო გემრიელია. სირაქლემა ძლიერია. სპილო მსუქანია. სანთელი ანათებს. კორპუსი დიდია. სახლი თბილია. 10. სავარჯიშო სამუშაო რვეულიდან.....
რესურსები:	■ რეკომენდაცია მასწავლებელს: მერი ბოლქვაძის – „სახლი“ http://www.kargiskola.ge/teachers/cignebi/Readers_Grade3/saxli.pdf ■ ნახეთ პლაკატი – „ოთახი“ ■ http://kargiskola.ge/teachers/posters/poster_sasaubro/otaxi.pdf



თემა	ტანსაცმელი
მიზანი	■ ტანსაცმლის დასახელება; ■ ტანსაცმლის დახასიათება; ■ საკომუნიკაციო ფრაზები; ■ სურათების აღწერა; ■ ტექსტების ერთობლივი კითხვა; ■ თემის შესახებ კითხვებზე პასუხი.
აქტივობა	1. სარეკომენდაციო შეკითხვები: რა არის ტანსაცმელი? რისთვის გვჭირდება ტანსაცმელი? 2. ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა: რა არის სურათზე? – მასწავლებელი ასახელებს ილუსტრირებულ ნივთებს... 3. ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად: მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება: რა არის ეს? სად იყიდება ტანსაცმელი? რა აცვია პოლიციელს? მშენებელს? მეზღვაურს? მოსწავლემ უნდა დაასახელოს წიგნში წარმოდგენილი ტანსაცმელი ცალ-ცალკე და აჩვენოს სურათები. 4. მასწავლებელი ათამაშებს ბავშვებს წყვილებში: ბავშვები აკვირდებიან ერთმანეთს და ასახელებენ რა აცვიათ მათ. 5. ფრაზებსა და ლექსიკაზე მუშაობა: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ამუშავებს ფრაზებს; ყუთში აქვს ჩაწყობილი ქუდი, ხელთათმანი,

	კაშნე, წინდა... (ან შეიძლება შესაბამისი სურათები). ამოალაგებს ნივთებს, თან ასახელებს. შემდეგ იგივეს იმეორებენ ბავშვები – რიგრიგობით მიდიან და ასახელებენ იმ ნივთის სახელს, რომელსაც ამოიღებენ ყუთიდან. 6. ფრაზების შესწავლა და ნივთების დახასიათება: მასწავლებელი აჩვენებს სურათებს და ეკითხება: რა აცვია ექიმს? რა აცვია მეხანძრეს? რა უკეთია მზარეულს? რატომ ახურავს მეხანძრეს ჩაფხუტი? როგორი ტანსაცმელი აცვია მყვინთავს?.. 7. სამოდელო კითხვა: მასწავლებელი კითხულობს ტექსტს. შემდეგ მოსწავლეებთან ერთად იმეორებს ტექსტს. 8. კითხვა გაგრძელებებით: მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, თვალი მიადევნონ ტექსტს. ბავშვები კითხულობენ წერტილიდან წერტილამდე. 9. სურათების აღწერა: სად ინახავს ნიკო ტანსაცმელს? რა ტანსაცმელი დევს ნიკოს კარადაში მარჯვნივ? მარცხნივ? სად ჩააწყო ნიკომ წინდები? რა დააწყო ზედა თაროზე? რა დააწყო ნიკომ ქვედა თაროზე? როგორია ნიკოს კარადა? 10. კითხვებზე პასუხი: მასწავლებელი სვამს შეკითხვებს თემის გარშემო: მოსწავლეები პასუხობენ. შემდეგ აქტივობა გრძელდება წყვილებში ან ჯგუფებში. სასურველია, მასწავლებელმა კონკურსის სახე მისცეს თამაშს: – დასვით ხუთი შეკითხვა; ვინ უფრო მეტ შეკითხვას მოიფიქრებს.
რესურსები	წიგნი

თემა	**ტ ასოს შესწავლა**
მიზანი	■ ტ ასოს ცნობა; ■ ტ ასოს მოხაზულობა; ■ ლექსიკური ერთეულები ტ ასოზე; ■ ტ ასოს ამოკითხვა; ■ ტექსტების ერთობლივი კითხვა.

აქტივობა	1. მასწავლებელი წარმოთქვამს ტ ასოს; 2. მასწავლებელი აჩვენებს ტ ასოს მოხაზულობას სამივე ბადეში; 3. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, დაასახელონ ტ ასოზე დაწყებული სიტყვა, რომელსაც გაიხსენებენ; 4. მასწავლებელი კითხულობს და მოსწავლეები იმეორებენ ტ ასოზე დაწყებულ სიტყვებს; 5. ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად: მასწავლებელი ასახელებს ტ ასოზე მოცემულ ლექსიკურ ერთეულებს და თითით მიანიშნებს წიგნის ილუსტრაციებზე; მასწავლებელი ხსნის თითოეული ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობას; მოსწავლეებს ცალ-ცალკე არეულად უსახელებს სიტყვებს და სთხოვს, უჩვენონ წიგნში სიტყვის შესაბამისი ნახატი; 6. მასწავლებელი კითხულობს ტექსტს, მოსწავლეები იმეორებენ; მასწავლებელი ხსნის ტექსტის შინაარსს; სვამს კითხვებს... 7. სურათის აღწერა – ვინ არიან სურათზე? სად არიან ბავშვები? რას აკეთებენ?.. 8. ერთობლივი კითხვა: მასწავლებელი კითხულობს ტექსტს თითის მიყოლებით და ბავშვებიც კითხულობენ მასწავლებელთან ერთად. 9. მონაცვლეობითი კითხვა: ჯერ კითხულობს მასწავლებელი, შემდეგ კითხულობს მოსწავლე. 10. ტექსტის გამთლიანება – მოცემული ტექსტის თითოეული წინადადება დაჭრილია და მასწავლებელი ურიგებს ბავშვებს დაჭრილ ნაწილებს. სთხოვს მათ, რომ თანმიმდევრობით დაალაგონ წინადადებები და ტექსტი გაამთლიანონ; 11. სავარჯიშოები სამუშაო რვეულიდან... (სავარჯიშოების მიზნები...)
რესურსები	■ რეკომენდაცია მასწავლებელს: ნახეთ პლაკატი – „ტბა“. ■ **http://kargiskola.ge/teachers/posters/poster_sasaubro/tba.pdf**

ჟ

თემა	უთვალავი ვარსკვლავი
მიზანი	■ თემასთან დაკავშირებული ლექსიკის დასახელება; ■ ლექსიკური ერთეულების დახასიათება; ■ სურათის აღწერა; ■ საკომუნიკაციო ფრაზები; ■ ტექსტების ერთობლივი კითხვა; ■ თემის შესახებ კითხვებზე პასუხი.
აქტივობა	1. სარეკომენდაციო შეკითხვები: რა არის კოსმოსი? თუ გიფიქრიათ ამაზე? რა იცით ვარსკვლავების შესახებ? თუ გიოცნებიათ კოსმოსში გაფრენაზე? 1. ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა: *რას ხედავთ სურათზე?* – მასწავლებელი ჯერ ბავშვებს ასახელებინებს ილუსტრაციაზე მოცემულ სურათებს, შემდეგ ეხმარება მათ აღწერაში. 2. ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად: მასწავლებელი არეული თანმიმდევრობით აჩვენებს ილუსტრაციებს და ეკითხება: რა არის ეს? *რომელია კოსმოსური თანამგზავრი? რომელი პლანეტაა ურანი? იუპიტერი? ვენერა? სად არის კოსმოსური ხომალდი?...* მოსწავლემ უნდა აჩვენოს სურათები. 3. საკომუნიკაციო ფრაზების ათვისება – მუშაობა ჯგუფებში: მოსწავლეები რიგრიგობით აჩვენებენ ჯგუფებს სურათს და ამბობენ ფრაზას: *ეს არის დედამიწა; ეს არის კოსმოსური ხომალდი; ეს არის პლანეტა ვენერა; ეს არის თანამგზავრი...* (შეიძლება შეჯიბრიც, რომელი ჯგუფი უფრო მეტ ფრაზას შეადგენს). 4. ფრაზებსა და ლექსიკაზე მუშაობა. მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ამუშავებს ფრაზებს: კოსმოსური

	ხომალდი კოსმოსში გაფრინდა. მზე უზარმაზარი ვარსკვლავია. მზის სისტემაში რვა პლანეტაა... 5. მასწავლებელი აჩვენებს სურათს და ეკითხება: – მზე ვარსკვლავია თუ პლანეტა? – *მზე ვარსკვლავია.* *– რამდენი პლანეტაა მზის სისტემაში? – მზის სისტემაში რვა პლანეტაა. – რომელი ხელსაწყოთი აკვირდებიან კოსმოსს?* – კოსმოსს აკვირდებიან ტელესკოპით. თამაში გრძელდება წყვილებში: ერთი ირჩევს ნახატს და სვამს კითხვას, მეორე პასუხობს. 6. სამოდელო კითხვა – მასწავლებელი კითხულობს ტექსტებს. შემდეგ მოსწავლეებთან ერთად იმეორებს ტექსტს. 7. ხმამაღლა წაკითხვა შეცდომებით – მასწავლებელი ხმამაღლა უკითხავს მოსწავლეებს უკვე კარგად დამუშავებულ ტექსტს. მოსწავლეები ყურადღებით ისმენენ და თან თვალს ადევნებენ ტექსტს. კითხვის პროცესში მასწავლებელი ზოგიერთ სიტყვას მოულოდნელად ჩაანაცვლებს მსგავსი მნიშვნელობის სხვა სიტყვით (ცხადია, შეიძლება განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვით ჩანაცვლებაც). მოსწავლეები ცდილობენ გაარკვიონ, რომელი სიტყვა ჩაანაცვლა მასწავლებელმა; პოულობენ და შემოხაზავენ ამ სიტყვას (კარგი იქნება თუ მასწავლებელი ამ აქტივობას შეჯიბრის სახეს მისცემს და ტექსტის წაკითხვის შემდეგ გამოავლენს გამარჯვებულებს – მოსწავლეებს, რომლებმაც მასწავლებლის მიერ ჩანაცვლებული ყველა სიტყვა იპოვეს). ეს თამაში გრძელდება ცალკეულ მოსწავლესთან ან წყვილებში. 8. კითხვებზე პასუხი: *რომელ პლანეტზე ვცხოვრობთ? რა არის ობსერვატორია? მთვარე პლანეტაა თუ დედამიწის თანამგზავრი? რა არის ჭოგრიტი? ვინ არის ასტრონავტი?* 9. სიტყვების მოძებნა: მასწავლებელი უსახელებს მოსწავლეებს კონკრეტულ სიტყვებს. მოსწავლეები წიგნში ეძებენ მასწავლებლის მიერ მითითებულ სიტყვებს და ფანქრით შემოხაზავენ.
რესურსები	წიგნი, ფანქარი.

თემა	**უ ასოს შესწავლა**
მიზანი	■ უ ასოს ცნობა; ■ უ ასოს მოხაზულობა; ■ ლექსიკური ერთეულები უ ასოზე; ■ უ ასოს ამოკითხვა; ■ ტექსტების ერთობლივი კითხვა.

აქტივობა	1. მასწავლებელი წარმოთქვამს უ ასოს; 2. მასწავლებელი აჩვენებს უ ასოს მოხაზულობას სამივე ბადეში; 3. მასწავლებელი კითხულობს და მოსწავლეები იმეორებენ უ ასოზე დაწყებულ სიტყვებს; 4. ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად: 1. მასწავლებელი არეული თანმიმდევრობით აჩვენებს ილუსტრაციებს და ეკითხება: *რა არის ეს?* 2. *რომელია უცხოპლანეტელი?..* 5. უ ასოს ამოსაცნობად, მასწავლებელი თანმიმდევრობით ასრულებს წიგნში მოცემულ სავარჯიშოებს... 6. სამოდელო კითხვა – მასწავლებელი კითხულობს ტექსტს თითის მიყოლებით (შესაძლებელია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება: ჯერ მასწავლებელი კითხულობს ხმამაღლა, შემდეგ ბავშვები, ერთობლივი კითხვა, მონაცვლეობითი კითხვა და ა.შ.). 7. სიტყვის ბარათები – დაჭრილი ტექსტის თანმიმდევრობით დალაგება; 8. *სავარჯიშოები სამუშაო რვეულიდან... (სავარჯიშოების მიზნები...)*
რესურსები	■ რეკომენდაცია მასწავლებელს: ნახეთ სასწავლო ვიდეოფილმი: „დიდი წიგნების ერთობლივი კითხვა“. ■ ჟირაფი ჟოზე – „გავუფრთხილდეთ დედამიწას“.

3

თემა	ფერები
მიზანი	■ ფერების დასახელება; ■ საგანთა დახასიათება ფერების მიხედვით; ■ სურათის აღწერა; ■ ფერებთან დაკავშირებული საკომუნიკაციო ფრაზების გამოყენება; ■ ტექსტების ერთობლივი კითხვა; ■ თემის შესახებ კითხვებზე პასუხი.
აქტივობა	**სარეკომენდაციო შეკითხვები:** რომელ ფერებს დაასახელებდი ქართულად? რომელია შენი საყვარელი ფერი? რა ფერის მაისური (შარვალი, კაბა, ჯემპრი...) გაცვია? 1. ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა: რა ფერის არის ცა? რა ფერისაა მზე? რა ფერისაა ბალახი? რა ფერისაა ზღვა? რა ფერისაა თოვლი? რა ფერისაა მიწა? – დაასახელეთ ცისარტყელას ფერები. მასწავლებელი ასახელებს სურათზე მოცემულ ფერებს... 2. საკომუნიკაციო ფრაზებსა და ლექსიკაზე მუშაობა: მასწავლებელი ჯერ უხსნის, შემდეგ აჩვენებს სურათებს და ეკითხება: რას აქვს ჭრელი ფრთები? რომელი ცხოველია ზოლიანი? რომელი ცხოველის ბეწვია რუხი? რა ფერის კოპლები აქვს ჭიამაიას? როგორი თვალები აქვს კატას? 3. მასწავლებელი აჩვენებს სურათს და ეკითხება: მზე მწვანეა თუ ყვითელი? ზღვა ლურჯია თუ თეთრი? ჭიამაია წითელია თუ მწვანე? ცა ლურჯია თუ ყვითელი?

	(თამაში გრძელდება წყვილებში – ერთი სვამს კითხვას, მეორე პასუხობს). 4. მასწავლებელი კითხულობს მოსწავლეებისთვის თვალსაჩინოდ განთავსებულ ტექსტს: მოსწავლეები ექოდ კითხულობენ მის წაკითხულს. მასწავლებელი ბავშვებისთვის მოულოდნელად ცვლის კითხვის ტემპს – კითხულობს უფრო ნელა ან უფრო სწრაფად. მოსწავლეები ცდილობენ, მასწავლებლის მსგავსად წაიკითხონ ტექსტი; ტემპის ცვლილების შემდეგ მასწავლებელი ცვლის ხმის ტემბრს და ტონს; მაგ.: კითხულობს უფრო ბოხი ხმით, უფრო ჩუმად, სიმღერით და ა.შ. მოსწავლეები, შეძლებისდაგვარად, იმეორებენ იმას, რასაც მასწავლებელი აკეთებს. 6. სიტუაციური თამაში: „მეგობრის პორტრეტი“ ბავშვები დგებიან წყვილებში. აღწერენ საკუთარი მეწყვილის გარეგნობას: რა ფერის აქვს მას თმა, თვალები, წარბები, წამწამები, ტუჩები... 7. ხატვა კარნახით: მასწავლებელი უკითხავს ბავშვებს ტექსტს. მაგ.: მწვანე მინდორზე წითელი ყვავილებია. ყვითელი მზე ლურჯ ცაზე ანათებს. მთებზე თეთრი თოვლი დევს. აქტივობის ბოლოს მოსწავლეები აწყობენ თავიანთი ნახატების გამოფენას.
რესურსები	წიგნი, ნახატები, ფერადი ფანქრები, ფურცლები.

თემა	**ფ ასოს შესწავლა**
მიზანი	■ ფ ასოს ცნობა; ■ ლექსიკური ერთეულები ფ ასოზე; ■ ფ ასოს ამოკითხვა; ■ ფ ასოს მოხაზულობა; ■ ტექსტების ერთობლივი კითხვა.
აქტივობა	1. მასწავლებელი წარმოთქვამს ფ ასოს; 2. მასწავლებელი კითხულობს და მოსწავლეები იმეორებენ ფ ასოზე დაწყებულ სიტყვებს; 3. ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად:

	1. მასწავლებელი არეული თანმიმდევრობით აჩვენებს ილუსტრაციებს და ეკითხება: – *რა არის ეს?* – რომელია *ფანქარი, ფოთოლი, ფუტკარი, ფარშავანგი?..* 4. მასწავლებელი კითხულობს გამოცანას, მოსწავლეები იმეორებენ; მსჯელობენ გამოცანის პასუხზე. 5. სურათის აღწერა – *რა არის სურათზე? – ხე და ყვავილები. – რა ფერის ფოთლები აქვს ყვავილებს? რა ფერის ფოთლები აქვს ხეს? რა ფერის ყვავილებია სურათზე?* 6. სამოდელო კითხვა – მასწავლებელი კითხულობს ტექსტს თითის მიყოლებით. (შესაძლებელია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება: ჯერ მასწავლებელი კითხულობს ხმამაღლა, შემდეგ – ბავშვები, ერთობლივი კითხვა, მონაცვლეობითი კითხვა და ასე შემდეგ). 7. მასწავლებელი სვამს კითხვებს ტექსტის მიხედვით: *რომელია გაზაფხულის ფერები? ზაფხულის? შემოდგომის? ზამთრის?* 8. ფ ასოზე დაწყებული ლექსიკური ერთეულების ათვისება. მასწავლებელი ასახელებინებს მოსწავლეებს ილუსტრირებულ საგნებს: *მასწავლებელი არეული თანმიმდევრობით აჩვენებს ილუსტრაციებს და ეკითხება:* ■ *რა არის ეს?* ■ *სად არის ფანქარი?* ■ *რომელია ფორთოხალი?* *მოსწავლემ უნდა აჩვენოს სურათები.* ■ *მასწავლებელი აჩვენებს ფ ასოს მოხაზულობას სამივე ბადეში;* ■ *სავარჯიშოები სამუშაო რვეულიდან...*
რესურსები	■ რეკომენდაცია მასწავლებელს: ნახეთ სასწავლო ვიდეოფილმი: „ჟოზეს ფერები“. ■ მოუსმინეთ სიმღერას: „ფიფქები ცვივა და ფიფქები მღერიან“.

ქ

თემა	ქალაქში
მიზანი	■ თემასთან დაკავშირებული ლექსიკის დასახელება; ■ ლექსიკის დახასიათება/ფუნქციების აღწერა; ■ სურათის აღწერა; ■ საკომუნიკაციო ფრაზების გამოყენება; ■ ტექსტის ერთობლივი კითხვა; ■ თემის შესახებ კითხვებზე პასუხი.
აქტივობა	**სარეკომენდაციო შეკითხვები:** რა არის ქალაქი? როგორია ის? რას ნახავთ ქალაქში? **ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა:** 1. მასწავლებელი წიგნში ილუსტრაციების ჩვენებით ასახელებს ლექსიკურ ერთეულებს. რას ხედავთ წიგნის ილუსტრაციაზე? (მიუთითებს კონკრეტული ლექსიკის სურათზე და ასახელებინებს მოსწავლეს ან ასახელებს მასწავლებელი და იმეორებს მოსწავლე). 2. მასწავლებელი წყვილებში ათამაშებს ბავშვებს: ერთი ბავშვი ეკითხება მეორეს და მეორე ბავშვი უჩვენებს წიგნში ილუსტრაციას. **საკომუნიკაციო ფრაზებსა და ლექსიკაზე მუშაობა:** **მასწავლებელი აჩვენებს სურათებს და ეკითხება:** – რომელი შენობაა ლურჯი ფერის? რა შენობა დგას მარკეტის გვერდით? რა დგას მოედნის შუაში?... 1. მასწავლებელი ბავშვებს აჩვენებს შუქნიშნის ფერებს და ათამაშებს: ბავშვები იწყებენ სიარულს მწკრივში. მასწავლებელი

	აჩვენებს ფერებს და ბავშვებიც, შესაბამისად, წითელზე ჩერდებიან, მწვანეზე აგრძელებენ სიარულს, ყვითელზე ნელა იწყებენ სიარულს. **გუნდური კითხვა:** მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად, ერთხმად კითხულობენ ტექსტს. ამის შემდეგ, მასწავლებელი მოსწავლეებს ანაწილებს წყვილებში და უნაწილებს დიალოგებს. მოსწავლეები იწყებენ კითხვას. **კითხვებზე პასუხი:** ■ რა ჰქვია მიწისქვეშა ტრანსპორტს? ■ რა ჰქვია გზაზე გადასასვლელ ფერად ნიშანს? ■ სად იყიდება პროდუქტები? ■ რა ჰქვია მაღალსართულიან შენობას? ■ რა ჰქვია დასასვენებელ და სასეირნო ადგილს? ■ რა ჰქვია ადგილს, სადაც ტრანსპორტს ველოდებით?
რესურსები:	წიგნი; ვიდეო: საზოგადოებრივი ტრანსპორტი; ქუჩაში მოძრაობის წესები.

თემა	**ქ ასოს შესწავლა**
მიზანი	■ ქ ასოს ცნობა; ■ ლექსიკური ერთეულები ქ ასოზე; ■ ქ ასოს ამოკითხვა; ■ ქ ასოს მოხაზულობა; ■ ტექსტის კითხვა.
აქტივობა	1. მასწავლებელი წარმოთქვამს ქ ასოს; 2. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, ხომ არ იციან სიტყვები, რომლებიც იწყება ქ ასოზე? 3. მასწავლებელი კითხულობს და მოსწავლეები იმეორებენ ქ ასოზე დაწყებულ სიტყვებს; 4. ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად: 1. მასწავლებელი არეული თანმიმდევრობით აჩვენებს ილუსტრაციებს და ეკითხება: – *რა არის ეს? რომელია ქარხანა, ქუსლი, ქალი, ქვევრი...?* 5. სამოდელო კითხვა – მასწავლებელი კითხულობს ტექსტს თითის მიყოლებით (შესაძლებელია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება: ჯერ მასწავლებელი კითხულობს ხმამაღლა, შემდეგ ბავშვები, ერთობლივი კითხვა, მონაცვლეობითი კითხვა და ასე შემდეგ...).

	6. მასწავლებელმა ტექსტში მოაძებნინოს და დაათვლევინოს ქ ასო (მაგ: რამდენი ქ ასო არის პირველ წინადადებაში...). 7. მასწავლებელი სვამს კითხვებს ტექსტის მიხედვით: სად ჩამოვიდა ქეთო? სად გაისეირნა ქეთომ? რა უყიდა ქეთომ მეგობრებს?... ■ მასწავლებელი აჩვენებს ქ ასოს მოხაზულობას სამივე ბადეში; ■ სავარჯიშოები სამუშაო რვეულიდან...
რესურსები	■ მოსწავლის წიგნი, სასწავლო ვიდეო: ასო ქ.

თემა	ღვინო; ღვინის სამშობლო
მიზანი	■ თემასთან დაკავშირებული ლექსიკის დასახელება; ■ ლექსიკის დახასიათება / ფუნქციების აღწერა; ■ სურათის აღწერა; ■ საკომუნიკაციო ფრაზების გამოყენება; ■ ტექსტის ერთობლივი კითხვა; ■ თემის შესახებ კითხვებზე პასუხი.
აქტივობა	**სარეკომენდაციო შეკითხვები:** (შეიძლება მასწავლებელმა მოიტანოს ყურძენი, აჩვენოს და გაასინჯოს მოსწავლეებს და შემდეგ დასვას შეკითხვები) ■ რა არის ღვინო? ■ როგორ ფიქრობთ, რისგან მზადდება ღვინო? ■ რომელ ქვეყანას უწოდებენ ღვინის სამშობლოს? **ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა:** 1. მასწავლებელი მოსწავლეებს წიგნში უჩვენებს ილუსტრაციებს და ასახელებს ლექსიკურ ერთეულებს, შემდეგ მიუთითებს კონკრეტული ლექსიკური ერთეულის შესაბამის სურათზე და ასახელებინებს მოსწავლეს ან ასახელებს მასწავლებელი და იმეორებს მოსწავლე. 2. მასწავლებელს გამოჰყავს მოსწავლე. მოსწავლე ირგებს მასწავლებლის როლს, ილუსტრაციებზე მიუთითებს დანარჩენ მოსწავლეებს და ეკითხება: – რა არის ეს? **საკომუნიკაციო ფრაზებსა და ლექსიკაზე მუშაობა:** მასწავლებელი მოსწავლეებს მიუთითებს ილუსტრაციებზე და უსვამს კითხვებს:

	■ რა ჰქვია ამ ხილს? ■ რა ჰქვია მცენარეს, რომელიც ყურძენს ისხმას? ■ რას ამზადებენ ყურძნისგან? ■ რა ჰქვია ბევრ ვაზს ერთად? ■ როგორია ყურძენი? – ყურძენი ტკბილია... ბავშვები დავაწყვილოთ – ერთი ირჩევს ნახატს და სვამს კითხვას, მეორე პასუხობს. **სამოდელო კითხვა:** მასწავლებელი კითხულობს ტექსტს, პარალელურად უჩვენებს ილუსტრაციებს, შემდეგ მოსწავლეები კითხულობენ მასწავლებლის დახმარებით. შეიძლება მასწავლებელმა მოსწავლეები დააწყვილოს. შემდეგ დიალოგები გაუნაწილოს. მოსწავლეები იწყებენ კითხვას. კითხვებზე პასუხი: ■ სად მიაქვთ დაკრეფილი ყურძენი? ■ სად იწურება ყურძენი? ■ ყურძნის წვენს რაში ასხამენ? ■ ყურძნის რამდენი ჯიში ხარობს საქართველოში? ■ ჩამოთვალე, რომელი ჯიშები შეგხვდა ტექსტში? ■ რა ფერის ღვინოები არსებობს? ■ ღვინის გარდა, რა მზადდება ყურძნის წვენისგან?
რესურსები	მოსწავლის წიგნი; ჟირაფი ჟოზე – სიმღერა საქართველოზე.

თემა	**ღ ასოს შესწავლა**
მიზანი	■ ღ ასოს ცნობა; ■ ლექსიკური ერთეულები ღ ასოზე; ■ ღ ასოს ამოკითხვა; ■ ღ ასოს მოხაზულობა; ■ ტექსტის კითხვა.
აქტივობა	1. მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ღ ასოს; 2. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, ხომ არ იციან სიტყვები, რომლებიც იწყება ღ ასოზე? 3. მასწავლებელი კითხულობს და მოსწავლეები იმეორებენ

	ღ ასოზე დაწყებულ სიტყვებს მოსწავლის წიგნში; მასწავლებელი სვამს კითხვას: – რა აქვს საერთო ამ სიტყვებს? 4. ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად: მასწავლებელი უჩვენებს ილუსტრირებულ სიტყვას მოსწავლეს და ეკითხება: – რა არის ეს? – ღრუბელი. – სად ვხედავთ ღრუბელს? – რა არის ეს? – ღუზა. – რაში ვიყენებთ ღუზას? – რა არის ეს? – ღორი. – ღორი შინაური ცხოველია თუ გარეული? 5. სამოდელო კითხვა – მასწავლებელი კითხულობს ტექსტს თითის მიყოლებით. (შესაძლებელია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება: ჯერ მასწავლებელი კითხულობს ხმამაღლა, შემდეგ ბავშვები, ერთობლივი კითხვა, მონაცვლეობითი კითხვა და ასე შემდეგ...); 6. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, რომ ტექსტში მოძებნონ და დაასახელონ ღ ასოზე დაწყებული სიტყვა. 7. მასწავლებელი სვამს კითხვებს ტექსტის მიხედვით: ■ რა არის საწნახელი? ■ როგორ წურავენ ყურძენს? ■ რა არის მაჭარი? ■ ღვინოს სად ინახავენ? ■ ... ■ მასწავლებელი აჩვენებს ღ ასოს მოხაზულობას სამივე ბადეში; ■ სავარჯიშოები სამუშაო რვეულიდან...
რესურსები	■ მოსწავლის წიგნი; ვიდეო: ასო ღ.

თემა	ყვავილები
მიზანი	■ ყვავილების დასახელება; ■ ყვავილების დახასიათება; ■ სურათის აღწერა; ■ ყვავილებთან დაკავშირებული საკომუნიკაციო ფრაზების გამოყენება; ■ ტექსტების ერთობლივი კითხვა; ■ თემის შესახებ კითხვებზე პასუხი.
აქტივობა	1. სარეკომენდაციო შეკითხვები: გიყვარს ყვავილები? რომელი ყვავილის სახელი იცი ქართულად? რომელია შენი საყვარელი ყვავილი? ვის მიართმევდი ყვავილებს? 2. ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა: რა არის სურათზე? რა იცი ყვავილების შეახებ? მასწავლებელი ასახელებს სურათზე მოცემული ყვავილების სახელებს. მოსწავლეები იმეორებენ. 3. საკომუნიკაციო ფრაზებსა და ლექსიკაზე მუშაობა: მასწავლებელი ჯერ უხსნის, შემდეგ აჩვენებს სურათებს და ეკითხება: რომელი ყვავილია თეთრი? რომელი ყვავილია ყვითელი? რა ფერის გული აქვს ყაყაჩოს, გვირილას? რა ფერისაა მიხაკი? რომელ ყვავილს აქვს ეკლები? რომელია მინდვრის ყვავილი? რომელია ქოთნის ყვავილი?

	4. **მასწავლებელი აჩვენებს სურათს და ეკითხება:** ყაყაჩო თეთრია თუ წითელი? კაქტუსი მწვანეა თუ ლურჯი? ზამბახი ლურჯია თუ მწვანე? მზესუმზირა ლურჯია თუ ყვითელი? რომელია მინდვრის ყვავილები? რომელი ყვავილებია ქოთანში? (თამაში გრძელდება წყვილებში – ერთი სვამს კითხვას, მეორე პასუხობს). 5. **კითხვა ბუქსირით:** მასწავლებელი კითხულობს მოსწავლეებისათვის თვალსაჩინოდ განთავსებულ ტექსტს; მოსწავლეები ექოდ კითხულობენ მის წაკითხულს; მასწავლებელი ბავშვებისთვის მოულოდნელად ცვლის კითხვის ტემპს (კითხულობს უფრო ნელა ან უფრო სწრაფად; მოსწავლეები ცდილობენ, მასწავლებლის მსგავსად წაიკითხონ ტექსტი; ტემპის ცვლილების შემდეგ მასწავლებელი ცვლის ხმის ტემბრს და ტონს. მაგალითად, კითხულობს უფრო ბოხი ან ჩუმი ხმით, სიმღერით და ა.შ. მოსწავლეები, შეძლებისდაგვარად, იმეორებენ იმას, რასაც მასწავლებელი აკეთებს. 6. **სიტუაციური თამაში: „სწორია თუ არა“** მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს სურათებს და ამბობს ხან ამ საგნის აღმნიშვნელ სიტყვას, ხან სხვა სიტყვას (მაგ.: აჩვენებს ვარდის სურათს და ამბობს ია) მოსწავლე უნდა მიხვდეს, სწორია თუ არა დასახელებული სიტყვა. 7. **ხატვა:** მასწავლებელი მოსწავლეებს ასწავლის, როგორ გააკეთონ მისალოცი ბარათი და გააფორმონ ყვავილებით. 8. **კითხვებზე პასუხი:** მასწავლებელი სვამს შეკითხვებს თემის შესახებ. მოსწავლეები პასუხობენ.
რესურსები	■ წიგნი, ნახატები, ფერადი ფანქრები, ფურცლები.

თემა	ყ ასოს შესწავლა
მიზანი	■ ყ ასოს ცნობა; ■ ლექსიკური ერთეულები ყ ასოზე; ■ ყ ასოს ამოკითხვა; ■ ყ ასოს მოხაზულობა; ■ ტექსტების ერთობლივი კითხვა;
აქტივობა	1. მასწავლებელი წარმოთქვამს ყ ასოს; 2. მასწავლებელი კითხულობს და მოსწავლეები იმეორებენ ყ ასოზე დაწყებულ სიტყვებს; 3. ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად: მასწავლებელი არეული თანმიმდევრობით აჩვენებს ილუსტრაციებს და ეკითხება: – *რა არის ეს? რომელია ყაყაჩო, ყურძენი, ყველი?..* 4. მასწავლებელი კითხულობს ლექსს, მოსწავლეები იმეორებენ; მასწავლებელი აწვდის დამატებით ინფორმაციას „ყაყაჩოს“ შესახებ (საქართველოს მთასა და ბარში ყაყაჩოს რამდენიმე სახეობა იზრდება). გაზაფხულზე, მაისში იშლება ყაყაჩო. ველ-მინდვრებს და ყანებს ყველაზე მეტად ყაყაჩო ამშვენებს. 5. სურათის აღწერა – რომელია ყარყატი? რომელია ყვავი? რა ფერის ყელსაბამია სურათზე? რომელია ყმაწვილი? 6. სამოდელო კითხვა – მასწავლებელი კითხულობს ტექსტს თითის მიყოლებით (შესაძლებელია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება: ჯერ მასწავლებელი კითხულობს ხმამაღლა, შემდეგ ბავშვები, ერთობლივი კითხვა, მონაცვლეობითი კითხვა და ასე შემდეგ...). 7. მასწავლებელი სვამს კითხვებს ტექსტის მიხედვით: როგორ დგას ენძელა? როგორ იღიმება ია? როგორ ელოდება ჟიურის ყოჩივარდა? რა უმშვენებს ლოყას ყაყაჩოს? 8. ყ ასოზე დაწყებული ლექსიკური ერთეულების ათვისება. მასწავლებელი ასახელებინებს ილუსტრირებულ საგნებს: *მასწავლებელი არეული თანმიმდევრობით აჩვენებს ილუსტრაციებს და ეკითხება:* ■ *რა არის ეს?* ■ *სად არის ყურძენი?* ■ *რომელია ყელსაბამი?* ■ *რომელია ყველი?* *მოსწავლემ უნდა აჩვენოს სურათები.* ■ *მასწავლებელი აჩვენებს ყ ასოს მოხაზულობას სამივე ბადეში;* ■ *სავარჯიშოები სამუშაო რვეულიდან... (სავარჯიშოების მიზნები...)*
რესურსები	■ რეკომენდაცია მასწავლებელს: ნახეთ სასწავლო ვიდეოფილმი: „ჟოზეს ყვავილები“.

ბ

თემა	შინაური ცხოველები
მიზანი	■ თემასთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა. ■ სურათების აღწერა. ■ ფრაზებზე მუშაობა. ■ მოსმენილი/წაკითხული ტექსტის გააზრება. ■ კითხვებზე პასუხი. ■ ტექსტების კითხვა.
აქტივობა	1. მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემას და სვამს კითხვებს თემის ირგვლივ: ■ რომელ შინაურ ცხოველებს იცნობთ? ■ რა იცით მათ შესახებ? ■ შინაურ ფრინველებს თუ იცნობთ? მოსწავლის წიგნის დახმარებით, მასწავლებელი იწყებს ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობას; უჩვენებს მოსწავლეებს ილუსტრაციებს და ასახელებს: ძროხა, ცხენი, ღორი და ა.შ. ასევე, ასახელებს ცხოველების შვილების სახელებს. შემდეგ აწყვილებს მოსწავლეებს და ბავშვები ერთმანეთს უსვამენ კითხვებს; მასწავლებელი სვამს კითხვებს: ■ რა ჰქვია ღორის შვილს? (ცხენის, ძროხის, თხის, ძაღლის...) ■ რას ჭამს ძროხა? (ღორი, კურდღელი, ცხენი...) ■ რა შეუძლიათ ფრინველებს? 2. სამოდელო კითხვა: მასწავლებელი კითხულობს სანიმუშოდ ტექსტს.

	სამოდელო კითხვის შემდეგ ბავშვები გუნდურად კითხულობენ. შესაძლებელია ინდივიდუალური კითხვაც. 3. ფრაზებზე მუშაობა: მასწავლებელი ასმენინებს მოსწავლეებს შინაური ცხოველებისა და ფრინველების ხმებს და პარალელურად უხსნის: ძაღლი ყეფს, კატა კნავის, ღორი ღრუტუნებს... შემდეგ მოსწავლეები კითხულობენ ფრაზებს და ამ ფრაზების საშუალებით ახასიათებენ ცხოველებს/ფრინველებს. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, რომელი შინაური ცხოველი ჰყავთ და/ან უნახავთ და სთხოვს, რომ ფრაზების დახმარებით აღწერონ ის.
რესურსი	მოსწავლის წიგნი; **ვიდეო – შინაური ცხოველების/ფრინველების ხმები;**

თემა	**შ ასოს შესწავლა**
მიზანი	■ შ ასოსთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა. ■ სურათების აღწერა. ■ ფრაზებზე მუშაობა. ■ მოსმენილი/წაკითხული ტექსტის გააზრება. ■ კითხვებზე პასუხი. ■ ტექსტის კითხვა. ■ რვეულში მუშაობა.
აქტივობა	1. მასწავლებელი: – დღეს ჩვენი გაკვეთილის თემაა „ასო შ“. მოდით გავიხსენოთ შ ასოზე დაწყებული სიტყვები; მოსწავლეები ილუსტრაციების მიხედვით კითხულობენ წიგნში მოცემულ ლექსიკურ ერთეულებს. 2. ბავშვები, მასწავლებლის დახმარებით, ეძებენ საკლასო ოთახში შ ასოზე დაწყებულ საგნებს. 3. ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად: მასწავლებელი უჩვენებს ილუსტრირებულ სიტყვას მოსწავლეს და ეკითხება: ■ რა არის ეს? – შაქარი. – შაქარი ტკბილია თუ მლაშე? ■ რა არის ეს? – შაშვი. – შაშვი ფრინველია თუ ცხოველი? ■ ა. შ.

	4. სამოდელო კითხვა: მასწავლებელი კითხულობს სანიმუშოდ ტექსტს. სამოდელო კითხვის შემდეგ კითხულობენ გუნდურად. შესაძლებელია ინდივიდუალური კითხვაც. ლექსი შეიძლება წაიკითხონ მოსწავლეებმა წერტილიდან წერტილამდე. კითხვის ბოლოს პასუხობენ კითხვებს: ■ სად ცხოვრობს ჩიტი? (დათვი? ციყვი? თაგვი? ლოკოკინა? კუ?) 5. თამაში – „დაკარგული სიტყვები“. მოცემულია ტექსტი გამოტოვებული სიტყვებით. მოსწავლეებმა ის უნდა შეავსონ ტექსტში მოცემული და უკვე ნასწავლი სიტყვებით: ■ შოთამ .... ძვალი გადაუგდო. ■ შორენას შოთას .... ძალიან მოეწონა. ■ შორენამ მშვენიერი .... შენიშნა... ■ ა.შ. 6. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ტექსტში მოძებნონ და დაასახელონ შ ასოზე დაწყებული სიტყვები. 7. წერაში ვარჯიში: მასწავლებელი აჩვენებს, როგორ იწერება ასო შ ბადეში; შ ასოს დაწერის წესს უხსნის სამივე ბადეში. მასწავლებელი აჩვენებს შ ასოს წერის მიმართულებას. მოსწავლეები ვარჯიშობენ წერაში. 8. სავარჯიშოები სამუშაო რვეულიდან...
რესურსი	მოსწავლის წიგნი; ვიდეო: ასო შ.

ჩ

თემა	ჩანთა და სასკოლო ნივთები
მიზანი	■ სასკოლო ნივთების დასახელება; ■ სასკოლო ნივთების დახასიათება; ■ საკომუნიკაციო ფრაზები; ■ სურათების აღწერა; ■ ტექსტების ერთობლივი კითხვა; ■ თემის შესახებ კითხვებზე პასუხი.
აქტივობა	1. სარეკომენდაციო შეკითხვები: რა არის სასკოლო ნივთები? რომელ სასკოლო ნივთს რაში ვიყენებთ? 2. ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა: – რა არის სურათზე? – მასწავლებელი ასახელებს ილუსტრირებულ ნივთებს... 3. ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად: მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება: რა არის ეს? სად არის საშლელი? სად არის ფერადი ფანქრები? მოსწავლემ წიგნში უნდა აჩვენოს შესაბამისი სურათები. 4. მასწავლებელი ათამაშებს ბავშვებს წყვილებში: ერთი ბავშვი ეუბნება მეორეს: – მომაწოდე სათლელი, მომაწოდე სახაზავი... მეორე ბავშვი აწვდის ნივთებს და პირიქით... 5. ფრაზებსა და ლექსიკაზე მუშაობა: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ამუშავებს ფრაზებს. ჩანთაში აქვს ჩაწყობილი სასკოლო ნივთები, ამოალაგებს ნივთებს და თან ასახელებს: ეს ჩემი ჩანთაა, ჩემს ჩანთაში დევს წიგნები, რვეულები, საშლელი, სათლელი, ფანქარი... 6. ფრაზების შესწავლა და სასკოლო ნივთების დახასიათება: მასწავლებელი იღებს წიგნს და კითხულობს. ეკითხება ბავშვებს: – რას ვაკეთებ წიგნით? იღებს ფერად ფანქრებს და იწყებს ხატვას: – რას ვაკეთებ

	ფერადი ფანქრებით? რას ვაკეთებ საშლელით? რას ვაკეთებ სათლელით?... 7. სამოდელო კითხვა: მასწავლებელი კითხულობს ტექსტს. შემდეგ მოსწავლეებთან ერთად იმეორებს მას. 8. კითხვა გაგრძელებებით: მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, თვალი მიადევნონ ტექსტს. ბავშვები მონაცვლეობით კითხულობენ წერტილიდან წერტილამდე. 9. სურათების აღწერა: რა არის საკლასო ოთახში? რა დევს ჩანთაში? რა დევს პენალში? რა დევს ჩანთის წინ? უკან? რა დევს წიგნზე? 10. კითხვებზე პასუხი: მასწავლებელი სვამს კითხვებს თემის ირგვლივ. მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად. თამაშს ეძლევა შეჯიბრის სახე – რომელი ჯგუფი დააგროვებს უფრო მეტ სწორ პასუხს.
რესურსები	წიგნი

თემა	**ჩ ასოს შესწავლა**
მიზანი	■ ჩ ასოს ცნობა; ■ ჩ ასოს მოხაზულობა; ■ ლექსიკური ერთეულები ჩ ასოზე; ■ ჩ ასოს ამოკითხვა; ■ ტექსტების ერთობლივი კითხვა.
აქტივობა	1. მასწავლებელი წარმოთქვამს ჩ ასოს; 2. მასწავლებელი აჩვენებს ჩ ასოს მოხაზულობას სამივე ბადეში; 3. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, გაიხსენონ და დაასახელონ რაიმე სიტყვა ჩ ასოზე; 4. მასწავლებელი კითხულობს და მოსწავლეები იმეორებენ ჩ ასოზე დაწყებულ სიტყვებს; 5. სავარჯიშო სამუშაო რვეულიდან.....; 6. **ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად:** მასწავლებელი ასახელებს ჩ ასოზე მოცემულ ლექსიკურ ერთეულებს და თითით მიანიშნებს წიგნის ილუსტრაციებზე; მასწავლებელი ხსნის თითოეული ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობას; ცალ-ცალკე ეუბნება მოსწავლეებს სიტყვებს არეულად და სთხოვს, რომ უჩვენონ წიგნში სიტყვის შესაბამისი ნახატი;

	7. სავარჯიშო სამუშაო რვეულიდან.....; 8. მასწავლებელი კითხულობს ლექსს, მოსწავლეები იმეორებენ; მასწავლებელი ხსნის ლექსის შინაარსს, სვამს კითხვებს... 9. **სურათის აღწერა:** – ვინ არის სურათზე? – კაცი ჩანგურით. – რას აკეთებს ის?... 10. **ერთობლივი კითხვა:** – მასწავლებელი კითხულობს ტექსტს თითის მიყოლებით და ბავშვებიც კითხულობენ მასწავლებელთან ერთად; 11. **მონაცვლეობითი კითხვა:** ჯერ კითხულობს მასწავლებელი, შემდეგ კითხულობს მოსწავლე; 12. სავარჯიშო სამუშაო რვეულიდან.....; 13. ტექსტის გამთლიანება – მოცემული ტექსტის თითოეული წინადადება დაჭრილია და მასწავლებელი ურიგებს ბავშვებს. სთხოვს მათ, რომ თანმიმდევრობით დაალაგონ წინადადებები და ტექსტი გაამთლიანონ; 14. სავარჯიშოები სამუშაო რვეულიდან... (სავარჯიშოების მიზნები...).
რესურსები	■ რეკომენდაცია მასწავლებელს: ნახეთ ვიდეო „სასკოლო ნივთები“; ■ ვიდეო: ასო ჩ.

ც

თემა	ცეკვა
მიზანი	■ თემასთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა. ■ სურათების აღწერა. ■ ფრაზებზე მუშაობა. ■ მოსმენილი/წაკითხული ტექსტის გააზრება. ■ კითხვებზე პასუხი. ■ ტექსტების კითხვა.
აქტივობა	1. მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემას და სვამს კითხვებს თემის ირგვლივ: ■ რა გსმენიათ ქართული ცეკვის შესახებ? ■ თუ იცით რომელიმე ცეკვა? ■ ქართული ტრადიციული სამოსის შესახებ თუ გსმენიათ? 2. თემის ლექსიკური ერთეულები: წიგნის დახმარებით, მასწავლებელი იწყებს ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობას: მოცეკვავე, ჩოხა, ფატა, ფაფახი... ■ ცეკვა „სამაიას“ ცეკვავს სამი გოგო. ■ ცეკვა „ქართულს“ ცეკვავს ქალ-ვაჟი. ■ ა. შ. 3. გუნდური კითხვა და ფრაზებზე მუშაობა. მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად, ერთხმად კითხულობენ ფრაზებს. ილუსტრაციების დახმარებით, მასწავლებელი განმარტავს თითოეულ ფრაზას. ამის შემდგეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ანაწილებს წყვილებად და უნაწილებს მათ დიალოგებს. მოსწავლეები იწყებენ კითხვას. 4. მასწავლებელი სვამს შემაჯამებელ კითხვებს: ■ რა ჰქვია მამაკაცის ტრადიციულ სამოსს? ■ რისგან კერავენ ფაფახს?

	■ რა არის ჩიხტიკოპი? ■ ერთი ადამიანის შესრულებულ ცეკვას რა ჰქვია? ■ რა ჰქვია დასარტყამ მუსიკალურ ინსტრუმენტს? ■ რა ჰქვია ჩასაბერ მუსიკალურ ინსტრუმენტს? ■ ა. შ. 5. მასწავლებელი აჩვენებს ბავშვებს მოსწავლის წიგნში მოცემული ცეკვის ვიდეოებს. პარალელურად აჩვენებს და უხსნის მოცეკვავეების სხვადასხვა აქსესუარს და ჩასაცმელს.
რესურსი	მოსწავლის წიგნი; ვიდეო – ცეკვა ქართული, ხორუმი, სამაია, ოსური.

თემა	**ც ასოს შესწავლა**
მიზანი	■ ც ასოსთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა. ■ სურათების აღწერა. ■ ფრაზებზე მუშაობა. ■ მოსმენილი/წაკითხული ტექსტის გააზრება. ■ კითხვებზე პასუხი. ■ ტექსტების კითხვა. ■ რვეულში მუშაობა.
აქტივობა	1. მასწავლებელი: – დღეს ჩვენი გაკვეთილის თემაა „ასო ც“, მოდით გავიხსენოთ ც ასოზე დაწყებული სიტყვები. შემდეგ ილუსტრაციების მიხედვით კითხულობენ წიგნში მოცემულ ლექსიკურ ერთეულებს; 2. ბავშვები, მასწავლებლის დახმარებით, ეძებენ საკლასო ოთახში ც ასოზე დაწყებულ საგნებს. 3. ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად: მასწავლებელი უჩვენებს ილუსტრირებულ სიტყვას მოსწავლეს და ეკითხება: ■ რა არის ეს? – ცოცხი. – რისთვის ვიყენებთ ცოცხს? ■ რა არის ეს? – ცისარტყელა. – რამდენი ფერი აქვს ცისარტყელას? ■ რა არის ეს? – ციცარი. – ციცარი შინაური ფრინველია თუ გარეული? ■ ა.შ. 4. გუნდური კითხვა: მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად, ერთხმად კითხულობენ ტექსტს და ლექსს. შემდეგ მასწავლებელი აკითხებს ცალ-ცალკე.

	მასწავლებელს შეუძლია მოასმენინოს სიმღერა „ჩემო ციცინათელა“. 5. თამაში „დაკარგული სიტყვები“. მოცემულია ტექსტი გამოტოვებული სიტყვებით. მოსწავლეებმა ის უნდა შეავსონ ტექსტში მოცემული და უკვე ნასწავლი სიტყვებით. ■ ციციას და ცოტნეს ეზოში .... ხე დგას. ■ ცაცხვის ხეზე .... დარბის. ■ იქვე .... ბალახს ძოვს. ■ ცოტნე .... სეირნობს. 6. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ტექსტში მოძებნონ და დაასახელონ ც ასოზე დაწყებული სიტყვები. 7. წერაში ვარჯიში: მასწავლებელი აჩვენებს, როგორ იწერება ასო ც ბადეში. ც ასოს დაწერის წესს უხსნის სამივე ბადეში. მასწავლებელი აჩვენებს ც ასოს წერის მიმართულებას. მოსწავლეები ვარჯიშობენ წერაში. 8. სავარჯიშოები სამუშაო რვეულიდან...
რესურსი	მოსწავლის წიგნი; ვიდეო – სიმღერა „ჩემო ციცინათელა“.

d

თემა	ძალოსნობა და სპორტი
მიზანი	■ სპორტის სახეობათა დასახელება; ■ სპორტის თითოეული სახეობის დახასიათება; ■ საკომუნიკაციო ფრაზები; ■ სურათების აღწერა; ■ ტექსტების ერთობლივი კითხვა; ■ თემის შესახებ კითხვებზე პასუხი.
აქტივობა	1. **სარეკომენდაციო კითხვები:** გიყვარს თუ არა სპორტი? ხარ თუ არა სპორტით დაკავებული? სპორტის რომელი სახეობა მოგწონს? 2. **ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა:** სურათზე (პოსტერზე, დასურათებულ ბარათებზე, წიგნის ილუსტრაციებზე) მითითებით მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს: ა) სპორტის სახეობებს: – ეს არის ფრენბურთი, წყალბურთი, ხელბურთი, რაგბი, ძალოსნობა, ფარიკაობა... ბ) სპორტსმენებს: წყალბურთი – წყალბურთელი; ფეხბურთი – ფეხბურთელი; ფრენბურთი – ფრენბურთელი; კალათბურთი – კალათბურთელი; ჭადრაკი – მოჭადრაკე; ფარიკაობა – მოფარიკავე; რაგბი – მორაგბე... 3. **ილუსტრაციებზე მუშაობა:** თითოეულ სურათზე დაკვირვებით, მასწავლებელი უხსნის მოსწავლეს: – **ეს არის წყალბურთელი.** წყალბურთელს აქვს ქუდი და სათვალე. **ეს არის მოფარიკავე.** მოფარიკავეს აქვს ფარი და ხმალი. **ეს არის კალათბურთელი.** კალათბურთელი ბურთს აგდებს კალათში. **ეს არის ძალოსანი.** ძალოსანმა ასწია (აზიდა) შტანგა. **ეს არის გულშემატკივარი.** გულშემატკივარს აქვს კეპი და საყვირი.

4. **ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად:**



5. მასწავლებელი არეული თანმიმდევრობით აჩვენებს ილუსტრაციებს მოსწავლეებს და ეკითხება: – ვინ არის ეს? რომელია მოჭიდავე? მოფარიკავე? გულშემატკივარი? მოსწავლემ უნდა აჩვენოს სურათები.
6. საკომუნიკაციო ფრაზების ათვისება – მუშაობა წყვილებში: მოსწავლეები რიგრიგობით აჩვენებენ მეწყვილეს სურათს და ამბობენ ფრაზებს:
   – *ეს არის წყალბურთელი.*
   – *ეს არის მოფარიკავე.*
   – *ეს არის გულშემატკივარი...*
7. ფრაზებსა და ლექსიკაზე მუშაობა: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ამუშავებს ფრაზებს (მასწავლებელი ამბობს, ბავშვები იმეორებენ):
   - ძალოსნობა ძლიერთა სპორტია.
   - ძალოსნობა ოლიმპიური სპორტის სახეობაა.
   - ძალოსნობის სახეებია: აჭიმვა, ატაცი, აკვრა.
   - ძალოსნები ბევრს ვარჯიშობენ.
   - ჩვენს ქვეყანას ბევრი ძალოსანი ჰყავს.
8. სურათების აღწერა: რომელ სპორტსმენს ხედავთ სურათზე? რა აცვია მას?

	9. **მართული კითხვა** – მოსწავლეები წყვილებში კითხულობენ ტექსტს. მასწავლებელი მიზნობრივად ეხმარება და აძლევს უკუკავშირს. 10. **საუკეთესო შეკითხვა** – მასწავლებელი კონკურსის სახეს აძლევს თამაშს: დასვით ხუთი შეკითხვა; ვინც მეტ და საუკეთესო შეკითხვას მოიფიქრებს, დასაჩუქრდება.
რესურსები	წიგნი

თემა	**ძ ასოს შესწავლა**
მიზანი	■ ძ ასოს ცნობა; ■ ძ ასოს მოხაზულობა; ■ ლექსიკური ერთეულები ძ ასოზე; ■ ძ ასოს ამოკითხვა; ■ ტექსტების ერთობლივი კითხვა.
აქტივობა	1. მასწავლებელი წარმოთქვამს ძ ასოს; 2. მასწავლებელი კითხულობს და მოსწავლეები იმეორებენ ძ ასოზე დაწყებულ სიტყვებს; 3. ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად: მასწავლებელი არეული თანმიმდევრობით აჩვენებს ილუსტრაციებს და ეკითხება: – *რა არის ეს? რომელია ძაღლი? ძმა? ძიძა? ძაფი? ძვალი?* 4. ძ ასოს ამოსაცნობად მასწავლებელი თანმიმდევრობით ასრულებს წიგნში მოცემულ სავარჯიშოებს. 5. მასწავლებელი კითხულობს გამოთქმას, მოსწავლეები იმეორებენ; მსჯელობენ გამოთქმის მნიშვნელობაზე; პასუხობენ კითხვებს... 6. სურათის აღწერა: – ვინ არის 1-ელ, მე-2, მე-3 სურათზე? დაახასიათე თითოეული და აღწერე, რას აკეთებენ ისინი. 7. სამოდელო კითხვა – მასწავლებელი კითხულობს ტექსტს თითის მიყოლებით (შესაძლებელია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება: ჯერ მასწავლებელი კითხულობს ხმამაღლა, შემდეგ ბავშვები; ერთობლივი კითხვა; მონაცვლეობითი კითხვა და ასე შემდეგ); 8. მასწავლებელი აჩვენებს ძ ასოს მოხაზულობას სამივე ბადეში; 9. სავარჯიშო სამუშაო რვეულიდან.....
რესურსები	■ რეკომენდაცია მასწავლებელს: ნახეთ სასწავლო ვიდეოფილმი „დიდი წიგნების ერთობლივი კითხვა“. ■ ვიდეო მოტორიკის განვითარებისთვის: **https://www.youtube.com/watch?v=4euu2hISjXs**

თემა	წიგნი
მიზანი	■ წიგნის აღწერა; ■ ბიბლიოთეკის აღწერა; ■ ფრაზები; ■ სურათების აღწერა; ■ ტექსტების ერთობლივი კითხვა; ■ თემის შესახებ კითხვებზე პასუხი.
აქტივობა	1. **სარეკომენდაციო შეკითხვები:** დადიხარ ბიბლიოთეკაში? გიყვარს წიგნები? რომელია შენი საყვარელი წიგნი? 2. **ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა:** რისგან შედგება წიგნი? – მასწავლებელი გამოიყენებს ავთენტურ კონტექსტს. მოსწავლეებს უჩვენებს წიგნს და ასახელებს მის ნაწილებს: ■ ეს არის წიგნი; ■ ეს არის წიგნის ყდა; ■ ეს არის თავფურცელი; ■ ეს არის სარჩევი; ■ ეს არის გვერდი; ■ ეს არის ილუსტრაცია. მასწავლებელი მოსწავლეს უჩვენებს სურათს და უხსნის: ■ ეს არის ბიბლიოთეკა; ■ ბიბლიოთეკა არის ადგილი, სადაც ბევრი წიგნია თავმოყრილი; ■ ბიბლიოთეკაში დგას კარადა და წიგნების თარო; ■ წიგნები აწყვია თაროზე; ■ ბიბლიოთეკარი გვაძლევს წიგნს; ■ მკითხველი კითხულობს წიგნს;

	■ მკითხველი ზის სამკითხველო დარბაზში; ■ სამკითხველო დარბაზში დგას მაგიდები და სკამები. 3. **ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად:** მასწავლებელი აძლევს მოსწავლეს წიგნს, ავალებს გაიმეოროს მის მიერ დასახელებული სიტყვები და წიგნის მაგალითზე აჩვენოს მათი მნიშვნელობები. 4. **ერთსიტყვიანი პასუხები:** რეალურ საგნებსა და თემატურ პოსტერებზე დაყრდნობით, მოსწავლეები უპასუხებენ მასწავლებლის შეკითხვებს ერთი სიტყვით (მაგ.: – ეს რა არის? – წიგნი. – სად დევს წიგნი? – თაროზე. – რა არის ბიბლიოთეკა?...) 5. **სწავლა კეთებით:** მოსწავლე ამზადებს საკუთარი ხელით წიგნს; ითვალისწინებს, რომ მას უნდა ჰქონდეს: ყდა, თავფურცელი, სარჩევი, ილუსტრაცია, გვერდი. 6. **ფრაზებსა და ლექსიკაზე მუშაობა:** მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ამუშავებს ფრაზებს და მიუთითებს წიგნში ფრაზის შესაბამის ილუსტრაციაზე: ■ ამ წიგნს ლამაზი ყდა აქვს; ■ ყველა წიგნს აქვს თავფურცელი და სარჩევი; ■ ბიბლიოთეკაში ბევრი წიგნია; ■ წიგნები თაროზე აწყვია; ■ ბიბლიოთეკას ბევრი მკითხველი ჰყავს. 7. **ტექსტზე სამუშაოდ ხმამაღალი კითხვის ვარიაციები:** განმეორებითი კითხვა, მონაცვლეობით კითხვა, ურთიერთწაკითხვა და სხვ. 8. **სურათის აღწერა:** მოსწავლე დამოუკიდებლად საუბრობს ილუსტრაციის შესახებ. (რა არის ეს? ეს ბიბლიოთეკაა. რა დგას ბიბლიოთეკაში? ვინ არის ბიბლიოთეკაში?). 9. **კითხვებზე პასუხი:** მასწავლებელი სვამს შეკითხვებს ტექსტის ირგვლივ, მოსწავლეები პასუხობენ.
რესურსები	წიგნი, ფერადი ფურცლები და ფანქრები.

თემა	**წ ასოს შესწავლა**
მიზანი	■ წ ასოს ცნობა; ■ წ ასოს მოხაზულობა; ■ ლექსიკური ერთეულები წ ასოზე; ■ წ ასოს ამოკითხვა; ■ ტექსტების ერთობლივი კითხვა.

აქტივობა	1. მასწავლებელი წარმოთქვამს წ ასოს; 2. მასწავლებელი კითხულობს და მოსწავლეები იმეორებენ წ ასოზე დაწყებულ სიტყვებს; 3. სავარჯიშო სამუშაო რვეულიდან.....; 4. **ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად:** მასწავლებელი აჩვენებს ილუსტრაციას და ეკითხება: *– რა არის ეს? – რომელია წისქვილი?* 5. სავარჯიშო სამუშაო რვეულიდან.....; 6. **წ ასოს** ამოსაცნობად მასწავლებელი თანმიმდევრობით ასრულებს წიგნში მოცემულ სავარჯიშოებს... 7. **მასწავლებელი კითხულობს გამოთქმას** (გვ. 108), მოსწავლეები იმეორებენ; მსჯელობენ გამოთქმის მნიშვნელობაზე (ერთად უფრო ძლიერები ვართ თუ ცალ-ცალკე?). 8. **სიტყვების კლასიფიკაცია:** (გვ. 107-108), მასწავლებელი ალაგებს სიტყვების ილუსტრაციებს მაგიდაზე. მოცემულ ლექსიკურ ერთეულებს მოსწავლეები აჯგუფებენ იმის მიხედვით, თუ რომელია საკვები, რომელი – სულიერი არსება და რომელი – ნივთი. პროცესში მოსწავლეები იმეორებენ და სწავლობენ როგორც სიტყვების კოდს, ასევე მათ ხატოვან სახეს. 9. სავარჯიშო სამუშაო რვეულიდან..... 10. **საჩვენებელი და ერთობლივი კითხვა ქოროში/გუნდად** მასწავლებელი ყველა მოსწავლესთან ერთად კითხულობს ტექსტს. 11. **მე ილუსტრატორი...** მასწავლებელი კითხვებზე პასუხის გაცემით შეახსენებს მოსწავლეებს წაკითხული ტექსტის შინაარსს. შემდეგ ავალებს, დახატონ მოთხრობის რომელიმე ეპიზოდი. 12. მასწავლებელი **აჩვენებს წ ასოს** მოხაზულობას სამივე ბადეში; 13. სავარჯიშოები სამუშაო რვეულიდან... (სავარჯიშოების მიზნები...)
რესურსები	■ რეკომენდაცია მასწავლებელს: მოტორიკის განვითარებისთვის, ნახეთ სასწავლო ვიდეო: #ხატექართულად #ანბანი #ხატვა #წ

თემა	ჭამა-სმა
მიზანი	■ კერძებისა და სასმელების დასახელება; ■ დახასიათება; ■ საკომუნიკაციო ფრაზები; ■ რისგან მზადდება კერძები; ■ სუფრის აღწერა; ■ ტექსტების ერთობლივი კითხვა; ■ თემის შესახებ კითხვებზე პასუხი.
აქტივობა	1. **სარეკომენდაციო შეკითხვები:** იცნობთ თუ არა ქართულ კერძებს? 2. რა არის საჭმელი? რა არის სასმელი? რომელია შენი საყვარელი კერძი? 3. **ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა:** რას ვხედავთ სუფრაზე? – მასწავლებელი ასახელებს ილუსტრირებულ კერძებს... 4. **ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად:** მასწავლებელი არეული თანმიმდევრობით აჩვენებს ილუსტრაციებს და ეკითხება: – *რა არის ეს? სად დევს ხაჭაპური? სად დევს ხინკალი?* მოსწავლემ უნდა აჩვენოს სურათები. 5. **ფრაზებსა და ლექსიკაზე მუშაობა:** მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ამუშავებს ფრაზებს: ხაჭაპური ცხელია; მწვადი შემწვარია; ლობიანი თბილია; ხინკალი გემრიელია; წვენი ცივია... 6. **საკომუნიკაციო ფრაზების ათვისება:** მასწავლებელი რიგრიგობით აჩვენებს მოსწავლეებს სურათებს და მოსწავლე ამბობს ფრაზებს: ■ მიირთვი ხაჭაპური; ■ ხაჭაპური ყველით მზადდება;

	■ მე მიყვარს ხაჭაპური; ■ მე მიყვარს ფხალი; ■ ეს არის თათარა; ■ რისგან მზადდება თათარა? ■ თათარა მზადდება ყურძნის წვენისგან. ■ ეს გოზინაყია? ■ დიახ, ეს გოზინაყია. გოზინაყს ამზადებენ საახალწლოდ... 6. **მასწავლებელი აჩვენებს სურათს და ეკითხება:** ■ რამდენი შოთი დევს სუფრაზე? ■ დაასახელე, რომელი ხილი დევს სუფრაზე? ■ რომელი სასმელი დგას სუფრაზე? ■ დაასახელე ცხელი და ცივი კერძები. ■ ჩამოთვალე ტკბილეული (დესერტი). 7. **„ქართული სუფრის აღწერა“ სურათის მიხედვით.** 8. **სიტუაციური თამაში – „რეცეპტები“:** მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს ქართული სუფრის სურათს. მოსწავლე ირჩევს კერძს ან წვენს და, შეძლებისდაგვარად, ასახელებს ინგრედიენტებს. ეს თამაში გრძელდება ყველა მოსწავლესთან. (მაგ.: ხაჭაპური – ყველი, წყალი, ფქვილი, მარილი, საფუარი...). 9. **ექოს ტიპის კითხვა:** – მასწავლებელი კითხულობს ერთ წინადადებას; შემდეგ მოსწავლეები ერთხმად კითხულობენ მასწავლებლის მიერ წაკითხულს. ამგვარად იკითხება მთელი ტექსტი. 10. **კითხვებზე პასუხი:** მასწავლებელი სვამს შეკითხვებს თემის შესახებ, მოსწავლეები პასუხობენ. შემდეგ აქტივობა გრძელდება წყვილებში ან ჯგუფებში. სასურველია, მასწავლებელმა კონკურსის სახე მისცეს თამაშს: დასვით ხუთი შეკითხვა; ვინ მეტ შეკითხვას მოიფიქრებს.
რესურსები	წიგნი

თემა	**ჭ ასოს შესწავლა**
მიზანი	■ ჭ ასოს ცნობა; ■ ჭ ასოს მოხაზულობა; ■ ლექსიკური ერთეულები ჭ ასოზე; ■ ჭ ასოს ამოკითხვა; ■ ტექსტების ერთობლივი კითხვა.

1. მასწავლებელი წარმოთქვამს ჭ ასოს;
2. მასწავლებელი აჩვენებს ჭ ასოს მოხაზულობას სამივე ბადეში;
3. მასწავლებელი კითხულობს და მოსწავლეები იმეორებენ ჭ ასოზე დაწყებულ სიტყვებს;
4. სავარჯიშო სამუშაო რვეულიდან.....;
5. **ლექსიკური ერთეულების სწავლებისთვის** მასწავლებელი გამოიყენებს ავთენტურ კონტექსტს. სწავლება ეფუძნება რეალურ ნივთებსა და საგნებს, კომუნიკაციურ სიტუაციებს. (ეს არის ჭიკარტი, ჭიქა, ჭაღი, ჭიშკარი (აჩვენოს ფანჯრიდან...))
6. **ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად – „სიტყვის მწკრივი“.**
   მსვლელობა: მასწავლებელი ამზადებს სიტყვის ბარათებს და სამ, ოთხ ამ ხუთ ბარათს დადებს მაგიდაზე ან გააკრავს დაფაზე მწკრივში;
   - მოსწავლეები აკვირდებიან ბარათებს და ასახელებენ თითოეულ სიტყვას (ჭიანჭველა, ჭადარი, ჭიამაია, ჭიშკარი...).
   - თვალის გახელის შემდეგ მოსწავლეები წარმოთქვამენ ბარათზე დაწერილ სიტყვებს იმავე პრინციპით. შემდეგ კი ცდილობენ დააწყონ ბარათები პირვანდელი თანმიმდევრობით.
   - შემდეგ ეტაპზე მასწავლებელი ცვლის ამოცანის პირობას. ბარათების მწკრივს მოაკლებს ან დაუმატებს ერთ ბარათს. მოსწავლეები ცდილობენ გამოიცნონ და დაასახელონ ამოღებული /დამატებული ბარათი.
7. სავარჯიშო სამუშაო რვეულიდან.....;
8. **ჭ** ასოს ამოსაცნობად მასწავლებელი თანმიმდევრობით ასრულებინებს მოსწავლეებს წიგნში მოცემულ სავარჯიშოებს.
9. **სამოდელო კითხვა** – მასწავლებელი კითხულობს ტექსტს თითის მიყოლებით (შესაძლებელია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება: ჯერ მასწავლებელი კითხულობს ხმამაღლა, შემდეგ – ბავშვები; ერთობლივი კითხვა; მონაცვლეობითი კითხვა და ასე შემდეგ...);
10. სავარჯიშო სამუშაო რვეულიდან.....;
11. მასწავლებელი წაკითხული ტექსტის ირგვლივ სვამს კითხვებს და მოსწავლეები პასუხობენ:
    - რას თამაშობენ სტუმრები?
    - რაში ეჯიბრებიან ბიჭები ერთმანეთს?
    - რას მიირთმევენ ბავშვები სუფრასთან?
    - ვინ აალაგა ჭურჭელი?
    - რისი ჭიკჭიკი ისმის?
12. სავარჯიშოები სამუშაო რვეულიდან...
    (სავარჯიშოების მიზნები...)

ბ

თემა	ხასიათი
მიზანი	■ თემასთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა. ■ სურათების აღწერა. ■ ფრაზებზე მუშაობა. ■ მოსმენილი/წაკითხული ტექსტის გააზრება. ■ კითხვებზე პასუხი. ■ ტექსტების კითხვა.
აქტივობა	1. **მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემას** და სვამს შეკითხვას თემის ირგვლივ: ■ როგორი ხასიათი გაქვს? ■ როგორი ხასიათი აქვს შენს მეგობარს? ■ რა გახარებს ყველაფერზე მეტად? წიგნის დახმარებით, მასწავლებელი იწყებს ლექსიკური ერთეულებზე მუშაობას, უჩვენებს ილუსტრაციებს და ასახელებს: მშვიდი, წყნარი, ბუტია, ჯიუტი, გახარებული, მხიარული. შემდეგ აწყვილებს მოსწავლეებს და ბავშვები უსვამენ ერთმანეთს კითხვებს; მასწავლებელი სვამს შეკითხვებს: ■ რა ჰქვია ადამიანს, რომელიც ხშირად ბრაზობს? ■ რა ჰქვია ადამიანს, რომელიც ხშირად იცინის? ■ რა ჰქვია ადამიანს, რომელიც არავის უსმენს? ■ რა ჰქვია ადამიანს, რომელიც ემოციებს არ გამოხატავს ან ჩუმად გამოხატავს? 2. **ფრაზებზე მუშაობა** მასწავლებელი კითხულობს ფრაზებს და მოსწავლეებს სთხოვს, მიმიკურად გაითამაშონ თითოეული ფრაზა ან

	პირიქით, მის მიერ გათამაშებული ხასიათი დაასახელონ. მასწავლებელი სთხოვს, რომ ფრაზების დახმარებით აღწერონ ერთმანეთის ხასიათი. 3. **სამოდელო კითხვა.** მასწავლებელი კითხულობს სანიმუშოდ ტექსტს. სამოდელო კითხვის შემდეგ ყველა ერთად კითხულობს. შესაძლებელია ინდივიდუალური კითხვაც. 4. **მასწავლებელი სვამს კითხვებს:** ■ როცა სახლს ვრევ, ბებია როგორ ხასიათზეა? ■ როგორი ხასიათი აქვს ხატიას? ■ როგორი ხასიათი აქვს ხვიჩას? 5. **სწავლა თამაშით:** მასწავლებელი მოსწავლეებს უკითხავს ტექსტს მოსწავლის წიგნიდან და ავალებს, დახატონ მათთვის სასურველი პერსონაჟის პორტრეტი ისე, რომ მისი ხასიათი გადმოსცენ. მოსწავლეები ირჩევენ წაკითხული ტექსტიდან ერთ პერსონაჟს.
რესურსი	მოსწავლის წიგნი; **ვიდეო _ ფერადი ფანქრები, სახატავი ალბომი.**

თემა	**ხ ასოს შესწავლა**
მიზანი	■ ხ ასოსთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა. ■ სურათების აღწერა. ■ ფრაზებზე მუშაობა. ■ მოსმენილი/წაკითხული ტექსტის გააზრება. ■ კითხვებზე პასუხის გაცემა. ■ ტექსტის კითხვა. ■ რვეულში მუშაობა.
აქტივობა	1. **მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს, რომ გაკვეთილის** თემაა „ასო ხ“ და ავალებს, გაიხსენონ ხ ასოზე დაწყებული სიტყვები; შემდეგ ილუსტრაციების მიხედვით კითხულობენ წიგნში მოცემულ ლექსიკურ ერთეულებს; 2. მასწავლებელი მოაძებნინებს თუ არის ოთახში ხ ასოზე დაწყებული საგნები; 3. **ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად:**

	მასწავლებელი უჩვენებს ილუსტრირებულ სიტყვას მოსწავლეს და ეკითხება: ■ რა არის ეს? – ეს არის ხორცი. ■ რა არის ეს? – ხალიჩა. – როგორია ხალიჩა? ■ რა არის ეს ? – ეს არის ხოხობი. – ხოხობი ცხოველია თუ ფრინველი? ■ რა არის ეს? – ეს არის ხომალდი. – რა აქვს ხომალდს? ■ ა.შ. 4. **სამოდელო კითხვა.** მასწავლებელი კითხულობს სანიმუშოდ ტექსტს. სამოდელო კითხვის შემდეგ ყველა ერთად კითხულობს. შესაძლებელია ინდივიდუალური კითხვაც. ლექსი შესაძლებელია წაიკითხონ მოსწავლეებმა წერტილიდან წერტილამდე. კითხვის ბოლოს უპასუხონ კითხვებს: ■ როგორი ხასიათი აქვს ხვიჩას? ■ როგორი ხასიათი აქვს ხატიას? ■ როგორ იქცევა ხატია, როცა ცუდ ხასიათზეა? 5. **მასწავლებელი მოსწავლეებს** სთხოვს, რომ ტექსტში მოძებნონ და დაასახელონ ხ ასოზე დაწყებული სიტყვები. 6. მასწავლებელი მოსწავლეებს უჩვენებს, ძაფის გამოყენებით როგორ მოხაზონ ხ ასოს კონტური. 7. კალიგრაფიაში ვარჯიში: მასწავლებელი აჩვენებს, როგორ იწერება ასო ხ ბადეში. ხ ასოს დაწერის წესს უხსნის სამივე ბადეში. მასწავლებელი აჩვენებს ხ ასოს წერის მიმართულებას. მოსწავლეები ვარჯიშობენ წერაში. 8. სავარჯიშოები სამუშაო რვეულიდან...
რესურსი	მოსწავლის წიგნი; ვიდეო: **ასო ხ**

ჯ

თემა	ჯომარდობა
მიზანი	■ ჯომარდობა, სპორტის განსხვავებული სახეობა; ■ ჯომარდობის ინვენტარის დასახელება; ■ საკომუნიკაციო ფრაზები; ■ სურათების აღწერა; ■ ტექსტების ერთობლივი კითხვა; ■ თემის შესახებ კითხვებზე პასუხი.
აქტივობა	1. **სარეკომენდაციო შეკითხვები:** წყლის სპორტის რომელ სახეობებს იცნობთ? რა არის ჯომარდობა? სად ტარდება ჯომარდობა? რა უნდა იცოდე ჯომარდობისას? 2. **ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა:** რას ხედავ სურათზე? – მასწავლებელი ასახელებს ილუსტრირებულ საგნებს: მდინარე, ნაპირი, ჩანჩქერი, სწრაფი დინება, ჩაფხუტი, სამაშველო ჟილეტი, გასაბერი ნავი, მდინარის ხეობა... 3. **ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად:** 1. მასწავლებელი არეული თანმიმდევრობით აჩვენებს ილუსტრაციებს და ეკითხება: – *რა არის ეს? სად არის ჩანჩქერი? სად არის მდინარე?* მოსწავლემ უნდა აჩვენოს სურათები. 4. **ფრაზებზე მუშაობა:** მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ამუშავებს ფრაზებს: *ჩანჩქერი სწრაფია. მდინარე ცივია. ჩაფხუტი თავსაბურავია. სამაშველო ჟილეტი დამცავია. მდინარის ხეობა ვიწროა.* 5. **სამოდელო კითხვა** – მასწავლებელი კითხულობს ტექსტებს. შემდეგ მოსწავლეებთან ერთად იმეორებს ტექსტს. 6. **მასწავლებელი სვამს ცოდნის გასამყარებელ შეკითხვებს:** ■ რა არის ჯომარდობა?

	■ სად იმართება ჯომარდობა? ■ წყლის რომელი ტრანსპორტი გამოიყენება ჯომადობისას? ■ რა ტანსაცმელი აცვია ჯომარდს? ■ საქართველოს რომელ მდინარეებზე იმართება ჯომარდობა? 7. **როლური კითხვა:** „დიალოგი ჯომარდობის კლუბში“. მასწავლებელი მოსწავლეებს უნაწილებს როლებს და ისინი კითხულობენ. ამ ტიპის კითხვა გრძელდება ყველა მოსწავლესთან. 8. **სურათების აღწერა:** *მოსწავლეები აღწერენ ილუსტრაციებს და პროცესში იყენებენ ახლადშესწავლილ თემატურ ლექსიკურ ერთეულებს.*
რესურსები	წიგნი, რვეული, პლასტელინი.

თემა	**ჯ ასოს შესწავლა**
მიზანი	■ ჯ ასოს ცნობა; ■ ჯ ასოს მოხაზულობა; ■ ლექსიკური ერთეულები ჯ ასოზე; ■ ჯ ასოს ამოკითხვა; ■ ტექსტების ერთობლივი კითხვა;
აქტივობა	1. მასწავლებელი წარმოთქვამს ჯ ასოს; 2. მასწავლებელი კითხულობს და მოსწავლეები იმეორებენ ჯ ასოზე დაწყებულ სიტყვებს; 3. შეადარეთ ერთმანეთს ჯ და ჭ; 4. სავარჯიშო სამუშაო რვეულიდან.....; 5. ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად – მასწავლებელი არეული თანმიმდევრობით აჩვენებს ილუსტრაციებს და ეკითხება: ■ *რა არის ეს?* ■ *რომელია ჯაჭვი?* ■ *როგორია ჯუჯა?* ■ *როგორია ჯამბაზი?* ■ *როგორია ჯემი?* ■ *რა ფერია ჯეჯილი?* ■ *რას აკეთებს ჯარისკაცი?* 6. სავარჯიშო სამუშაო რვეულიდან.....; 7. ჯ ასოს ამოსაცნობად მასწავლებელი თანმიმდევრობით ასრულებინებს წიგნში მოცემულ სავარჯიშოებს...

	8. სურათის აღწერა ტექსტის წაკითხვამდე და ვარაუდების გამოთქმა: რას ხედავთ სურათზე? რა უნდა იყოს წყალში? თქვენი აზრით, რა მოუვიდოდათ მათ? (მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს). 9. სამოდელო კითხვა – მასწავლებელი კითხულობს ტექსტს თითის მიყოლებით (შესაძლებელია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება: ჯერ მასწავლებელი კითხულობს ხმამაღლა, შემდეგ ბავშვები, ერთობლივი კითხვა, მონაცვლეობითი კითხვა და ასე შემდეგ...). 10. ტექსტის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი დასვამს შეკითხვას, გამართლდა თუ არა მათი ვარაუდები ტექსტის შინაარსის შესახებ? 11. მასწავლებელი პლასტელინით უჩვენებს მოსწავლეებს, როგორ შექმნან ჯ ასო. 12. მასწავლებელი აჩვენებს ჯ ასოს მოხაზულობას სამივე ბადეში; 13. სავარჯიშო სამუშაო რვეულიდან.....
რესურსები	■ რეკომენდაცია მასწავლებელს: ნახეთ სასწავლო ვიდეოფილმი: „დიდი წიგნების ერთობლივი კითხვა“; ■ აჩვენეთ ფილმი: „ჯიუტი თხები“.

3

თემა	ჰიმნი
მიზანი	■ ჰიმნი – საზეიმო სიმღერა, როგორც ქვეყნის ეროვნული სიმბოლო; ■ სურათის აღწერა; ■ ჰიმნთან დაკავშირებული საკომუნიკაციო ფრაზების გამოყენება; ■ ტექსტების ერთობლივი კითხვა; ■ თემის შესახებ კითხვებზე პასუხი.
აქტივობა	**სარეკომენდაციო შეკითხვები:** იცით რა არის ჰიმნი? მოგისმენიათ იმ ქვეყნის ჰიმნი, რომელშიც ცხოვრობთ? მოგისმენიათ საქართველოს ჰიმნი? (მასწავლებელი ასმენინებს საქართველოს სახელმწიფო ჰიმნს). 1. **ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა:** დახატე შენთვის ნაცნობი ქვეყნის დროშა ან გერბი. დაიმახსოვრე სიტყვები: ჰიმნი, დროშა, გერბი. მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რას ნიშნავს „ჰიმნი“ (ქვეყნის საქებარი სიმღერა), ეროვნული სიმბოლო (სიმბოლოს იყენებენ „პირობითი ნიშნის“ სინონიმად და განსაზღვრავენ მას, როგორც აშკარა შეთანხმებით შემოღებულ ნიშანს). 2. **საკომუნიკაციო ფრაზებსა და ლექსიკაზე მუშაობა:** მასწავლებელი კითხულობს, მოსწავლეები იმეორებენ ფრაზებს. მასწავლებელი უხსნის სიტყვათა მნიშვნელობებს. ■ საქართველო **დიდი ისტორიის** ქვეყანაა. ■ საქართველოს **დედაქალაქი** არის თბილისი. ■ საქართველო მდებარეობს **კავკასიაში**, კავკასიონის მთიანეთის სამხრეთით.

- საქართველოს დასავლეთით **შავი ზღვა ესაზღვრება**.
- საქართველო ევროპისა და აზიის **საზღვარზე მდებარეობს**.

3. მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს სხვადასხვა ქვეყნის დროშას, ასმენინებს რამდენიმე ჰიმნს და ეკითხება:
   – მოცემული დროშებიდან რომელია საქართველოს დროშა?
   – მოსმენილი ჰიმნებიდან, რომელია საქართველოს ჰიმნი?
   – გაიხსენე სიტყვები: სპორტსმენი, ფეხბურთელი, გამარჯვებული და დაუკავშირე სიტყვებს: „ჰიმნი“, „დროშა“ (სპორტსმენები მღერიან ჰიმნს; ეს გამარჯვებულის დროშაა).

4. **ტექსტზე მუშაობა:**
   კითხვის ბუქსირი – მასწავლებელი კითხულობს მოსწავლეებისათვის ჰიმნის ტექსტს;
   მოსწავლეები ექოდ კითხულობენ მის წაკითხულს;
   მასწავლებელი ბავშვებისთვის მოულოდნელად ცვლის კითხვის ტემპს (კითხულობს უფრო ნელა ან უფრო სწრაფად;
   მოსწავლეები ცდილობენ, მასწავლებლის მსგავსად წაიკითხონ ტექსტი;
   ტემპის ცვლილების შემდეგ მასწავლებელი ცვლის ხმის ტემბრს და ტონს. მაგალითად, კითხულობს უფრო ბოხი ან ჩუმი ხმით, სიმღერით და ა.შ.
   მოსწავლეები, შეძლებისდაგვარად, იმეორებენ იმას, რასაც მასწავლებელი აკეთებს.

5. **ფონოლოგიური უნარ-ჩვევების განვითარებისთვის:**
   მას შემდეგ, რაც წაიკითხეს საქართველოს ჰიმნის ტექსტი, მოსწავლეები იწყებენ გარითმული სიტყვების მოძებნას.
   – რომელი სიტყვა ერითმება სიტყვებს: „ქვეყანა“, „დიდება“, „ბრწყინდება“?

6. **მასწავლებელი სვამს კითხვებს ტექსტის მიხედვით:**
   - რა არის ჰიმნი?
   - როდის ასრულებენ ეროვნულ ჰიმნს?
   - რისი სიმბოლოა ჰიმნი?
   - რა ჰქვია ამჟამინდელ საქართველოს სახელმწიფო ჰიმნს?

	■ დაასახელე ჰიმნის ტექსტის ავტორი. ■ დაასახელე ჰიმნის მუსიკის ავტორი. ■ ვინ დაამუშავა მუსიკა ჰიმნად? 7. **ჰიმნის შექმნის ისტორია** (საშუალო ასაკის მოსწავლეთათვის სათადარიგო ტექსტი) საქართველოს ჰიმნის ტექსტზე ფიქრი რომ დავიწყე, ჩვენი სამშობლოს ხუთჯვრიანი დროშა უკვე აღდგენილი იყო... დროშისგან განსხვავებით, ჩვენს ჰიმნს არ გააჩნია მრავალსაუკუნოვანი ისტორია, მაგრამ დამოუკიდებლობის, თავისუფლების მოპოვებაზე ჩვენი წინაპრები მუდამ ფიქრობდნენ და ამ საფიქრალს ყველაზე ნათლად ქართველი მწერლები გამოხატავდნენ. ამიტომ მართებულად მივიჩნიე, ჰიმნის ტექსტი ქართული ლიტერატურის საგანძურიდან მოხმობილი რომელიმე ცნობილი სტრიქონით დაწყებულიყო, ასე გაჩნდა ჰიმნის დასაწყისში აკაკი წერეთლის სიტყვები: **„ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა“...** ჰიმნის ტექსტში ისმის ჩვენი სხვა დიდი პოეტების სტრიქონების გამოძახილიც: „ადიდეს დიდი თამარი-ის **ღმერთთან წილნაყარია**“ (ვაჟა-ფშაველა „ბახტრიონი“); **„ორ ზღვას შუა“** მდებარე ქვეყანა და **ცისკრის ვარსკვლავი** კი გალაკტიონისა და აკაკის ლექსებს გაგვახსენებს („**ორ ზღვას შუა** ძველისძველად საომარი იყო ლელო, ის გადარჩა და სახელად ეწოდება საქართველო“; „მთაწმინდა ჩაფიქრებულა, შეჰყურებს **ცისკრის ვარსკვლავსა**“). ჰიმნის ტექსტზე მუშაობისას გამუდმებით ვკითხულობდი იაკობ გოგებაშვილის ნაწერებს, ვცდილობდი მეგრძნო მისი ენის სინატიფე, განუმეორებელი სამყარო, რომელიც ერთნაირად ეძვირფასება ყველას – ყმაწვილსაც და ასაკოვანსაც. *ტექსტის ავტორი: დავით მაღრაძე* *მუსიკა – ზაქარია ფალიაშვილისა* *გადაამუშავა იოსებ კეჭაყმაძემ*
რესურსები	წიგნი, ინტერნეტი, სამუშაო რვეული.

თემა	ჰ ასოს შესწავლა
მიზანი	■ ჰ ასოს ცნობა; ■ ლექსიკური ერთეულები ჰ ასოზე; ■ ჰ ასოს ამოკითხვა; ■ ჰ ასოს მოხაზულობა; ■ ტექსტების ერთობლივი კითხვა.
აქტივობა	1. მასწავლებელი წარმოთქვამს ჰ ასოს; 2. მასწავლებელი კითხულობს და მოსწავლეები იმეორებენ ჰ ასოზე დაწყებულ სიტყვებს; 3. **ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად:** ■ მასწავლებელი არეული თანმიმდევრობით აჩვენებს ილუსტრაციებს და ეკითხება: – რა არის ეს? ■ იპოვე, რომელია ჰიპოპოტამი და დაახასიათე ის. ■ იპოვე, რომელია ჰამაკი და ახსენი რისთვის გამოიყენება. ■ იპოვე, რომელია ჰამბურგერი და აღწერე რისგან შედგება. ■ იპოვე ჰერბარიუმი და ახსენი რა არის ის. ■ იპოვე ჰოკეი და ახსენი რა არის. 4. **სამოდელო კითხვა** – მასწავლებელი კითხულობს ტექსტს თითის მიყოლებით (შესაძლებელია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება: ჯერ მასწავლებელი კითხულობს ხმამაღლა, შემდეგ ბავშვები, ერთობლივი კითხვა, მონაცვლეობითი კითხვა და ასე შემდეგ...). 5. **მასწავლებელი სვამს კითხვებს** მას შემდეგ, რაც გააცნობს მოსწავლეებს, ვინ არის ავტორი ლექსისა „ხატის წინ“. ■ რა კავშირშია აკაკი წერეთლის სახელი საქართველოს სახელმწიფო ჰიმნთან? ■ რა არის ხატი? (ხატი (არაბ.: ხაზი, ნაწერი) — ქრისტიანულ რელიგიაში წმინდანების გამოსახულება). ■ რა არის პატრუქი? (სანთლის გული). ■ რის შესახებაა ეს ლექსი? ■ ჩანს თუ არა, რომ პოეტს ძალიან უყვარს სამშობლო? 6. ■ ჰ ასოს მოხაზულობა (ძაფით აკეთებს მოსწავლე ასოს კონტურს). ■ მასწავლებელი აჩვენებს ჰ ასოს მოხაზულობას სამივე ბადეში; *სავარჯიშოები სამუშაო რვეულიდან...*
რესურსები	■ რეკომენდაცია მასწავლებელს: მოუსმინეთ საქართველოს სახელმწიფო ჰიმნს.